



ნანა ჩილაჩავა-დადიანი:
ქართველები **15**
იქლებულნი არიან,
სარჩოს საქმეებზე
დადამინა შემოიარონ

ანდრეი ეიფანცევიცის
5 შეკითხვა
ქართულ **18**
ოპოზიციას

ალექსანდრე ტოლსტოი:
ქართულ ჯარში
სამხედრო დაზარალება
ჯერ ნარეოდგენას
16 არ აქვთ


საფრანგეთის ელჩი
„საქართველო და
მსოფლიოში“
გამოქვეყნებულ
19
ვიმარტვას გამოხატა

საზოგადოებრივ-ჟორნიალური გამოცემა 10 — 16 ივნისი, 2009 №16

საქართველო

& მსოფლიო www.geworld.net

გამომცემის მთხმელობით ფასი | ღირს. ელ.ფოსტა: info@geworld.net



მოსენაბაში, რომელიც პაიფარა შილა მოხარაბისთვის
მოაგზადა (გაქონა, როგორც ჩანს,
ქარბად დაგებელი პროვოკაციის ნაწილი იყო),
გამოთქებას — „შეახდოს, დაარწმუნოს“ და
„ხელი შეუწყოს“ — უკრაინის ხელისუფლებასთან
ვიმარტაბაში ემბაბა ზმნა „must“, რომელიც
ინგლისურად ნიშნავს „აუხილაბლად უნდა...“.

4

ვინ ნაბა პირველი - იუზრანკო თუ სააკაშვილი?!

„აბა, დაადა პირი და თქვი
„ააა!“ შე ბალსტუკიანო!“

19

ВЕШАЛКА
ДЛЯ ГАЛУСТУКОВ
МИШИКО

4 606453 849072


© Made in Georgia ALL WRITES RESERVED

ევროპაში
უგუგავრობამ
ათნლელის
პიკს მიანია **28**

ყოველი მათა
ამერიკელი
სასურსათო
ტალონებით
სარგებლობს **28**

ჰომოსექსუალურ
დისკრიმინათა
კათედრა
პარპარდუი **15**

28 რუსუდან ფხაკაბე:
მოქალადა სახელმწიფო
ქალაქობას ვერ აღკვეთს



სსვა ნაირობი
3 სად არის

ზოგი რამ პრეზიდენტის ეკონომიკური პროგრამიდან



როცა პრეზიდენტის თანამდებობაზე მყოფი საქართველოს მოქალაქე ზღაპრის ენაზე დაიწყებს საუბარს, გინდა, არ გინდა, შენც იმ ფანტასტიკურ სამყაროსკენ გაგინევს გული, სადაც თავლის მდინარეები მდორედ მიედინება და გაჭირვებული კაცი, როგორც წესი, მდიდრდება სასწაულებრივად.
ნაიკითხეთ მიხეილ სააკაშვილის წინასწარჩენო ეკონომიკური პროგრამა (2007 წლის დეკემბერი) „საქართველო სიღარიბის გარეშე“ და დამერწმუნებით, რომ მართალს ვამბობ.
შაჰრზადას არაბული ზღაპრები! ჯერ კიდევ ჩვენს ნელთარცხვამდე IV საუკუნეში „ათას ერთ ლამედ“ ასხმული, შავი გიშერის დაბინდული საიდუმლოებითა და სახალხო მითქმელთა გენიით გაბრწყინებული. მონტესკიე, დიკენსი, პუშკინი და სიტყვის სხვა დიდოსტატები მოუწესხავს შაჰრზადას სწორუპოვარ თხრობას.

საკაშვილისა გაგვირევათ?
თუმცა რა ვიცი, როცა კაცი განყვეტილი ყელსაბამის მიძევებით დაბნეულ მშობლიური ენის ასეთ მარგალიტებს, შეიძლება, ეჭვიც კი შეგეპაროს — რა შაჰრზადა, რის შაჰნამე?
დგას სააკაშვილი „რუსთაველზე დაყუდებული პოლიტიკოსები“ (მისი მიგნება) სოფელი ნოსირში დაფინის ფოთლის საშრობი საამქროს საზეიმო გახსნაზე მიწვეულთა შორის და, როცა ჰგონია, რომ ცინიზმის დოლაბებში ატარებს მონინალმდეგეს, ვისაც მისი მთავრობის არაკორუმპირებულობაში ეჭვი ეპარება, შაჰსეი-ვახსეი გამოსდის.
აბა, ნახეთ:
„ჩვენ ვართ, კორუმპირებული, რომლებსაც ხელზე არაფერი ეკრობა“.
მართალს ამბობს ბატონი სააკაშვილი: როცა მასობრივი კორუფცია ელიტურ კორუფციად ტრანსფორმირდება, ხელისუფლებას არც ხელზე ეკრობა დოლარის ბანკნოტები, არც ტყავის სუნიასი.
„...ჩემი მონრდება იყო, საქართველო კორუფციის გარეშე, — განაცხადა წინასწარჩენო საპროგრამო სიტყ-

ვამი პრეზიდენტობის კანდიდატმა, — 1999 წელს, პარლამენტის არჩევნების დროს ვაკის რაიონში ვიყრიდი კენჭს და ჩემი ლოზუნგი იყო: „საქართველო კორუფციის გარეშე“. ამის განხორციელება ბევრს აბსოლუტურ უტოპიად მიაჩნდა“.
თვითონ კი მიაჩნია, რომ „აბსოლუტური უტოპია“ რეალობად აქცია, რომელიც „აბსოლუტური ვაკუუმი“ უაზრობაა. უტოპია, ვაკუუმი ან არის, ან არ არის; ისეა, როგორც სინდისის ფორმულა.
მიხეილ სააკაშვილის „ათას ერთ ლამეში“ არის და მეტიცაა! მაგალითად, დიდი ტელეკომპანიებისა და დიდი ბიზნესის სახით, რომელიც აბსოლუტურად ხელისუფლების ხელშია. დანარჩენი არაკეობის იმან, ვინც ამ ხელისუფლების შემდეგ მოვა და დაიწყებს ბიზნესის გადანაწილებას.
მოვა კი?
„თუ ფეხი გადავიბრუნდა, ანუ თუ შეცდება ელექტორატი და სხვა პრეზიდენტის აირჩევს, — ამბობს სააკაშვილი, — საქართველო დასამარდება საუკუნეების განმავლობაში“.
კი, ზუსტად ასეა.

ამიტომ „ნურას უკაცრავად“ და, ვისაც ტვინი გადაუბრუნდება, იმას „უღმობლად დაუშვიდობობი“.
სწორედ რომ უღმობლად! „ღმობიერი დამშვიდობება“ იხილეთ ქართული განმარტებითი ლექსიკონის მომავალ გამოცემაში. იქვე შეიტანენ, სათანადო კომენტარით, „არხელმონერას“, „ხმების აგროვებას“, „გატირახუბას“ და, როგორც ქართული ეკონომიკის თავმდაბლობის ნიმუში, კერძოდ, მევენახეობის განვითარების საქმეში, — „კახეთში სვედით და ყველამ ერთად დავამუშავეთ ვენახები“.
შრომითი სემესტრი ჩაუტარებთა მთავრობას ზაფხულში. ვენახები დაამუშავეს!
შაჰრზადას და შაჰრარის არც თუ „სეველიან რომანის“ ათას ერთიდან პირველი ზღაპარი, ალბათ, ესაა.
მეორე კი...
მეორე ისეთი თავდაჯერებითაა მოყოლილი, ნამდვილი გეგონებათ. 2007 წლის 23 ნოემბერს ნაცმობრობის ყრილობაზე, რომელსაც ჩინეთის კომპარტიის ყრილობასავით 15 ათასი დელეგატი ესწრებოდა და რომელიც 7 ნომბრის ბარბაროსული დარბევებიდან ორი კვირის თავზე გა-

იმართა, ამ მოძრაობის ლიდერმა განაცხადა: „თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავა, მე დარწმუნებული ვარ, რომ 2008 წელს საქართველო ნატოს წევრობის კანდიდატი გახდება“.
„თუ“ ზრდილობისთვის იყო ნათქვამი.
ამ „თუმ“ დავთარსა, თავდაჯერება სრულ იგნორირებად შემოვიბრუნა: ნატოში საქართველოს მიღებაზე დღეს არავინ ლაპარაკობს, გაქრა ეს ოცნება „ვიტა სიზმარი ლამისა“.
გაქრა საქართველოს ტერიტორიები, რომლებისკენ გზის გახსნას აპირებდა მჩხიბობით გართული ლიდერი: „მე ხშირად მესიზმრება სოხუმი, მესიზმრება სოხუმის კაფეები, მესიზმრება სახლი ემერაში... და ხშირად მესიზმრება კომპარი, რომ მე ჩავდივარ სოხუმში და ვერსად გავდივარ, ყველა გზა დაკეტილია. 5 იანვრის არჩევნები ჩვენ ან გაგხსნით ამ გზას, ან სამუდამოდ დაკეტავთ“.
ვადები აერია ცოცხა, დრო, თორემ აგვისდა, თანაც — ცუდად, მიხეილის სიზმარი: არა 5 იანვარს 2008 წლისა, არამედ იმავე ნაკიანი წლის აგვისტოში ჩაგვეკეტა გზები

ძველი და ახლადდაკარგული ტერიტორიებისკენ.
ეს უკვე ზღაპარი არ არის, სამწუხარო სინამდვილეა.
კიდევ რას გვეტყვი, დელფოსის ორაკულო, ანუ შაჰრზადა?
„...ჩვენი მთავარი ლოზუნგია: „საქართველო სიღარიბის გარეშე“. ზოგიერთი ოპონენტი, როგორც ყოველთვის, ნიშნის მოგებით იტყვის, ახლა გაგახსენდა დასაქმება, აქამდე სად იყავით?! თუ ეს ვინმეს მართლა აინტერესებს, ვეტყვი: სად ვიყავი და, ვაგებდი გზებს, ვაგვარებდი ელექტროენერჯის პრობლემას, რადგან გზისა და დენის გარეშე არაზიარო დასაქმება არ არსებობს“, — ასე თქვა მიხეილ სააკაშვილმა თელავის უნივერსიტეტის სტუდენტებთან და პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრის დროს.
მუშაობდა კაცი, ოფისს ღვრიდა, წონაში იმატებდა, ლენინით ისროდა ლოზუნგებს „პოლუს ელექტროენერჯის“ შესახებ, ოღონდ „საბჭოთა ხელისუფლების“ გარეშე და... დასაქმების კარიშე, რადგან უმუშევრობა კი არ კლებულობს, მატულობს ისე, როგორც ნაპრალი მდიდრებსა და უპოვართა შორის.
„დასავლეთში სულ უფრო რწმუნდებიან, რომ პროექტი „მისი“ დროა, დაიხუროს, რადგან საქართველოს მმართველი დასავლეთელი მფარველებისთვის ერთგვარ პროვინციულ ალკოჰოლიკ ბიძაშვილად იქცა, რომელსაც ვერ მიაგებენ (მინუს ნათესავი), მაგრამ ასეთი ნათესავის ყოლა, სირცხვილია. სააკაშვილის მოქმედება დასავლეთის ავტორიტეტს ძირს უთხრის — ეს სულ უფრო ამკარა ხდება“, — წერს უცხოეთის პრესა.
წეროს, რა!
მიხეილ სააკაშვილი სხვაგვარად ფიქრობს: „...საკუთარი ნებით იგი თავის პოსტს არასოდეს დათმობს და ყოველთვის დაიცავს, თუნდაც დიდი სისხლის ფასად“.
სისხლი აგვისტოში დაიდევარა. ტრაგიკულ აგვისტომდე მოვლენების განვითარების სცენარზე რომ ლაპარაკობდნენ, უცხოური წყაროები კარგა ხნით ადრე პირდაპირ აღნიშნავდნენ: „აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დიდი სისხლის დაღვრის საშუალება სააკაშვილს მიეცემა. სააკაშვილი დაიწყებს

ომს ქართველ ხალხთან თითქოს თავისი პირადი პრობლემების გადასაწყვეტად, ამერიკელებისთვის კი ეს იქნება ერთადერთი საშუალება, შეძენენ ამ კონფლიქტურ რეგიონებში მანამდე, სანამ რუსეთი მათ დამოუკიდებლობას ცნობს“.
წინასწარჩენო პერიოდის სააკაშვილი რას გვეუბნებოდა? „მინდა, რომ ყველამ, ვისაც დღეს გიჭირთ, ჩემი დედასა და დენის გარეშე არაზიარო დასაქმება არ არსებობს...“ (გამოსვლა, 6,6).
შემთხვევითი არ არის, ბიბლიის ტონით რომ გველაპარაკება სააკაშვილი: „მინდა, რომ ყველას... უპირველეს ყოვლისა, თქვენ, ასეთ ხალხს მოგცეთ იმედი“.
პარალელი ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმის: „რადგან მე ვიცი ჩემი განზრახვები, რაც თქვენთვის განმზრახავს, ამბობს უფალი, საკეთილდღეოდ განზრახვები და არა საზიანო, რათა მოგცეთ მომავალი და იმედი“ (იერ. 29,11).
ხომ ხედავთ, როგორი მკრეხელობაა!
აი, ასეთ კაცს დაუჯერა ელექტორატმა და ახლა „გამზრდელსა“ და „პროექტის“ ავტორებს აბრალებს — თავს მოგვახვიესო.
ახლა ხომ გვერათ, რომ გაცურეს, ხომ თავად დარწმუნდით დიდ ტყუილში?
„ათას ერთი ლამის“ მეფე შაჰრზადას უმცროსმა ძმამ შაჰნამემ ცოლის ლალატის შესახებ რომ აცნობა, იმან, საკუთარი თვალით სანამ არ ნახა, არ ირწმუნა. ირწმუნა და თავებიც დააყრევინა — ცოლსაც და „სიყვარულის იმ ბუდის“ ყველა მონაწილეს.
დარწმუნდა და ისეთი ნაბიჯი გადადგა, რომელიც მის საზოგადოებრივ სტატუსსა და მის ეპოქას შეეფერებოდა.
ახლა თქვენ, მეგობარო პენსიონერებო, კარგად მოიქექეთ ჯიბეები და იპოვეთ 100 დოლარის ეკვივალენტური პენსია, რომელსაც წინასწარჩენოდ დავამრდიო მიხეილ სააკაშვილი.
ვერ იპოვეთ?
თქვენ მაინც გაიხსენეთ, ახლა გაზრდა, მაგრამ ხელმოკლე ოჯახების უფროსებო, როდის მიიღეთ 1000 ლარი შვილის დაბადებისთანავე?
ვერ გაიხსენეთ?
ან, ეგებ, ყველა ოჯახის მეორე შვილის შემდეგ ყოველ შვილზე მოგცეს 1000 ლარი? არც ეს გახსოვთ?
რაც არ იყო, რას გაიხსენებთ!
ყველას სკლეროზი შეგვეყარა, თუ ნაადრევი „ეკლერი“?

ვილაცამ თქვა, წინასწარჩენო დაპირება ყველას ისე სწრაფად ავიწყდება, როგორც გაზაფხულის ფეხმარდი ნვიძაო.
ამიტომ ჩვენი გაზეთი ქართველი ექსპერტების დახმარებით შეეცდება ყალბი დანაპირების საამკარაოზე გამოტანას, მით უფრო, რომ ამ გაზაფხულის გადაუღებელი ნვიძების ანომალია დამკვიდრებული შეხედულების დარღვევისკენ გვიბიძგებს.
მომდევნო პუბლიკაციას შაჰრზადას პირველი ლამის ზღაპარივით დავიწყებთ: „შვეებთან, ო, ბედნიერო ხელმწიფე, რომ იყო ერთი პრეზიდენტი პრეზიდენტთა შორის და ჰპირდებოდა იგი თავის ხალხს...“

დოკუ უპაროვი მოკლას

4 ივნისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერთ-ერთი სპეცოპერაციისას მოკლული ოთხი მებრძოლი დოკუ უპაროვის დაცვის წევრი იყო. თავად უპაროვი დაიჭრა. მოგვიანებით, 8 ივნისს კი იუწყებოდნენ, რომ მძიმედ დაჭრილი იჩქერის ე. წ. პრეზიდენტი დოკუ უპაროვი გარდაიცვალა.
შეგახსენებთ, რომ ჩეჩენეთის სუპრატისტული მოძრაობის აქტიური მონაწილე დოკუ უპაროვი ერთ-ერთი შეიარაღებული სამხედრო ფორმირების ლიდერი გახლდათ, ჩეჩენეთის პირველი ომისას რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდა, 1994 წლიდან კი ერთ-ერთ რაზმს ჩაუდგა სათავეში; 1996 წლის ზაფხულში ის ოცდაათი ჩეჩენი მილიციელისა და სამხედრო მკვლელების მონაწილე გახდა.
სამართალდამცავი ორგანოების მონაცემებით, 1999 წლის მარტში უპაროვი უშუალოდ მონაწილეობდა ჩეჩენეთში რუსეთის ფედერაციის შსს სპეცნარმომადგენლის გენა-

თხოების ფედერალური სამსახურის შენობა და მატარებელი კისლოვოდსკოი — ორივე შემთხვევაში ერთად 10 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, 70-ზე მეტი კი დაიჭრა.
2004 წლის 1 სექტემბერს ტერორისტებმა ჩრდილო ოსეთის ქალაქ ბესლანის ერთ-ერთ სკოლაში 1127 ადამიანი აიყვანეს მძევლად, მათგან 300-ზე მეტი ბავშვი დაიხოცა. იმ პერიოდში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტერორისტების ჯგუფს უპაროვი ხელმძღვანელობდა.
2006 წლის 17 ივნისიდან აბდულ-ხალიმ სადულაევის გარდაცვალების შემდეგ უპაროვი ჩეჩენეთის უღიარებული რესპუბლიკის იჩქერის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა. 2006 წლის 23 ივნისს ის სუპრატისტული საიტიდან სპეცოპერაციის შედეგად, 2003 წლის სექტემბერში უპაროვის მონაწილეობით აფეთქდა ინგუშეთის უსაფრ-

ულ 6 ფრონტს კიდევ მრავალი ფრონტი დაემატებოდა და ოკუპაციური ფორმირების ოდითუბურ ფეფურები შარიათის კანონებით გასამართლდებოდნენ. თავისი პირველი განკარგულებით, უპაროვმა ტერორისტი შამილ ბასაევი ვიცე პრემიერის თანამდებობიდან გაათავისუფლა და იჩქერის ვიცე პრეზიდენტად დანიშნა.
2007 წელს საკუთარ თავს კავკასიის ემირატების ემირი უწოდდა. იმყოფებოდა ფედერალურ ძებნაში შარიათის მისაღებად ადამიანთა გატაცების, ტერორისტული აქტების ორგანიზების, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებში მონაწილეობის, ხელისუფლების დამხობის მოწოდებების ბრალდებებით.
2007 წლის 15 ნოემბერს ჩეჩენეთის პრეზიდენტმა კადიროვმა მას სამართალდამცავი

ორგანოებისათვის დანებება შესთავაზა: „დაჟინებით მოვუნოდებ დოკუ უპაროვს, დაემხობს მუხლებზე და ცრემლიანი თვალებით ევედროს ხალხს პატიება“.
მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა სხვადასხვა დროს უშთაჯერ გამოაცხადეს დოკუ უპაროვის გარდაცვალების ამბავი. 2005-ში მართლაც იყო სასიკვდილოდ დაჭრილი, ტყვიამ ფილტვები და სხვა მნიშვნელოვანი ორგანოები დაუზიანა, მაგრამ უმაროვი გადარჩა. იმავე წლის აპრილში რუსეთის სპეცსამსახური იუწყებოდა, რომ უპაროვი 15 იანვარს საქართველოს საზღვართან ახლოს ფედერალურ სპეცნაზთან შეტაკებისას მძიმედ დაიჭრა. 2007 წლის აპრილში მის გარდაცვალებაზე კიდევ ერთხელ იუწყებოდნენ.
ახლანდელ ცნობას დოკუ უპაროვის გარდაცვალების შესახებ ოფიციალური და დასტურება ჯერაც არ მიუღია, მოკლულის გვამს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა უტარდება.

დიმა ჯაიანი:

ეს პარლამენტი თუნდაც იმიტომ არის დასაშლელი, რომ ვიხე-სპიკერი პაატა ღაპრიანი

„პოლიტიკას ქმნიან ის პიროვნებები, რომლებიც გარკვეული გავლენით სარგებლობენ პროცესებზე ან რეიტინგით, ან საკუთარი სტატუსით, ან ძალაუფლებით, პაატა ღაპრიანი კი არც რეიტინგი და არც ძალაუფლება არ გააჩნია. ის მოქმედებს ერთადერთი მიზნით, ახლოს იყოს ხელისუფლებასთან და ამით პირადი კეთილდღეობა მოიხსნოს“, — ასეთია ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი გუგავას აზრი იმ ადამიანზე, რომელიც საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერია, თავის დროზე კი აგვისტოს მოვლენების შემსწავლელ კომისიას თავმჯდომარეობდა და თვით პრეზიდენტი „დაკითხა“, თუმცა არც ვიცე-სპიკერობა და არც კომისიის ხელმძღვანელობა გიორგი გუგავასთვის არ წარმოადგენს იმ გავლენის სფეროს, რისი წყალობითაც პაატა ღაპრიანი შეძლებს, რაიმე ღირებული გადაწყვეტილება მიიღოს. „რამდენად ეფექტურია პაატა ღაპრიანის პარლამენტში ყოფნა და რა მოუტანა ამან მოსახლეობას, გარდა იმისა, რომ ხშირად მოგზაურობს, ძნელი სათქმელია. მაგრამ რა თამაშს თამაშობს ეს პერსონა, ამაზე ცალსახად მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მან სააკაშვილის მიერ გაყალბებული არჩევნების მთავარი დასტურდამაკი ჯონ მაკკეინი მეგობრობის ჯილდოთი დააჯილდოვა“, — აცხადებს ბატონი გიორგი.



პოლიტიკაში ყველაფრის კადრებით მოსულმა პაატა ღაპრიანი ისე შეიფერა პარლამენტის ვიცე-სპიკერის თანამდებობა, რომ იმ ოპოზიციისგან, ვისი წყალობითაც ელირსა საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრა, შორს იჭერს თავს და პოლიტიკური მიზნებით ქუჩაში გამოსვლა ახლა უკვე მიზანშეუწონლად მიაჩნია, თუმცა რომელი პიროვნება უნდა გადაწყვიტოს ერთკაციანი პარტიის თავმჯდომარეობა, რომლის გვერდით არავინ არ დგას და მხოლოდ საკუთარ თავს წარმოადგენს, გაუგებარია სოხუმის თეატრის ხელმძღვანელის დიმა ჯაიანისთვის.

„პაატა ღაპრიანის, როგორც დღევანდელი ადამიანის შვილი, ისე ცვტამდე პატივს (მისი ორი ბაბუა სოხუმში 27 სექტემბერს დახვრიტეს), თორემ რა კაცი პაატა ღაპრიანი, რომ რომელიმე პიროვნება მოავგაროს? თავის

პარტიას იცით რატომ დაარქვა „ჩვენ თვითონ“? — იმიტომ, რომ მართალია და სხვა არცერთი წევრი არ ჰყავს. მის გვერდით არც ლტოლვილები დგანან. რა ვქნა, ამ კაცს ვიცნობდი და აღარ ვიცნობ“, — აცხადებს ჯაიანი.

— პაატა ღაპრიანი ამბობს, რომ პოლიტიკური პრობლემები დიალოგის გზით უნდა მოგვარდეს. იქნებ, მართლაც აღარაა ქუჩის პოლიტიკის დრო?

— ქვეყანა თავზე დაგვექცა და, აბა, როდისღა ქუჩის პოლიტიკის დრო?! პარლამენტში ვითომ ოპოზიციონერები რომ სხედან, ყველანი მოსყიდულნი და გაყიდულნი არიან.

— პაატა ღაპრიანი 7 ნოემბრის აქციების აქტიური მონაწილე იყო... იქნებ, დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, მოლაპარაკებები უმჯობესია?

— მერე რა, თუ 7 ნოემბრის აქციებში იღებდა მონაწილეობას? პირველად ნახეთ ადამიანი, რომელიც გაიყიდა? არ უსმენთ, რას ლაპარაკობს და ვის იცავს? — თავის სკამს იცავს, კარგი ხელფასი აქვს, ძვირფასი მანქანა ემსახურება. ეს ყველაფერი მეც ვიცი, რადგან თავის დროზე დეპუტატი ვიყავი, მაგრამ, მისგან განსხვავებით, ოთხი წლის განმავლობაში თბილისიდან არ გავსულვარ, არც ერთ დეპუტატში არ ვყოფილვარ. იქაც ჩანს ყოველი მიდობა.

— ბატონო დიმა, თქვენ აღნიშნეთ, რომ ამ კაცს იცნობდით და აღარ იცნობთ, რატომ? ამისთანა რა დანაშაული ჩაიდინა?

— ამ ადამიანმა, როდესაც მასთან გაზეთის ფურცლებზე პოლემიკა მქონდა გამართული, ერთ-ერთ ჟურნალისტთან განაცხადდა (ამ უკანასკნელს ჩამწერი გამორთული ჰქონდა): „ომი ჩვენმა ხელისუფლებამ დაინგო და ხმა-მაღლა ხომ ვერ ვიტყვიო“. თა-

ნაც ტრანსპარენცია, ჯერ გავხედო კომისიის თავმჯდომარე და ნახეთ, რა დასკვნას დაგვადებო. ის, მართლაც ცხადია აგვისტოს ომის შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე, მაგრამ რაიმე ღირებულების მქონე დოკუმენტი არ შეუქმნია. გარეგნობა მოხდა.

— გენერალმა ბოროსოვმა განაცხადა, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც მოგვიანებით იქნებ ჩვენი ხელისუფლება მართალია და კომისიამ ობიექტურად იმუშავა?

— არა, რა თქმა უნდა. რაც მთავრობას და პრეზიდენტს აწყობდა, ის დოკუმენტი დაიდო. რა, ომი ჩვენს მთავრობას არ დაუწყია და პროვოკაციაზე ნამოვლენა? რუსები ნამოვლენა ვინდენ და მერე ჩვენ დავცხებთ?.. არ გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი 7 აგვისტოს და არ თქვა, კონსტიტუციის აღდგენა მინდაო?

თუ არ შეგიძლია კონსტიტუციური სამართლიანობის აღდგენა, უნარი არ შეგნევს ამ ჯართან ბრძოლისა და, საერთოდაც, თუ ჯარი არ გყავს, სად მიდიხარ?..

ახლახან ჩვენს თეატრში შესანიშნავმა რეჟისორმა გიორგი თაყაიძემ კონსტანტინე გამსახურდიას ნოველების მიხედვით დადგა სპექტაკლი „ეთერში მდგარი წყველა“ და იქ ჩემი გმირი ტაგუ საშუგია ამბობს: „კი მაგრამ, ბაბა, ჩვენს ურიცხვ მტერს რომ ვეომებოდით, ვისი იმედი გვქონდაო?“ მგონია, ამ გენიალურმა კლასიკოსმა ეს დღეს დანერგა. საოცარია, როცა წინასწარი მაგალითები გქონდა — აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ომები — და პროვოკაციაზე მიდიხარ. მერე კიდევ სხვებს რუსეთის აგენტებს ეძახი. მე ვარ რუსეთის აგენტი (ამ შემთხვევაში პრეზიდენტს ვგულისხმობ), მე, რომელმაც ვიცი, რომ აფხაზეთში რუსეთის ევბრძოდი. ჩემი ერთადერთი შვილი მონიხავე პოზიციაზე იბრძოდა, ხელისუფლებაში მოვიდნენ თუ არა, სამსახურიდან გააგდეს. ამ საკითხზე საუბარი არ მიყვარს, რადგან ვინმეს არ ეგონოს, თითქოს მისი სამსახურის გამო გამოვედიო ქუჩაში. ყველაფერს მოვიტყენო, ოღონდ სამართლიანობა აღდგეს და საქართველო ისეთი ქვეყანა გახდეს, როგორც ქართველ ერს ეკადრება.

— 7 აგვისტოს მოვლენების დროს სამხედრო ფორმის ჩაცმული პაატა ღაპრიანი ჩაქმული პაატა ღაპრიანი

თავი ხშირად იყო კონფლიქტის ზონაში.

— ჯერ ერთი, არასწორია, სამხედრო ფორმა რომ ეცვა, რადგან ის ჯარის გენერალი არ გახლავთ. ის სხვა გენერალია, ნეტა რამდენი ტანკი ააფეთქა და რამდენი თვითმფრინავი ჩამოვლო, ოცდამეათე ხომ არაა მისი ჩამოგდებული?

— თქვენ თქვით, რომ პაატა ღაპრიანი გენიალური ადამიანის შთამომავალია. ძნელი წარმოსადგენია, რომ ასეთი პიროვნების გაზრდილი კაცი ფულზე გაიყიდოს.

— მუშნი ზარანდიას მამა დათა თუთაშვიას გამზრდელია. ყველა გმირი ვერ იქნება. მე ყოველთვის კონია გამსახურდიას სიტყვებს ვიმეორებ: „მე გმირი არა ვარ, მაგრამ გმირი ხალხის ვარ ნაზოლარა“. გენიალური ფრაზაა.

P.S. ქვეყნისა და ერის წინაშე პარლამენტის ვიცე-სპიკერის ღვაწლსა და დამსახურებაზე ვესურდა სხვა პოლიტიკოსებისა თუ საზოგადო მოღვაწეების კომენტარები ჩავეყენო. სამწუხაროდ, ბევრისთვის ის იმდენად პაატარა ადამიანი და უმნიშვნელო პერსონა აღმოჩნდა, რომ საუბარი არ ისურვეს, რაშიც, შეიძლება ითქვას, ერთგვარად ვეთანხმებით კიდევ. დასასრულ, მინდა ბატონო დიმა ჯაიანს დავესახებო: „პაატა ღაპრიანის შესახებ ნერა და მასზე კონსტიტუციის გაკეთება, მოსთვის უზარმაზარი პატივია, თორემ ეს პარლამენტი, თუნდაც იმიტომ არის დასაშლელი, რომ ვიცე-სპიკერად პაატა ღაპრიანი ჰყავს“.

ნათია ქალაპიშვილი

სხვა ნაირობი სად არის, ანუ ნიქარას აფრიკული ზღაპარი

იდეა წელი 1991 და სუვერენული საქართველო, სოციალისტური წყობილების დაშლის რომანტიკით შეპყრობილი, დევნილი ნაირობის მიხედვით სახალხო მეურნეობის წარმოებისა და გაპარტახებისაკენ.

თვე თვეს მისდევდა და ხალხი რწმუნდებოდა, რომ ვერც ჩვენი „ბორჯომი“ შეგვირინახავს, ვერც ჩაი და ციტრუსები, ხოლო შეძახილი — თუ გაგვიჭირდა, ბალახს შევჭამთ, ისე გაიცრიცა, რომ მოშიებულ ავტორსაც აღარ სჯეროდა მისი.

და სწორედ ამ დროს მინისტრთა საბჭოს იმდროინდელმა თავმჯდომარემ თენ-

გიზ სიგუამ სასახარულო განცხადება გააკეთა: საქართველოში იმპორტით შემოდიოდა კენიური საქონლის ხორცი.

ხორცი კენიიდან! ეს განცხადება მაშველი რგოლივით იყო ქვეყნისთვის, რომელმაც „დინების წინააღმდეგ“ დააპირა ცურვა და... „წყალს მიჰქონდა, მდინარესა“ გარდაუვალი საყო-

ველთაო შიმშილისაკენ. ხალხი ლაპარაკობდა ორ თუ სამ გემზე (ერთზე?), რომლებშიც ჩაიტვირთა ხორცი და დღე-დღეზე ჩამოაღწევდა დამოუკიდებელ საქართველოში. მაგრამ... როგორც ყოველთვის, ამ საქმეშიც ჩაერია რუსული იმპერიულიზმის მსახურალი ხელი და, არ ვიცი, ოდესიდან, არ ვიცი, სევესტროპოლიდან საქართველოსკენ აღარ გამოუშვეს.

იყო ასე, არ იყო, თავს ვერ დავდებ. კენიური ხორცის ამბავი კარადასთან მისული იმერელის არგუმენტით დასრულდა: „პური არცა ყოფილა და არცა მშაო“.

ეგებ, სულაც ტყუილი მიზეზია, ხოლო სიცრუესა და სიმართლეს შორის ერთი ხელის დადება რომ არის, ჯერ კიდევ როდის შეამჩნია ხალხმა.

კენიაში კი მითებით ცხოვრობენ, აფრიკული ზღაპრებით, რომლებიც ტყუილზე აგებული-ამეხებული შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია.

ჰოდა, გამოეკიდნენ იქაურნიქარას ბანტუს ხალხები დასაკლავად და იმ კოოპერატივში ჩასაბარებლად, საი-

დანაც ხორცი უნდა გამოეგზავნათ საქართველოში.

მირბის ნიქარა უკიდევანო ტრამალებში და მისდევს ბანტუს ტომი.

— გაჩერდი, გაჩერდი! — ეძახის ანსუაჰილის ენაზეც და ინგლისურადაც. არ ჩერდება აფრიკული ნიქარა.

გადასერეს სომალის, ეთიოპიის, სუდანის, უგანდის, ტანზანიის საზღვრები და მიადგნენ ინდოეთის ოკეანეს. სანაპიროსთან ის ორი თუ სამი გემი ირწევა ტალღებზე, რომლებზეც ხორცი უნდა გადმოეზიდათ საქართველოში.

„წინ წყალი, უკან მეწყერის“ კენიური ვარიანტი!

გადააგო ნიქარამ სავარცხელი და აღიმართა უსიერი ვარიანტი ჩაიშალა, მაგრამ გული არ გაიტება ბანტუს ხალხმა, მიადგა და ჭრა და ხერხა ეს ტყე. იმდენი ჭრა და ხერხა, სანამ ნუმშუმას ღერებად არ დააქუცმაცა, ჩადო ამ ღერების თავები სპეციალურ ხსნარში და მიიღო, არც მეტი, არც ნაკლები, საექსპორტოდ გამზადებული ასანთი.

ჩაანყო კოლოფებში და გაიგზავნა საქართველოში



აფრიკელი ღმერთებისთვის წართმეული ცეცხლი.

თვითონაც მოითბეს ხელი. არ გჯერათ, რომ ასე იყო? მიხელო სააკაშვილს ხომ უჯერებთ — მსოფლიო ეკონომიკის „ჩამოშლის“ პირობებში საქართველო რომ აღმავლობის გზაზე დამდგარი და დღეს თუ ხვალ დაიპყრობს ხალხთა ბედნიერების ევერესტს?


ამ გზაზე მცხეთის ასანთის ფაბრიკის სახსენებელი გაქრა, აგერ აქვე, ხელის განვდენაზე — რკინიგზის მცხეთის სადგურის მახლობლად. იმ კომბონატის ტერიტორიაზე ახლა რუსტორანია გახსნილი, მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრებსაც ამზადებენ და რაღაც ობიექტს ამენებენ, რომელსაც ჩიტმაც ვერ გადაუფრინა, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურად განვრთნილი რუსეთის სპეცაგენტი იყო. სამაგიეროდ, აღმოსავლეთ აფრიკიდან, იქიდან, სა-

დაც „გეოგრაფია მთავრდება“, შემოგვაცქეს ასანთის კოლოფები, წარწერით **Nairobi-Kenya**.

სხვა ნაირობი სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა? სად არის და რუსეთში, ჩერეპოვეცკში, საიდანაც, ასევე, შემოაქვთ ასანთის კოლოფები — თითოეულში 700 ლერი, ანუ ნუმშუმა, როგორც ბატონი კონსტანტინე გამსახურდია ბრძანებდა.

ასანთის ღერი კი იმიტაცა კარგი და სასარგებლო, რომ, თუ კბილებში ხორცი გაეჩხირება, ნუმშუმით ამოსუფთავებს; ხორცი, რომელიც 18 წლის შემდეგაც არ ჩამოუტანიათ საქართველოში, ვირტუალურად კი; ისეთივე ვირტუალური, როგორც სააკაშვილის მიერ სოფელ ნოსირში ახლახან საზეიმოდ გახსნილი „ფაბრიკები“ და „ქარხნები“.

ლავა გიორგია





ვინ ნავა პირველი — იუზრენკო თუ სააკაშვილი?!

მწვევე პოლიტიკური კრიზისი საქართველოსა და უკრაინაში ერთმანეთის პარალელურად ვითარდება. სპეციფიკა განსხვავებულია, თუმცა მიმდინარე პროცესების მიღმა ერთი სტრატეგიული ჩანაფიქრის დანახვა შეიძლება, რომელიც შეერთებული შტატების ადმინისტრაციას ეკუთვნის. ცოდვა გამხვლეული ჯობს და, იმპერიების ბრძოლაში ხშირად გვეჩვევია საქართველოს მთავარ პრიზად წარმოჩენა. სინამდვილეში გლობალური დაპირისპირების ამ ეპიზოდში, რომელსაც პირობითად შეიძლება ვუწოდოთ „ბრძოლა ევროპისათვის“, ჩვენი როლი და ფუნქცია მეორეხარისხოვანი და გამოყენებითია, თუმცა, თუ უკრაინულ მეგობრებთან ერთად სიფრთხილეს არ გამოვიჩენთ, ტანკის ქვეშ მოყოლილი ველოსიპედისტის ბედს ნამდვილად გავიზიარებთ.

გელური ცეკვები და ფარული მხარეები

სტივენ პაიფერმა, აშშ ყოფილმა ელჩმა კიევში, მოხსენება „უკრაინაში კრიზისის ნიშნობა“ ჯერ კიდევ იანვარში მოამზადა. „საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოს“ წევრმა (ამ ორგანიზაციას აშშ საგარეო პოლიტიკაზე გადაწყვეტი ზეგავლენის მოხდენა შეუძლია; იქ, საქართველოს პარლამენტისგან განსხვავებით, ქუჩიდან ხალხი არ მოჰყავთ) ეს დოკუმენტი ამავე საბჭოს „პრევენციული მოქმედებების ცენტრისთვის“ შეადგინა და, ალბათ, არც ელოდა, რომ იგი საჯარო განხილვის საგანი გახდებოდა. ფართო მასებისთვის განკუთვნილი იყო სხვა მოხსენება — „ურთიერთმოქმედება უკრაინასთან 2009 წელს“, რომელიც ორ სხვა ექსპერტთან ერთად მარტში ბრუკინგის ინსტიტუტში წარმოადგინა. იმ მოხსენებაშიც რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი იყო ნაშტრილი:

- ა) ვაშინგტონმა უნდა მოახდინოს მაქსიმალური ზეგავლენა უკრაინის უმაღლეს პირებზე, რათა იუშრენკომ და ტიმოშენკომ ერთმანეთთან ითანამშრომლონ;
 - ბ) ვინაიდან უკრაინის ბიუჯეტს ნ-მილიარდობით დეფიციტი ემუქრება, ვაშინგტონმა უნდა იზრუნოს ამ პრობლემის მოგვარებაზე (შესაძლოა, დონორთა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის გზით);
 - გ) ხელი შეუწყოს უკრაინის მმართველებს ნერგეტიკის სფეროს რეფორმირებაში, ენერგეტიკული უსაფრთხოების განმტკიცებაში, რომელზეც „ისინი პირადი ეგოისტური ინტერესების გამო ჯიუტად უარს ამბობენ“.
- ხოლო იმ მოხსენებაში, რომელიც პაიფერმა შიდა მოხარებისთვის მოამზადა (გა-

ჟონვა, როგორც ჩანს, კარგად დაგეგმილი პროგნოზის ნაწილი იყო, რაზეც — ოდნავ მოგვიანებით), გამოთქმებს — „შეეცადოს, დაარწმუნოს“ და „ხელი შეუწყოს“ — უკრაინის ხელისუფლებასთან მიმართებაში ემატება ზმნა „must“, რომელიც ინგლისურად ნიშნავს „აუცილებლად უნდა...“ (ყველაზე კატეგორიული ფორმით). თუ რატომ, ალბათ, მოხსენების ერთ-ერთი ფრაზიდან გამომდინარეობს: „იმიტომ, რომ ვაშინგტონმა უკრაინის მონერგეტიკაში მილიარდობით დოლარი ჩადო“.

მთავარი საფრთხე, ამერიკელი დიპლომატის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ უკრაინა ვერ შეძლებს, „**მოახდინოს ისეთი საგარეოპოლიტიკური კურსის ფორულიკაბა, რომელსაც ახვ მთავრობა დაეთანხმება**“; „**მეტიც, გადავა „მოსკოვა უფრო ფოქსიკაბულ კურსზე**“; „**შესაბამისად, „ვაშინგტონი ვალდაბულია, არ გაუშვას უკრაინა მოსკოვის გეოპოლიტიკურ ორბიტაზე**“.

შემდეგ, რუსლანა რომ იტყოდა, საერთოდ „**Дикі Танці**“ იწყება (ეკ, რა მიმზიდველი გოგო იყო, სანამ ის კაცი ხელში აიტაცებდა!), ვინაიდან სტივენ პაიფერი საგარეულ სცენარების დაფქვას იწყებს.

ძირითადი რისკვაქტორებია: „ყირიმული სეპარატიზმი, შავი ზღვის ფლოტი, ურთიერთობა რუსეთთან, ეთნიკურ რუსებთან დაკავშირებული პრობლემები და ნატოში გაწევრების საკითხის პოლიტიზება“.

„კიევისთვის მნიშვნელოვანია, სეპარატისტული დემონსტრაციებისა და უკრაინის შიდა უსაფრთხოების ძალების შეტაკებების უდიდესი რისკის პირობებში ოსტატურ ქმედებებს მიმართოს. ასეთმა შეტაკებებმა შეიძლება, უფრო ღრმა ვენებები გააღვივოს და კრიზისის პროვოცირება მოახდინოს, რომელიც ეჭვქვეშ დაყენებს სახელმწიფოს შესაძლებლობას, ტერიტორიული მთლიანობა შეინარჩუნოს“. პაიფერი ავითარებს აზრს, რომ „მოსკოვი შეიძლება მოექცეს საკუთარი რიტორიკის ტყვეობაში, როდესაც დაიწყება სამოქალაქო არეულობა სევასტოპოლში და შეტაკებები უკრაინის უშიშროების ძალებთან“, „რუსეთი იძულებული გახდება, მიიღოს ზომები ადგილობრივი ეთნიკური რუსების დასაცავად და შექმნას სახიფათო სიტუაცია, როდესაც რუსი საზღვაო ქვეითები და უკრაინელი სამართალდამცავები ერთმანეთს დაეჯახებიან“.

საინტერესო ხედევა. პაიფერი, ერთი მხრივ, იწონებს „კიევის გეგმებს, გაზარდოს სამხედრო კონტინგენტი ნახევარკუნძულზე“ და იქვე წერს, რომ ეს „შეიარაღებული უკრაინის საფრთხეს ზრდის“, თუმცა „უკრაინული არმიის განადგურება გაცილებით რთული და ხანგრძლივი ამოცანა იქნება, ვიდრე ქართლის“. იგი მიიჩნევს, რომ მორიგ „გაზის ომს“ რუსეთთან უკრაინამ შეიძლება საზღვაო ძალების მოქმედებით უპასუხოს (როგორც გამომდინარეობს ერთი

მეორიდან, აბსოლუტურად გაუგებარია), რათა შავი ზღვის ფლოტს სევასტოპოლისაკენ გზა გადაუღობოს.

„ორი ქვეყანა ალმონდაა დიდი კონფრონტაციის ზღვარზე, განსაკუთრებით მაშინ, თუ რუსულ და უკრაინულ გეგმებს შორის სხსლის გასვლის შესაძლებლობა გაჩნდება“.

მოკლედ, «Война в Крыму, всё в дыму», თანაც, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, ომის დაწყების წინაპირობად წარმოჩენილია საბაბები და არა მიზეზები, ასეთ შეცდომას გამოცდილი დიპლომატი არ დაუშვებდა, კონკრეტული მოტივაცია რომ არ ამოდრავებდეს.

ITALIANO VERO

სტივენ პაიფერთან დამშვიდობებისას მისი ორი მთავარი პასაჟი მოვიყვანოთ: „ვაშინგტონმა ჩუმად უნდა ურჩიოს იუშრენკოს რუსეთთან ბრძოლის შეთოვების არჩევა“ და ფრიად საგულისხმო „საქართველოს გამოცდილების გათვალისწინებით, ვაშინგტონმა ძალიან მკაფიოდ უნდა დაარწმუნოს კიევი, რომ უკრაინის მხარდაჭერა იქნება მოსალოდნელი, თუ უკრაინა მოსკოვთან დიდ კონფრონტაციაში შევა. იმ შემთხვევაშიც კი, თუ ვაშინგტონის საჯარო რიტორიკა მთლიანად დაუჭერს მხარს უკრაინის პოზიციას, პრაქტიკულ და პოლიტიკურ მხარდაჭერას, რომლის შეთავაზებაც შეერთებულ შტატებს შეუძლია, ლიმიტები აქვს. კიევი ამ ლიმიტებს უნდა აცნობიერებდეს. იუშრენკო ფრთხილი პოლიტიკოსია, ხოლო აშშ მთავრობამ უნდა გამოიყენოს ყველა შესაძლებლობა, რათა თავიდან აირიდოს შეცდომები კიევში“.

ისე, ხუთ წელიწადში მაიმუნსაც შეიძლება ასწავლო სიგარეტის მოწვევა. სააკაშვი-

ლი კი რით ვერ დაარწმუნეს, რომ ვაშინგტონის მხარდაჭერას ლიმიტები აქვს? ისე, ალბათ, ოდნავ სავსაშვლიც, თუ ამისათვის დრო და შესაძლებლობა ექნება, მოჰყვება, რა რჩევებს აძლევდნენ და რაში არწმუნებდნენ მას ამერიკელი მეგობრები 2008-ში აგვისტოს ომის წინ.

სხვათა შორის, მხარდაჭერის, ლიმიტების და, ზოგადად, ომის თემის ილუსტრირებას „Corriere della Sera“-ს ფურცლებზე ძალიან კარგად ახდენს ფრანჩესკო კოსიგა, რომელიც წლების განმავლობაში იტალიის მთავრობის და სენატის თავმჯდომარე, ქვეყნის პრეზიდენტი გახლდათ: „როდესაც 1980-ში მარშალი ტიტო სიკვდილის პირას იყო, ნატოში საბრძოლო მზადყოფნა გამოცხადდა, თუმცა საბჭოელების შესაძლო შეჭრა იუგოსლავიაში ალიანსის რეაქციას არ გამოიწვევდა, რადგან ყველა ჩათვლიდა, რომ სსრკ კავშირს მიაქვს ის, რაც იალტის შეთანხმებებით ისედაც ეკუთვნოდა. ახლა ამას შემოიღია, დავამატო, რომ იტალიაში არსებობდა გეგმა სახელწოდებით „ალეზარდა“. არ დაკმაყოფილებოდა რა იუგოსლავიით, ვფიქრობდით, რომ სსრკ შეიჭრებოდა ფრიუ-ვენეცია-ჯულიას ოლქის ზღვისპირა ზოლში, სადაც მდებარეობს ქალაქი ტრიესტი. ამასთან, გვესმოდა, რომ ვერ ვთხოვდით ნატოს ბირთვული ომის დაწყებას მის დასაცავად. იუგოსლავიაში საბჭოთა ჯარების შესვლისთანავე, — განაგრძობს კოსიგა, — ჩვენი სამხედროები ვენეციის ოლქიდან უკან დაიხევდნენ, იქ დარჩებოდნენ მხოლოდ პრეფექტი, პოლიცია და კარაბინერები, წესრიგის და უსაფრთხოების დასაცავად მანამ, სანამ საბჭოთა ჯარები ამ ფუნქციებს საკუთარ თავზე აიღებდნენ“.

ნამით დაფიქრდეთ, რომ საუბარია ალიანსის ძირძველ წევრ იტალიაზე და 80-იანების ნატოზე, რომელიც დღევანდელი სადისკუსიო კლუბისგან განსხვავებით, მეტნაკლებად შეკრული ორგანიზაცია იყო.

სინამდვილეში, ეს ძალიან ტრაგიკული ისტორიაა. შე-

საძლოა, საუბარია ყველაზე სერიოზულ არჩევანზე, რომლის გაკეთება იტალიელ პოლიტიკოსებს XX საუკუნის მეორე ნახევარში მოუხდათ. ჩრდილოეთ იტალია პლანეტის ყველაზე მშვენიერი და სიყვარულით მოწყობილი ადგილია, მის ადგილას ბირთვული უდაბნო გაჩნდებოდა, რადგან სხვა ხერხებით საბჭოთა არმიის გამჩერებელი იმ წლებში არავინ იყო. კი ბატონო, დავუშვათ, ბირთვულ იარაღს არ გამოიყენებდნენ, ისიც დავუშვათ, რომ ამერიკელები გადმოსხდებოდნენ (ვითომ?); ვენეციის, მილანის, ფლორენციისა და რომის ნანგრევებზე ტოტალური ბრძოლა გაჩაღდებოდა. ასიათასობით, მილიონობით იტალიელი დაიღუპებოდა, ომი შთანთქმავდა ყველაფერს, რაც საუკუნეთა განმავლობაში თაობებმა შექმენეს. მათ, ვინც ასწულელები პატარა ქალაქ-სახელმწიფოებში გაატარა, ქმნიდნენ და ოცნებობდნენ (თან როგორ!) მანამ, სანამ იტალიის მიწა-წყალზე მძიმედ მოაბიჯებდნენ ფრანგი, ავსტრიელი, ესპანელი და გერმანელი მეომრები, რომლებიც ასჯერ, ათასჯერ უფრო ძლიერ იმპერიებს წარმოადგენდნენ. ერთიანი იტალია ჯერ ამ შემოქმედი ადამიანების ოცნებებში დაიბადა და პოლიტიკურ რუკაზე მხოლოდ შემდეგ (როცა ამის დრო მოვიდა) გაჩნდა.

1980-ში ფრანჩესკო კოსიგას და იტალიის სხვა მმართველებს უნდა გაეცათ პასუხი კითხვაზე: რა არის იტალია და როგორი გახდება ის? — მკვდარი ტერიტორია, რომელშიც სათანადო ადგილებში სასაზღვრო ბოძებია დარტყობილი თუ ცოცხალი გული, რომელიც უკეთესი მომავლის იმედით ცოცხლობს?

ალბათ, იოლია, განიკითხო ისინი, უნოდო ლაჩარი; მეტიც, პირველმა ქვა ესროლია, მაგრამ... საბჭოელები ოდითგან სადამაყოფილებულიყვნენ და ვენეციაც დაეკავებინათ? ძალიან ძელია, დათმო ვენეცია, წარმოუდგენლად ძელია, უყურო, როგორ გადიან საზღვრო მარშით სან-მარკოს მოედანზე უცხო ქვეყნის ჯარისკაცები და თან გვეროდეს, რომ (როცა ამის დრო

საქართველო

გზურთ, გაგზიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგზიარეთ: 38-41-97, ან მოგზიარეთ: info@geworld.net

მოვა) ქვეყნის მთლიანობა აღდგება. მაღლობა ღმერთს, იმ გაზაფხულზე ლეონიდ ილიჩს მანიაკური გეგმები არ გასჩენია. სენატორ კოსიგას შეეძლო, მიეჩქმალა ეს ამბავი, მაგრამ ჩვენს დროში მან ჩათვალა, რომ იტალიელებმა, ალბათ, განსაკუთრებით, ახალგაზრდებმა, სიმართლე უნდა იცოდნენ. ერმა გაუგო, იგი არავის განუკითხავს.

ვაშასადამ, მგროველი...

ვითარება უკრაინაში ზღვრამდენად მისული. გასულ უიკენდამდე კი ესკალაცია ნებისმიერ წუთს შეიძლება დაწყებულიყო. კიევში უკვე დაპირისპირებული მხარეების მხარდამჭერების კოლონები შემოედინებოდნენ. ვითარების მოკლე აღწერა: 2010 წლის იანვარში უკრაინაში პრეზიდენტის არჩევნები უნდა ჩატარდეს. ვიქტორ იუშენკოს რეიტინგი (სხვადასხვა მონაცემებს თუ შევჯერებთ) 3%-ს არ აღემატება; არსენ იაცენიუკის რეიტინგი (ახალი ამერიკული პროექტია) 12%-ის ფარგლებში მერყევს; ორზე თუ გავამრავლებთ, იანუკოვიჩის რეიტინგს მივიღებთ; ტიმოშენკოს ჯერჯერობით 15% აქვს.

ამ სიტუაციაში იანუკოვიჩმა მიიღო ტიმოშენკოს წინადადება კოალიციის ფორმირებისა და კონსტიტუციის შეცვლის შესახებ. ახალი პროექტის თანახმად, პრეზიდენტს პარლამენტი აირჩევდა, იანუკოვიჩი პრეზიდენტი გახდებოდა, ხოლო ტიმოშენკო პრემიერის საფარდელს შეინარჩუნებდა. იუშენკო კი გააკვირდა დემოკრატიის დასამარების შესახებ და პარლამენტს დაშლით ემუქრებოდა, თუმცა ექვტარეშეა (თითქოსდა), რომ ამ კონფლიქტში იგი უეჭველად დამარცხდებოდა.

ესოდენ ნანატრი გამარჯვება ერთი ხელის განვდენაზე იყო, მაგრამ მოულოდნელად იანუკოვიჩმა ჩაშალა მოლაპარაკებები და განაცხადა, რომ იანუკოვიჩს არჩევნებზე მიდის. რატომ? პოლიტიკური ანალიზის ლაბორატორიის ექსპერტი ზოია ბალო მიიჩნევს, რომ გადაწყვეტი მნიშვნელობა იქონია ე.წ. „რუე ჯგუფის“ („როსუკრენერგოს“ ხელმძღვანელები) რჩევამ, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ძალიან მკაფიოდ აფიქსირებს უშუალოდ კრემლიდან მომავალ გზავნილებს.

საპარაულოდ, ეს იყო საფანგი და კრიტიკულ მომენტში გაომიწვავდა, რომ კოალიცია სულაც არ არის მყარი, ქვეყანა კი ორად გახლეჩის და სამოქალაქო ომის ზღვარზე დადგებოდა. რუსეთი კი, რაზეც ასე ემოციურად წერდა სტივენ ანიფარი, უსაქლოა, ჩარევა-არჩარევის

დილაის წინაშე აღმოჩენილიყო. ერთი შეხედვით, იუშენკოს საქმე გათავდა და იოლად ჩამოსაგდება გახდა („უხეზ“ ინფორმაციამაც გაეოჟონა საერთაშორისო ურთიერთობების საბჭოლან, ყირიში შეიძლება ომი დაიწყო, მიღით, მიხედვით). მაგრამ არა, დათვი საფანგი არ წავიდა.

თუ რუსული სამხრეთ და ჩრდილოეთ „ნაკადების“ პროექტები წარმატებით განხორციელდება, უკრაინაზე გამავალი მილსადენების როლი მკვეთრად შემცირდება. ამ პროექტების ჩაშლა (დრო ინურება) ვაშინგტონისთვის პრიორიტეტული ამოცანაა. მისი მიზნები ევროპასთან მისართებაში შეიძლება, შემდეგნაირად ჩამოვყავილიყო:

- 1) ევროკავშირი, როგორც აშშ ეკონომიკური (და პოტენციურად გეოპოლიტიკური) კონკურენტი, უნდა დასუსტდეს;
- 2) ევროპის ქვეყნები უნდა დაუბრუნდნენ დაქვემდებარებას მდგომარეობას, ისეთს, როგორშიც „ცივი ომის“ დროს იყვნენ;
- 3) რუსეთის, ჩინეთის, ინდოეთის ეკონომიკური და ტექნოლოგიური განვითარების ტემპები უნდა შემცირდეს მათი მთავარი ეკონომიკური და ტექნოლოგიური პარტნიორის (ევროკავშირის) განვითარების გზით.

- ამისთვის საჭიროა:
- ა) ირიბი კონტროლი ევროპის ენერგომომარაგებაზე და კრიზისების შექმნის შესაძლებლობა, რუსეთიდან მომავალი მილსადენების დაბლოკვა (უკრაინაში) და საკუთარს გაყვანა (ან ამის ილუზიის შექმნა);
 - ბ) კრიზისულ სიტუაციაში ევროპაში რადიკალური ჯგუფების გააქტიურების ხელშეწყობა;
 - გ) ნებისმიერი შიდაეკონომიკური სეპარატიზმის მხარდაჭერა;
 - დ) რუსეთსა და ევროკავშირის ქვეყნებს შორის არსებული კონფლიქტების გაღვივება და ახალი კერების შექმნა. ქაოსი უკრაინაში ამ ჩარჩოებში ლოგიკურად ჩაჯდება.

დღეს აღმოსავლეთ ევროპას ეკონომიკურ კოლაფსამდე ბევრი არ უკლია. ცოტაც, და ევროპელები რადიკალური, ლიბერალიზმისგან შორს მდგომი ხელისუფლებების არჩევას დაიწყებენ. ეს ევროკავშირის პოლიტიკურ ერთიანობას ძლიერ დარტყმას მიყენებს. გაუძლებს თუ არა იგი ამ გამოცდას? შესაძლოა, ეს კითხვები უადგილოდ შედგეს, როგორც სისხლით მორწყულ არენაზე ლომსა და ვეფხვს შორის მოქცეული გლადიატორის მსჯელობა ეთიკასა და ესთეტიკაზე, მაგრამ იგი ჩვენი ქვეყნის მომავალს უშუალოდ ეხება.

დიმიტრი მონიასვა

გერმანელები ობამას პერკელის შეურაცხყოფაში აღანაგებულან

პრეზიდენტი ბარაკ ობამა, რომელიც კაიროში მუსლიმანურ სამყაროსთან ურთიერთობის დალაგებას ცდილობდა, შესაძლოა, გერმანიაში ჩამოსვლით ახლა კანცლერ ანგელა მერკელთან ცდილობს ხიდების გადებას, რისთვისაც მას ყველა დიპლომატიური ინსტრუმენტის ამოქმედება დასჭირდება. გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არსებულ ჰარმონიაზე ოფიციალური განცხადებებისა და არაოფიციალური ჩივილების მიღმა ამ ორ ქვეყანას შორის ბზარი გაჩნდა. ჯერჯერობით საქმე ურთიერთობის კრიზისამდე არ მისულა, თუმცა არსებობს ფარული დაძაბულობა და აზრთა სხვადასხვაობა უამრავ საკითხზე — მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან დაწყებული გუანტანამოს პატიმრების მომავლით დასრულებული.



ისეთი განცდა წნდება, რომ ობამას ადმინისტრაცია ძველი მოკავშირეების რჩევებისა და მოთხოვნების იგნორირებას ახდენს, თუმცა საეჭვოა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ევროპის უმსხვილეს ეკონომიკასთან და რუსეთთან ისედაც დაძაბულ სიტუაციაში საუკეთესო შუამავალთან თავს ჩხუბის უფლება მისცეს. „ისინი ნაწყენები არ არიან, არ არიან განწყობილნი ობამას ან ამერიკის წინააღმდეგ, თუმცა მათ აშფოთებთ იმ კრიტიკის ტალღა, რომელიც ადმინისტრაციიდან და მასთან დაახლოებული ადამიანებისგან მათი მისამართით მოდის“, — მიაჩნია გერმანიაში აშშ ყოფილ ელჩს და დღეს ბერლინში მოღვაწე ბიზნესკონსულტანტს ჯონ კორნბლუმს.

„ვერ ვიტყვი, რომ მათ ობამა არ მოსწონთ. უბრალოდ, ისინი ფიქრობენ, რომ ყველაფერი ისე არ არის, როგორც უნდა ყოფილიყო. თითქოს, მთავრად არ ცდილობს მოლაპარაკებების ხელშეწყობას“, — ამბობს კორნბლუმი. ობამა დრეზდენში, ყოფილ აღმოსავლეთ გერმანიის ტერიტორიაზე ხუთშაბათს საღამოს ჩავიდა. მისი ვიზიტის პროგრამაში, ასევე, შედის ნაციონალური საკონცერტაციო ბანაკის „ბუჰენვალდის“ და ლანდშუტელში ამერიკული სამხედრო ჰოსპიტლის მონახულება. ამ დროს გერმანულ მედიას უჩნდება კითხვა: „რატომ არ აპირებს ობამა ბერლინში ჩასვლას?“ ამას ისინი ქალბატონი მერკელის შეურაცხყოფად მიიჩნევენ. კანცლერის მრჩეველები ამაში მსგავსს ვერაფერს ხედავენ და პირიქით, ობამას აღმოსავლეთ გერმანიასადმი ყურადღებას უწონებენ, სადაც მერკელი გაიზარდა.

სოციალ-დემოკრატებში, რომლებიც სექტემბრის საპარლამენტო არჩევნებში მერკელის ქრისტიან-დემოკრატების კონკურენტები არიან, ობამას პოპულარობა, ასევე, ხელს უწყობს ამერიკის პრეზიდენტის კანცლერთან უთანხმოებას. სოციალ-დემოკრატები, რომლებიც იძულებულნი იყვნენ, ქალბატონი მერკელის კოალიციაში უმცროსი პარტნიორების ადგილი დაეკავებინათ, ობამას ბუნებრივ მოკავშირედ აღიქვამენ.

„ქრისტიან-დემოკრატები ბუშის ადმინისტრაციასთან იმაზე ახლოს იყვნენ, ვიდრე ამის აღიარება სურთ. ისეთი მელიც იმ დროს საპრეზიდენტო კამპანიას ეწეოდა, ბრანდენბურგის კარიბჭესთან სიტყვით გამოსვლის ნება არ დართო და განაცხადა, რომ „გამოსვლისთვის ეს შეუფერებელი ადგილი იყო“. ამის შემდეგ ობამამ სიტყვა იქვე ახლოს მდებარე ძეგლთან წარმოთქვა, რომლის მოსასმენადაც 200 000-ზე მეტი ადამიანი მივიდა.

გერმანიაში ბევრს მიაჩნია, რომ ბრწყინვალე ობამა და საფრანგეთის ექსტრავაგანტული პრეზიდენტი ნიკოლა სარკოზი ერთმანეთთან საერთო ენას ბევრად უფრო მარტივად პოულობენ, ვიდრე სერიოზულ ქალბატონ მერკელთან და ნატოს მმართველობით სტრუქტურაში საფრანგეთის დაბრუნებაზე სარკოზის გადაწყვეტილებაც, იმის მიუხედავად, რომ ამას ავღანეთის ომზე გავლენა არ მოუხდენია, გერმანიის განვითარების მკვეთრი კონტრასტი გახლდათ, რომელიც უარი განაცხადა ავღანეთის სამხრეთით მიმდინარე ბრძოლებში მონაწილეობის მიღებაზე, სადაც სიტუაცია ძალიან დაიძაბა.

ამავე დროს, მემარცხენე ნიკოლას კულიში „ნიუ-იორკ თაიმსი“

საქართველოში იაფფასიან აპირიკულ მანქანებზე მოთხოვნილება გაიზარდა

საქართველოში შემოსული ამერიკული მანქანების დიდი ნაწილი უზარისხსოა და ეს პრობლემებს უქმნის როგორც კლიენტს, ისე მანქანების ექსპორტიორსაც.

როგორც „მედიანიუსს“ საქართველოში ავტომანქანების კერძო ექსპორტიორმა ლევან ჯიშკარიანმა განუცხადა, საქართველოში იაფფასიან ამერიკულ მანქანებზე მოთხოვნილება გაიზარდა, რომელთა დიდ ნაწილს უზარისხსოა. „როდესაც 2005 ან 2006 წელს გამოვყავთ მანქანას ამერიკაში 2-3 ათას დოლარად ყიდულობ, წინასწარ უნდა იყო შეგუებული, რომ მანქანა გაგანაშობს, მაგრამ, როგორც წესი, კლიენტურა თვლის, რომ 2-3-ათასდოლარიანი მანქანა კარგად გამართული უნდა იყოს და მისი საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ ინყება პრობლემები, ურთიერთპრეტენზიები“, — აცხადებს ჯიშკარიანი. მისი თქმით, ამერიკაში იაფად იყიდება ის მანქანები, რომელთაც მძიმე ავტოსაგ-

ზაო შემთხვევა აქვს გადატანილი ან წყალში იყო ჩაძირული. „ასეთ მანქანებს, როგორც წესი, პრობლემები საქართველოში ჩამოსვლიდან დაახლოებით 2-3 თვეში უჩნდებათ და, რეალურად, 2-3-ათასდოლარიანი მანქანა კლიენტს ორმაგი და სამმაგი უჯდება“, — ამბობს ჯიშკარიანი. მისი ინფორმაციით, ბევრ კერძო ექსპორტიორს კლიენტის შეცდომამ შეჰყავს, ყალბ გარანტიებს აძლევს და „მანქანის თავიდან მოშორების შემდეგ ემალება და აღარ პასუხობს კლიენტის ზარებს.“

ეს კი, ჯიშკარიანის თქმით, ლაზავს იმ კერძო ექსპორტიორების იმიჯს, რომლებიც ზაზარზე მუშაობენ. „მე მყავს მანქანები, რომლებზეც 100-პროცენტით გარანტიას ვიძლევი. მაგრამ ეს მანქანები ვიდრე მარტივი და მარტივად მართავი არ არის, ამიტომ მოთხოვნილება მაინც იმ იაფფასიან ავტომანქანებზეა, რომელზე გარანტიებს ვერც მე მივცემ და ვერც — აუქციონი. მე ამას კლიენტს პირდაპირ ვეუბნები, მაგრამ საოცარია ისაა, რომ გადაწყვეტილებას მაინც არ ცვლიან.“

რასე ფიქრობს მაისაშვილი, რამ დალალო ნოღაიდელი და რა გზას დაადგა გურჯანაძე

...ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულმა პროცესებმა, როგორც ჩანს, მარტო ხელისუფლების წარმომადგენლებს არ აუბნია პოლიტიკური გზაკვალა — ორვიანი საპროტესტო ეიფორიის ქარცეცხლში მყოფ ოპოზიციის ლიდერებსაც არანაკლებ მკვეთრად ეტყობათ სისუსტე და დაბნეულობა...

ამაზე საჯაროდ ცნობილი არა ერთი ფაქტი მეტყველებს, მათ შორის, თავად ლიდერთა ბოლოდროინდელი განცხადებებიც, რომელთაგან ზოგიერთი ხელისუფლების მძლავრ ანტიოპოზიციურ ბერკეტად იქცა, ზოგიც — საზოგადოების იუმორისა და დაციინვის ობიექტად... ამჯერად გთავაზობთ ოპოზიციის ლიდერთა იმ „ფრთიან“ გამოხატულებებსა და ფრაზებს, რომლებმაც ორივე ფუნქცია თანაბრად და საკმაოდ „ხარისხიანად“ შეითავსეს.

უწინარესად, გავისხენოთ ვია მაისაშვილის ერთობ არაორდინარული შეფასება — „ოპოზიცია პოლიტიკურ მასტურბაციას ეწევა“, რომელიც, მართალია, თავად მაისაშვილმა ხელისუფლების „ჯიბის უურნალობის“ უხეირო მონაჭორად შერაცხა, მაგრამ ოპოზიციის დანარჩენ ლიდერთათვის მაინც „ყურადსაღები“ კომენტარი აღმოჩნდა... დაიხ, „ყურადსაღები“ და, ამავე დროს, „ეფექტიანიც“, ვინაიდან ზოგიერთი ლიდერი სწორედ ამ კომენტარის მოსმენის შემდეგ დაფიქრდა საერთო ოპოზიციურ სტრატეგიაზე და მივიდა „ლოგიკურ“ დასკვნამდე — მასტურბაციით, მით უმეტეს, პოლიტიკურით, უმთავრესი პოლიტიკური მიზანი, რასაც „ახალი ლიდერის დაბადება“ ჰქვია, ვერ მიიღწევა...

მაისაშვილის ეს „რკინიბურთი ლოგიკა“, რომელსაც, შეიძლება ითქვას, ოპოზიციური სპექტრის სტრატეგიულ დაქუცმაცებაში ლომის წილი უდევს, კიდევ უფრო „გამყარდა“ მისივე მომდევნო განცხადებით: კერძოდ, ამ რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოსთვის მიცემულ ინტერვიუში მან კიდევ უფრო განავრცო პოლიტიკური მასტურბაციის თემა და ამით „ონანისტ“ ოპოზიციის საკითხის საუბრის ანალიზი შესთავაზა. მისი განმარტებით, პოლიტიკური მასტურბაცია — ეს არის „ერთი ადგილის უარო ტყუპა“, რომელიც, თურმე, ოცი წელია, გრძელდება ჩვენი ქვეყანაში (სანაგრძლო ნამდვილად შთამბეჭდავი)...

„მე მინდა, რომ ქართულ პოლიტიკაში შედგეს სასიყვარულო აქტი, ვინაიდან, თუ გინდა, რომ ბავშვი გაჩნდეს, პოლიტიკურ შედეგს ვგულისხმობ, ეს აუცილებელია... ბოლოს და ბოლოს, ქართველებმა ხომ უნდა ვისწავლოთ საქმის კეთება“, — აცხადებს მაისაშვილი ერთ-ერთ ინტერვიუში.

დარწმუნებული ვარ, ეს არ არის აზრის ფორმულირების ექსპრესიული მოფიქრებული სტილი, არამედ ხანგრძლივი ფიქრისა და თავისმტკიცების შედეგია... ეტყობა, ბატონ მაისაშვილს თავისუფალი დრო ბევრი აქვს იმისთვის, რომ განმარტოვდეს და იფიქროს,

იოცნებოს და საკუთარ წარმოსახვაში სიამოვნების წყაროდ აქციოს ყველაფერი, მათ შორის, პოლიტიკური პროცესებიც, რომელთა უშედეგობას მართლაც ბევრი რამ აქვს საერთო მისაგვე ეროტიკულ შეხედულებებთან...

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. რაც შეეხება რეალობას, ვია მაისაშვილის ამ განცხადებას ოპოზიციურ სპექტრში არაერთგვაროვანი შეფასება მოჰყვა — ზოგიერთმა ლიდერმა ვერაფრით დაიჯერა, რომ მაისაშვილმა ასეთი რამ თქვა, ზოგიერთი კი გავებით შეხვდა თანამებრძოლის პოზიციას. მაგალითად, გოგა ხაინდრავას განცხადებამ, რომელიც მან პარლამენტის წინ გამართულ მიტინგზე გააკრია, ლამის იდეურად გააგრძელა მაისაშვილის „მოძღვრება“. კონკრეტულად, მან თქვა, რომ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებით ახალი საზოგადოება იბადება, რომელიც არასოდეს დაუშვებს უპასუხისმგებლო ქმედებებს ხელისუფლების მხრიდან...


როგორც ჩანს, ხაინდრავა მხოლოდ ნაწილობრივ იზიარებს მაისაშვილის პოზიციას. აღიარებს, რომ ოპოზიცია პოლიტიკურ მასტურბაციას ეწევა, მაგრამ არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ „მასტურბაციით ბავშვის გაჩენა“ შეუძლებელია...

აი, ფაქტიც — ოპოზიციურ სპექტრში ერთსულოვნების დეფიციტია, თანაც, ისეთ საკვანძო საკითხებზე, როგორც

ბატონი მაისაშვილის მიერ ფრიად საინტერესოდ წამოჭრილი თემატიკა...

ხელისუფლება, რა თქმა უნდა, გულხელდაკრეფილი არ ზის — „ნაცმოძრაობის“ თავიანთ „ქურაში“ ერთობ ოსტატურად აცხობენ და საზოგადოებაში ნაირ-ნაირ სახუმარო ჭორს ყრიან. მაგალითად, ამასწინათ ითქვა: მაისაშვილმა პოლიტიკური მასტურბაციის თემა იმითომ წამოიწია, რომ ხელისუფლები ცოტა ხნით მაინც დასვენდნენ (მოგესხნებათ, პატივცემულ გიორგის ლაპარაკის დროს ხელისუფლების ქენჯერს ვხედავ)...

არ ვიცი, „ნაცმოძრაობა“ რა ლოგიკით ჩათვალეს, რომ აქციებმა ყველაზე მეტად მაისაშვილი დააღალა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ უკანასკნელს დადღობის არაფერი ეტყობა, პირიქით, კაცი „მასტურბაციის“ წინააღმდეგია „ვირტუალური ქმედება“... ამდენად, ხელისუფლების „კომპრომატები“ მაისაშვილის წინააღმდეგ უძლეული აღმოჩნდა, თუმცა მაისაშვილი ერთადერთი სამიზნე არ ყოფილა — ამ რამდენიმე დღის წინათ სააკაშვილმა საკმაოდ მკვეთრად გააკრიტიკა თავისი ყოფილი თანამებრძოლი ზურაბ ნოღაიდელი, რომელიც ბოლო დროს, ცოტა არ იყოს, უცნაურად გააქტიურდა. დი-



ახ, სწორედ უცნაურად, იმიტომ, რომ ნოღაიდელის მხრიდან, რომელიც ჯერ კიდევ ხელისუფლებაში ყოფნის დროს დადღობის სიმბოლოდ იქცა, ნამდვილად არავინ ელოდა ხელისუფლების მისამართით მწვავე განცხადებებს...

არადა, თურმე, „დადღობის ვირსაც“ შესძლებია ნიხლების ქნევა, მიუხედავად იმისა, დადღობა თუ არა... უფრო მეტიც — „იმ შემოსავალს, რომელიც ბიზნესიდან მივიღებ, ხელისუფლებიდან სააკაშვილის ჩამოშორებას მოვასწარავ“, — დაიძუქრა ნოღაიდელმა; სააკაშვილმა კი ამის პასუხად საზოგადოებას „აღიარებითი ჩვენება“ მისცა და განაცხადა: „ერთი ჩემი მეგობარი გადააყენებ მინისტრობიდან, რადგან ხელზე რაღაც მიეკრ და გული გახეთქვას შექონდა“... „მიკვრამი“ ის, რა თქმა უნდა, ბიუჯეტიდან ფულის „მოტეხვას“ გულისხმობდა, „მომტეხი“ კი, თავისთავად, — ნოღაიდელს... სხვათა შორის, ამ განცხადებით სააკაშვილმა ფარდა ახადა უამრავ „საიდუმლოს“, მათ შორის, იმასაც, თუ რამ დალალო ნოღაიდელი და რატომ შეარქვეს მას მეტსახელი „დადღობის ვირი“...

რაც შეეხება ქართული პოლიტიკის „პრიმადონად“ ნოდებულ ნინო ბურჯანაძეს, მისი პოზიცია რომ უკიდურესად რადიკალური იყოს, ყველას კარგად მოგვეხსენება და რაც უნდა კრიტიკული განცხადებები აკეთოს, სა-

ზოგადოების გაკვირვებას არ იწვევს; პირიქით, პროტესტანტთა დიდმა ნაწილმა (ყოველ შემთხვევაში, იმან დადღობის სიმბოლოდ იქცა, ნამდვილად არავინ ელოდა ხელისუფლების მისამართით მწვავე განცხადებებს...

არადა, თურმე, „დადღობის ვირსაც“ შესძლებია ნიხლების ქნევა, მიუხედავად იმისა, დადღობა თუ არა... უფრო მეტიც — „იმ შემოსავალს, რომელიც ბიზნესიდან მივიღებ, ხელისუფლებიდან სააკაშვილის ჩამოშორებას მოვასწარავ“, — დაიძუქრა ნოღაიდელმა; სააკაშვილმა კი ამის პასუხად საზოგადოებას „აღიარებითი ჩვენება“ მისცა და განაცხადა: „ერთი ჩემი მეგობარი გადააყენებ მინისტრობიდან, რადგან ხელზე რაღაც მიეკრ და გული გახეთქვას შექონდა“... „მიკვრამი“ ის, რა თქმა უნდა, ბიუჯეტიდან ფულის „მოტეხვას“ გულისხმობდა, „მომტეხი“ კი, თავისთავად, — ნოღაიდელს... სხვათა შორის, ამ განცხადებით სააკაშვილმა ფარდა ახადა უამრავ „საიდუმლოს“, მათ შორის, იმასაც, თუ რამ დალალო ნოღაიდელი და რატომ შეარქვეს მას მეტსახელი „დადღობის ვირი“...



აუუ უარს აგებოვს „დემოკრატიის ექსპორტზე“

აშშ პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ შესრულა თავისი კარგახნის წინანდელი დანაპირები და მთელი მსოფლიოს მაჰამადიანებს საპროგრამო სიტყვით მიმართა. კაიროს უნივერსიტეტში გამოსვლისას ობამამ განაცხადა, რომ აღარ აპირებს, ჩაეროს რეგიონის ქვეყნების საშინაო საქმეებში „დემოკრატიის ექსპორტის“ ლოზუნგით. სანაცვლოდ, აშშ პრეზიდენტმა მოუწოდა ისლამურ სამყაროს, უარი თქვას კოლონიალიზმისა და „ცივი ომის“ სტერეოტიპებზე. ობამას წინადადება „თავიდან დაწყების“ შესახებ არსობრივად ნიშნავს მონოდებას, გადაიხედოს ვითარება მთელ ახლო აღმოსავლეთში, რომელიც პოსტკოლონიურ ეპოქაში ჩამოყალიბდა და დღეს მხოლოდ ამერიკული ჩარევის წყალობით არსებობს.

„არც ერთ ქვეყანას არ შეუძლია და არც უნდა მოახვიოს სხვებს თავისი პოლიტიკური სისტემა“, — ხაზი გაუსვა ობამამ და მოუწოდა ისლამურ სამყაროს, „ბოლო მოულოს ურთიერთუნდობლობის მანკიერ წრეს“.

„კოლონიალიზმის დროს უამრავი მაჰამადიანი მოკლულნი იყვნენ თავიანთი უფლებებისა და მისწრაფებების რეალიზაციის საშუალებას, — თქვა მან, — „ცივი ომის“ წლებში სახელმწიფოები თავიანთ ბრძოლაში მუსლიმანურ ქვეყნებს ხშირად იარაღად იყენებდნენ და არ ინტერესდებოდნენ მათი პრობლემებით“. შედეგად, ისლამურ სამყაროში ძალაუფლება ხელთ იგდეს ისეთმა წრე-

ებმა, რომლებიც „თესდნენ სიძულვილს და არა მშვიდობას, ამჯობინებდნენ კონფლიქტებს, უარს ამბობდნენ თანამშრომლობაზე“.

გენ, რომ იმ ვითარებაში, როცა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების საზღვრების 90 პროცენტი კოლონიური პერიოდის საზღვრებს ემთხვევა, რეგიონული კონფლიქტები კვლავაც შეიძლება წარმოიქმნას, რადგან მოიხსნა „ცივი ომის“ ფაქტორი, რომელმაც 50-ზე მეტი წლის განმავლობაში დააკონსერვა პოსტკოლონიური ვითარება მსოფლიოს ამ რეგიონში.

ამერიკის შეერთებული შტატების მცდელობა, თავისი კონტროლისათვის დაექვემდებარებინა ახლო აღმოსავლეთი „ცივი ომის“ დამთავრებისა და სსრ კავშირის დაშლის შემდეგ, ჩაიშალა,

რაც ბარაკ ობამამ კაიროში დაამტკიცა კიდევ.

მეორე მხრივ, რეგიონის საქმეებისგან გარიდება შეიძლება გახდეს იქ არსებული პოლიტიკური სისტემის სრული კრაზის მიზეზი. ვერცერთი ახლოაღმოსავლური სახელმწიფო ვერ იარსებებს აშშ დახმარების ან „ამერიკასთან ბრძოლის“ ლოზუნგის გარეშე. რეგიონის საქმეებში ჩახედული სპეციალისტების აზრით, რაგინდ მხარი დაუჭირონ ამერიკას ეგვიპტის პრეზიდენტმა ხოსნი მუბარაკმა ან საუდის არაბეთის მეფე აბდულამ, მაჰმუდ აჰმადინეჯადი ან უსამა ბენ ლადენი ობამას მაინც შეაჩვენებენ, მაშინაც კი გალან-

ძღვენ, ამერიკის პრეზიდენტმა საჯაროდ რომ განაცხადოს: ისლამის მიმდევარი ვხდებით.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ ბარაკ ობამასადმი ნდობის დონე მკვეთრად მალაღია ჯორჯ ბუშისადმი ნდობის დონესთან შედარებით: ასეა ახლო აღმოსავლეთსა და მთლიანად მაჰამადიანურ სამყაროში. თუ ობამამ დანაპირებს კონკრეტული საქმეებიც მიადევნა, უნდა ველოდოთ, რომ უახლოეს პერიოდში ახლო აღმოსავლეთში სერიოზული ცვლილებები მოხდება გეოპოლიტიკურ დონეზე.

ჯიმი ჯალიაშვილი:

ამერიკა სვლის თავის მილიტარისტულ სტრატეგიას და პოლიტიკური ასპარეზის ახალ ეტაპზე გადადის...

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის უკიდურესად გამწვავებას საერთაშორისო ექსპერტთა გარკვეული ნაწილი ქართული დიპლომატიის არაადეკვატურობად აფასებს. ირიბად, მაგრამ თითქმის იმავე მოსაზრებას გამოთქვამენ მსოფლიოს ნამყვან სახელმწიფოთა დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებიც, რომელთა ურყევი პოზიცია საქართველოსთან მიმართებაში ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნებს ჩვენი საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის არახელსაყრელობაზე.

ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფი ქართველი საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილია ამ პოზიციის მქონე დიპლომატთა ვინაობა, ხოლო ის განცხადებები, რომელთა დაბლოკვაც „ნაცმოძრაობის“ მიერ ოკუპირებულმა ტელემედია ვერ შეძლო, კრემლის პოზიციის „დასავლურ გახმანებად“ შეიარაცხა...

რეალურად კი სულ სხვა რამეზე მეტყველებს — დასავლეთი, უფრო სწორად, ევროპა, რომელიც ზომიერი პოლიტიკის პრინციპებით ხელმძღვანელობს, თავის შეფასებებში ერთობ რაციონალურია. ეს ნიშნავს, რომ მისთვის, ამერიკისგან განსხვავებით, საქართველო არ წარმოადგენს კრემლის წინააღმდეგ სამოქმედო ბერკეტს, რაც თავისთავად გამოიწვევს რუსეთთან რაიმე ტიპის დაპირისპირებას... ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას კი, როგორც ჩანს, არ სურს, გაიგოს, რომ ევროპა ვერ იქნება კრემლთან მიმართებაში რადიკალური, რომ ეს ოდითგანვე ეწინააღმდეგებოდა და დღესაც ეწინააღმდეგება მის გეოსტრატეგიულ ინტერესებს... ჩვენი დიპლომატიის არაადეკვატურობაც, შეიძლება ითქვას, ამ ესოდენ მცდარ შეხედულებებშია, რომლის ბრმა „ერთგულეობაშიც“ მყისიერად მიგვიყვანა უმძიმეს პოლიტიკურ და სოციალურ მდგომარეობამდე...

გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორთან, პროფესორ ჯიმი ჯალიაშვილთან, რომელიც ქართული დიპლომატიის არაადეკვატურობას კვალიფიციური კადრების არარსებობით ხსნის.



— ბატონო ჯიმი, ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს, იქნება ეს რუსეთთან ურთიერთობის გამწვავება თუ ქვეყნის სივრცითი მიმდინარე პროცესები, ოპოზიციისა და საზოგადოების წარმომადგენლები ხშირ შემთხვევაში ჩვენი დიპლომატიის არაადეკვატურობით ხსნიან. თქვენ აზრით, რამდენად სწორია ეს მიდგომა და, საერთოდ, რამდენად არის ქართული დიპლომატია ქვეყანაში არსებული პრობლემების მოგვარებაზე ორიენტირებული?

— ცენტრალური ხელისუფლების ძირითად მიზნების განხორციელებაში დიპლომატიური კორპუსის როლი, რა თქმა უნდა, ძალიან დიდია, მაგრამ არა იმდენად მნიშვნელოვანი, რომ ქვეყნის სტრატეგიისა და სტრატეგიული კურსის შეცვლა შეძლოს. ეს აღემატება დიპლომატიის შესაძლებლობებს.

ის ფაქტი, რომ დღეს საქართველოს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანასთან აქვს დიპლომატიური ურთიერთობა, თავისთავად მისაღებია, მაგრამ მეორე და უფრო მნიშვნელოვანი საკითხია, რამდენად კვალიფიციური და გამოცდილებით არიან ჩვენი დიპლომატები... პოსტსაბჭოთა სივრცეს რომ შევხედოთ, ყველაზე დახვეწილი დიპლომატიური უნარით რუსეთი გამოირჩევა, რადგან მას ოდითგანვე ჰქონდა შესაბამისი სასწავლებლები და დიდ გამოცდილებასაც იღებდნენ...

ჩვენთან რა კრიტერიუმებით ნიშნავენ დიპლომატებს, გაუგებარია და, რაც ყველაზე საყურადღებოა, დავალებს, რასაც ცენტრალური ხელისუფლება აძლევს დიპლომატებს, პრაქტიკულად განუხორციელებადია.

ამაზე მეტყველებს ის წარუშლელი, რომელიც საქართველომ, განსაკუთრებით,

ავგისტოს ომის დროს და შემდეგაც განიცადა საერთაშორისო ასპარეზზე... — თქვენ დიპლომატიის კვალიფიკაცია ახსენეთ... ამ რამდენიმე ხნის წინათ საქართველოს მუდმივმა წარმომადგენელმა გაეროში კახა ლომაია (რომელსაც, როგორც ამბობენ, არანაირი დიპლომატიური გამოცდილება არ გააჩნია) საკმაოდ მწვავედ გააკრიტიკა პან გი მუნის მოხსენება საქართველოს კონფლიქტური რეგიონების შესახებ. ოპოზიციის ლიდერებმა ეს განცხადება საქართველოს საერთაშორისო იმიჯის შელახვად შეაფასეს...

— ჩვენთან დიპლომატიის აკადემია არსებობს, საკმაოდ დიდი ხნის წინათ გაიხსნა, მაგრამ ჯერ არ გამოვიდა გვარი, რომელიც დიპლომატიის სამსახურში დგას ამ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ.

რაც შეეხება იმას, რომ ერთსა და იმავე პიროვნებას შეუძლია, განათლების სამინისტრო მართოს, იყოს უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე და ელჩი ისეთ მნიშვნელოვან ორგანიზაციაში, როგორც გაერო, ჩემთვის, ცოტა არ იყოს, გაუგებარია. როგორც ჩანს, ამით დიპლომატიაზე ძალიან მცდარი წარმოდგენა აქვთ, ჰგონიათ, რომ, რაც უფრო მეტ მწვავე განცხადებას გააკეთებენ და რაც უფრო მძაფრად გააკრიტიკებენ რომელიმე სახელმწიფოს, ამ შემთხვევაში, რუსეთს, მით უფრო მეტ წარმატებას მიაღწევენ... არადა, დიპლომატიის ფუნქცია არ არის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის გამწვავება, კონფრონტაცია და შუღლი, პირიქით: დიპლომატიის უპირველესი ამოცანა კონფლიქტების უმტკივნეულოდ მოგვარება და ქვეყნებს შორის ურთიერთობების დარეგულირებაა. ეს არის ერთგვარი აქსიომა დიპლომატიის სფეროში,

რომელიც ამა თუ იმ ქვეყანაში კეთილგანწყობისა და შესაბამისად, გავლენის მოპოვებას გულისხმობს, თუმცა საქართველომ რა დიპლომატიური გავლენა უნდა მოახდინოს სხვა ქვეყანაში, როცა საკუთარი ტერიტორიის ერთ მესამედზე კონტროლი დაკარგული აქვს?! — მე ნაკითხვებზე კახა ლომაიას განცხადება პან გი მუნის მოხსენების თაობაზე და უნდა ითქვას, რომ ეს იყო რუსეთ-საქართველოს შორის არსებული პრობლემების გაეროში გადატანის მორიგი მცდელობა. ამ განცხადებაში არაფერია ნათქვამი რუსეთთან ურთიერთობის დარეგულირების მშვიდობიან დიალოგზე, საუბარია მხოლოდ ზენონის გაძლიერებაზე, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს ჩვენი დიპლომატიური კურსის არაადეკვატურობას... — საზოგადოების მხრიდან ხშირად ისმის გრიგოლ ვაშაძის კრიტიკაც, უწინარესად, იმიტომ, რომ იგი რუსეთის მოქალაქეა... — ის, რომ გრიგოლ ვაშაძე რუსეთის მოქალაქეა, არა მგონია, ქართული დიპლომატიისთვის რაიმე ხელისშემშლელი ფაქტორი იყოს. თუ გადავხედავთ ჩვენს ისტორიას, არიან ადამიანები, რომლებიც რუსეთში დაბადებულნი და უკეთებით ქართული საქმე; და პირიქითაც — საქართველოში დაბადებულნი რუსეთში სამსახურში მდგარან, თანაც, პირნათლად... ასე რომ, გრიგოლ ვაშაძე საზოგადოებისთვის მიუღებელი შეიძლება იყოს არა იმის გამო, რომ ის რუსეთის მოქალაქეა, არამედ იმიტომ, რომ პოლიტიკა, რომელსაც ის ემსახურება, მცდარი და ქვეყნისთვის ზიანის მომტანია.

ამასთან, მისი საუბრის ტონი და მანერა სრულიად არ თავსდება დიპლომატიის ჩარჩოებში. ის შურაცხმყოფელი სიტყვები, რომლებსაც

ბატონი ვაშაძე რუსი პოლიტიკოსების მიმართ ხშირად იყენებს, მის არაკვალიფიციურობასა და პოლიტიკურ უკულტურობაზე მეტყველებს... — დასაწყისში ახსენეთ, რომ დიპლომატიური კორპუსი ქვეყნის სტრატეგიულ კურსს ვერ შეცვლის. იქნებ, დავაკონკრეტოთ, სად გადის დიპლომატიის შესაძლებლობების ზღვარი და რა კორექტივების შეტანა შეუძლია მას ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკურ ორიენტაციაში? — უპირველესი ამოცანა არის ხელისუფლების რიტორიკა, რომელზეც დიპლომატიური კორპუსი, რა თქმა უნდა, შეუძლია ზეგავლენის მოხდენა. უფრო მეტიც, როცა ქვეყნის ხელმძღვანელობა ქუჩურ რიტორიკით საუბრობს და როცა კეთდება მუქარის შემცველი განცხადებები მეზობელი სახელმწიფოს მისამართით, დიპლომატიური კორპუსი პირდაპირ ვალდებულია, ხელისუფლებას ტონის შერბილებისკენ მოუწოდოს; ხოლო როცა პირიქით ხდება, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ საერთოდ არ ვიცით, რა არის პოლიტიკა... ამ თვალსაზრისით ყველაზე დიდი საფრთხე საქართველოს მომავალში დაემუქრება. ვთქვათ, ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები, ხელისუფლებაში მოვიდა ის ხალხი, რომელიც დღეს ოპოზიციაშია და აცხადებს, რომ რუსეთთან ურთიერთობას მოაგვარებს. რა გარანტიები არსებობს, რომ მათი მმართველობის პირობებში კიდევ უფრო მწვავე კონფრონტაციულ ურთიერთობას არ მივიღებთ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან? ჩვენ ხომ არ ვიცით, ისინი რა გზებზე აპირებენ კრემლთან საერთო ენის გამონახვას? იქნებ, ურთიერთობის დარეგულირებაში კიდევ უფრო შემტვევი პოლიტიკის გატარებას გუ-

ლისხმობენ ან, იქნებ, კრემლისთვის სრულიად მიუღებელი აღმოჩნდეს მათი სტრატეგიული კურსი?! ეს ის საკითხებია, რომელთა გაუთვალისწინებლობამ ერთხელ უკვე მიგვიყვანა კატასტროფის ზღვრამდე და იმავე შეცდომების გამეორება შეიძლება საბოლოო წერტილი აღმოჩნდეს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის არსებობისთვის... სააკაშვილის შეცდომებზე მომავალ ხელისუფლებას ბევრი რამის სწავლა შეუძლია. ყველაზე დიდი შეცდომა კი ის იყო, რომ ტერიტორიული მთლიანობის ძალის გამოყენებით აღდგენაზე წავიდეთ... ამ ხელისუფლებამ, როცა შეიარაღებულ თავდასმას იწყებდა, ვერ გაითვალისწინა, რომ სამაჩაბლოში გაეროს მანდატით აღჭურვილი რუსეთის სამშვიდობო ძალები იდგნენ, რომელთა მიმართულებით, თუ გადავტოვებთ ტყვეობის გასროლას გაეროს წინააღმდეგ ომის დაწყებას ნიშნავდა. მიმართა, რომ ჩვენ ვაცილებით უფრო მსუბუქი შედეგი მივიღებთ, ვიდრე მოსალოდნელი იყო სამართი რიტორიკით რუსეთის პროვოცირების შედეგად... — გასაგებია, მაგრამ რუსი სამშვიდობოები ვერც სამაჩაბლოში და ვერც აფხაზეთში გაეროს მიერ დაკისრებულ ფუნქციას ვერ თუ არ ასრულებდნენ — იყო პროვოკაციები, გახშირებული თავდასხმები... რა გამოსავალი რჩებოდა ქართულ მხარეს? — ის, რაც ავგისტოში მოხდა, არავითარ შემთხვევაში გამართლებული არ არის. სალად მოაზროვნე ნებისმიერი ადამიანი მიხვდებოდა, რომ ეს ომი ჩვენთვის სრულიად არასასურველი შედეგით დამთავრდებოდა. თავის მხრივ, რუსეთისთვისაც საკმაოდ მტკივნეული აღმოჩნდა ეს დაპირისპირე-

ბა, რადგან ჩვენ მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა გვაკავშირებს, თანაც, არა ერთი და ორი მიმართულებით — საქართველო თითქმის ყველა მიმართულებით სამუდამოდ ჩაებეჭდა რუსეთის ისტორიის გარკვეულ მონაკვეთს... დღეს უკვე ლაპარაკი იმაზე, რატომ დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო, ცოტა არ იყოს, გულუბრყვილობად მიმაჩნია. ვინც საკითხს ასე სვამს, მან, უბრალოდ, არ იცის, რომ თანამედროვე მსოფლიო ძალასა და ძალისმიერ წესრიგზე აგებული სამყაროა. რუსეთის პოლიტიკა საქართველოს მიმართ სავსებით ლოგიკურია — საქართველო კრემლს აძლევს რეალურ საბაბს, რომ შემოვიდეს და დაგვიპყროს... მისი საპასუხო ქმედებებიც სავსებით დროული და ადეკვატურია... — ამ დღეებში რუსეთის მხრიდან საგანგებო განცხადება გაკეთდა იმის თაობაზე, რომ ავგისტოს ომის შემდეგ საქართველო გამალბულ შეიარაღებას ეწევა. ქართულ მხარეს ეს ინფორმაცია არ დაუდარსებებია, თუმცა ითქვა, რომ ქვეყნის მილიტარიზაციის პროცესი არ შეწყვეტილა. როგორ ფიქრობთ, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ რუსეთთან მორიგი სამხედრო დაპირისპირება მოსალოდნელია? — გამორიცხული არაფერია, მაგრამ იქნება თუ არა მორიგი დაპირისპირება, ეს მეტწილად დამოკიდებულია რუსეთისა და ამერიკის შეთანხმებაზე. მე ვიცი, რომ „თეთრი სახლი“ უკვე უარს ამბობს შეიარაღების გაზრდასა და იარაღის მიწოდებაზე იმ ქვეყნებისთვის, რომელთა მილიტარიზაცია პირდაპირ ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს. ამით იმის თქმა არ მსურს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეს ნაბიჯი კრემლის დიპლომატიური ზემოქმედების შედეგია, მაგრამ ერთი რამ უდავო ფაქტია — ამერიკა ცვლის თავის მილიტარისტულ სტრატეგიას და პოლიტიკური ასპარეზობის ახალ ეტაპზე გადადის... ეს, რა თქმა უნდა, ჩვენს ქვეყანაზეც აისახება — საქართველო ვეღარ გააგრძელებს მილიტარიზაციის იმ პროცესს, რომელიც სააკაშვილმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო... შესაბამისად, ამ თვალსაზრისით ნაკლებია იმის საფრთხე, რომ რუსეთთან სამხედრო დაპირისპირება განახლდეს, თუმცა, როგორც დასაწყისში ვთქვი, თუ საქართველო კრემლის გეოპოლიტიკური ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი გახდება, ომის საშიშროება თავისთავად გაიზრდება... ჯაბა შვანია

იქნება თუ არა მორიგი დაპირისპირება, რუსეთისა და ამერიკის შეთანხმებაზე და დამოკიდებული

ამერიკის გზა ფაშისკენ

ისტორიული გამოცდილება — გაიხსენეთ ჰიტლერი, პინოჩეტი და ბევრი სხვა — საშუალებას იძლევა, გამოვავლინოთ გარკვეული სტანდარტული მოქმედებების ნაკრები, რომელსაც იყენებს ყველა დიქტატორი, როცა საკონსტიტუციო სამართლის დიქტატორი იქნება. ისინი არიან, როგორც ნაომი ვულფი ირწმუნება, ამ „ინსტრუქციას“ ბუშის ადმინისტრაციაც ბევრითაა მიჰყვება. გასულ შემოდგომაზე ტალიანდში სამხედრო გადატრიალება მოხდა. პუტჩის ორგანიზატორები, თითქოსდა წინასწარ შედგენილი ნუსხის მიხედვით, სისტემატურად იღებდნენ გარკვეულ ზომებს. კაცმა რომ თქვას, გარკვეული თვალსაზრისით, ასეთი სია ჰქონდათ კიდეც. მოკლე ხანში დემოკრატიას ხოლო მოელო: პუტჩისტებმა ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოაცხადეს, საცხოვრებელ რაიონებში შეიარაღებული ჯარისკაცები შეუშვეს, კონტროლზე აიყვანეს ტელე და რადიოსადგურები, რეგლამენტი დაუნესეს პრესას, მკაცრად შეზღუდეს ხალხის გადაადგილება და დაპატიმრეს ზოგიერთი საზოგადოებრივი აქტივისტი.

ისინი სულაც არ მოქმედებდნენ იმპროვიზებულად. თუ ისტორია კარგად იცით, იოლად აღმოაჩენთ მასში ლია საზოგადოების დიქტატორად გარდაქმნის „ინსტრუქციას“. ერთსა და იმავე მეთოდს ზედმიწევნით იყენებდნენ, რასაც ზოგჯერ — დიდი, ზოგჯერაც ნაკლები სისხლისღვრა და სისასტიკე მოსდევდა. ოღონდ ეს მეთოდები მუდამ ამტკიცებდა თავის ეფექტურობას.

დემოკრატიის დამყარება და მენარჩუნება რთული საქმეა, მუდმივ ძალისხმევას მოითხოვს, მისი დემონტაჟი კი, როგორც ისტორიული გამოცდილება გვკარნახობს, გაცილებით იოლია. ამისთვის საკმარისია საქმარისა 10-პუნქტიანი „ინსტრუქციის“ შესრულება.

როგორ წარმოუდგენლად უნდა მოგვეჩვენოს, საკმარისია, ფიზიკურად შევაფასოთ მომხდარი და ნათელი გახდება, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ათივე პუნქტი პრაქტიკაში უკვე ხორციელდება ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის მიერ.

რაკილა ჩემი თაობის ამერიკელები დემოკრატიულ საზოგადოებაში იშვინენ, ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩვენს ქვეყანაში შიდაპოლიტიკური ცხოვრება შეიძლება, ისევე შეიზღუდოს, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში. რაკილა უკვე აღარ ვცდილობთ, მეტი შევიტყუოთ ჩვენს უფლებებსა და სახელმწიფოებრივ მოწყობაზე, ქვეყნის კონსტიტუციური მოდელის ამოცანის გადაჭრა მოქალაქეებმა „აუტორიტარული“ პროფესიონალებს — იურისტებსა და მეცნიერებს მიანდეს. ჩვენ ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს შეერთებული შტატების დამპყრობელი მამამთავრების მიერ შექმნილ საპინოჩეტო სისტემაზე და ვერ ვამჩნევთ, რომ ის მეთოდურ დემონტაჟს ექვემდებარება. რაკილა ვეროპის ისტორიას უხეიროდ გვასწავლიან, „ნაციონალური“ უსაფრთხოების სამინისტროს შექმნა (ზოგს, ალბათ, ახსოვს, რა მოჰყვა ერთ ქვეყანაში სიტყვა „ნაციონალური“ უსაფრთხოების სამინისტროს შექმნა) ამერიკელებისთვის საფრთხის სიგნალიად როდი იქცა.

მე ვამტკიცებ, რომ ჩვენს ცხვირში ჯორჯ ბუში და მისი ადმინისტრაცია, რომლებიც ფაშისტული გამოცდილ ტაქტიკას მიჰყვებიან, ჩვენს ღია საზოგადოებას „ხურავს“. ასე რომ, დროა, „წარმოვიდგინოთ წარმოუდგენელი“ როგორც ამას მწერალი და პოლიტიკური პუბლიცისტი ჯო კონესონი ამბობს და ვიფიქროთ იმაზე, რომ დიქტატურა ჩვენთანაც შესაძლებელია. ის კი არა, მასთან

უფრო ახლოს ვართ, ვიდრე გვგონია. კონესონი გვაფრთხილებდა, რომ ამერიკას ავტორიტარიზმი ემუქრება. ჩემი აზრით კი, იმისათვის, რომ შეერთებულ შტატებში ამჟამად მიმდინარე მოვლენების სერიოზულობა გავაცნობიეროთ, აუცილებელია, დავისწავლოთ ხელისუფლებაში ფაშისკენის მოსვლის გაკვეთილები როგორც ევროპაში, ასევე სხვაგან.

მამ ასე, ვნახოთ, როგორ სრულდება პუნქტების მიხედვით ეს „ინსტრუქცია“ ჩვენთან.

შეხვედით შიდა და გარე მტრის საშიში სახეა

მას შემდეგ, რაც 2001 წლის 11 სექტემბერს სასტიკი დარტყმა მოგვადგინდა, მთელი ქვეყანა შოკში აღმოჩნდა. დაახლოებით თვე-ნახევრის შემდეგ, 2001 წლის 26 ოქტომბერს, კონგრესმა მიიღო კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ (patriot act.) ისე, რომ, ფაქტობრივად, არც განუხილავს — უფრო მეტიც, ბევრი ირწმუნება, რომ პარლამენტარებმა ხეირიანად ვერც მოასწერეს კანონპროექტის ნაკითხვა. ჩვენ გვაცნობებს, რომ ქვეყანა „სამხედრო რეჟიმზე გადადის“; რომ „გლობალურ ომს“ ვაწარმოებთ „მსოფლიო ხალიფატის“ წინააღმდეგ, რომელსაც დასავლური ცივილიზაციის პირისგან მიწისა ალგვა სურს. კრიზისის პირობებში ჩვენს ხელისუფლებას უნიკალური შეზღუდვების გამოქალაქობის თვისებები უნდა ჰქონდეს და სამხრეთის ომისას, როცა ლინკოლნმა ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოაცხადა ანდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა ათასობით იაპონური წარმოშობის ამერიკელის ინტერნირება მოხდა. მაგრამ ამჟამინდელ სიტუაციაში, რომელიც საზოგადოებრივი ორგანიზაცია american freedom agenda-ს წევრი ბრიუს ფეინი მიუთითებს, პრეცედენტი არ აქვს: ყველა ომს, რომელიც კი გვინარმოვობა, რაღაც „სასრული წერტილი“ ჰქონდა, რის შემდეგაც ყველაფერი უნიწოდებდა კალაპოტში, დემოკრატიასთან ბრუნდებოდა. ამჟამინდელი კონფლიქტი კი, იმ სახით, რა სახითაც წარმოგვიდგენენ, დროსა და სივრცეში შეზღუდული არაა — ომის ველს მთელი დედამიწა წარმოადგენს. „ამჯერად, — ამბობს ფეინი, — მკაფიოდ, სასრული ზღვარი, უზრალოდ, არ არსებობს“.

ზიდრასავით მრავალთავიანი, ფარული და საზარელი საფრთხის შექმნა ძველისძველი ტრიუკია. შეიძლება მას რეალური საფუძველიც ჰქონდეს, როგორც მაშინ, როცა პიტლერმა კომუნისტების მხრიდან ქვეყნისათვის მოსალოდნელ საფრთხეზე განაცხადა (სხვათა შორის, როცა ვისკონსინის უნივერსიტეტის ერთმა მეცნიერმა აღნიშნა, რომ 1933 წლის თებერვალში რაიხსტაგის გადაწვას, რომელსაც თითქოსდა კომუნისტებმა წაუკიდეს ცეცხლი, „ხალხისა და სახელმწიფოს დაცვის შესახებ კანონის“ მიღება მოჰყვა, რამაც საკონსტიტუციო მოდელი უფადო საგანგებო მდგომარეობით ჩაანაცვლა, გამორჩენილი რაიხსტაგისა და კომუნისტების სუფლება მოითხოვეს). სხვა შემთხვევაში, თავზარდამცემი „მტრის ხატი“ შეიძლება, მითოლოგიურ ხასიათსაც ატარებდეს — გავიხსენოთ იმავე ნაცისტების თეზისის მსოფლიოს გზაზე საერთაშორისო შეთქმულების შესახებ. მე არ ვცდილობ მსოფლიო ისლამისტური ტერორისგან მომდინარე საფრთხის დაკვირვებას, ცხადია, ის ძალზე სერიოზულია. უფრო იმაზე ვლაპარაკობ, რომ ესპანეთში, რომელმაც ასევე სასტიკი ტერორიზმი გადაიტანა, ამ საფრთხის ხასიათს სრულეზობით სხვა ფორმულირებები განსაზღვრავს. ესპანეთის მოქალაქეებმა იციან, რომ მათ უსაფრთხოებას რაღაც სერიოზულად ემუქრება; ამერიკელი მოქალაქეები კი დაარწმუნეს, რომ ცივილიზაციის იმ სახით, როგორც თაც ვიცნობთ, დაღუპვა ელის. ბუნებრივია, შედეგად ჩვენი უფლებების შეზღუდვას ვეგუებით.

დაარსეთ ბუღაბი

მამ ასე, თქვენ შეძელით საზოგადოების დაშინება: მომდევნო ნაბიჯად იმგვარ საპრობოლეთა სისტემის შექმნა უნდა იქცეს, რომელზეც კანონი არ ვრცელდება (როგორც ბუშმა განაცხადა, ამერიკულ საპრობოლეთა ცენტრი — გუანტანამო საერთაშორისო უფლებების დამცველი არ არსებობს). „ღია კოსმოსი“ უნდა მოექცეს, რათა შესაძლებელი იყოს ამ ციხეებში ადამიანთა ნაშენი.

თავდაპირველად მოქალაქეები ამგვარ ციხეებში გამოწყვდიულად ადამიანებს „უცხოებად“ — შფოთისთავებად, ჯაშუშებად, „ხალხის მტრებად“, „დამნაშავეებად“ — მიიჩნევენ, ამიტომ საზოგადოება ასეთი სისტემის შექმნას ხელს უწყობს: ადამიანებს უმძაფრდებათ საკუთარი დაცულობის შეგრძნება, ხოლო პატიმრებს „თავისიანებად“ არ მიიჩნევენ, თუმცა ძალიან მალე იმავე საკნებში აღმოჩნდებიან სამოქალაქო საზოგადოების დაპატიმრებ-



ბული ლიდერებიც — ოპოზიციის წარმომადგენლები, პროფკავშირის აქტივისტები, სასულიერო პირები, ჟურნალისტები.

სწორედ ასე ხდებოდა „ფაშისტებისა და ანტიფაშისტების“ თუ ანტიდემოკრატიული რეპრესიების მიმდინარეობისას 1920-30-იანი წლების იტალიასა და გერმანიაში, ისევე, როგორც შემდგომ — 1970-იანი წლების ლათინურ ამერიკაში. ეს ღია საზოგადოების დემონტაჟის ან დემოკრატიული ამბოხის ჩახშობის ერთ-ერთი ყველაზე სტანდარტული მეთოდია.

დღეს ამერიკას უთუოდ აქვს ასეთი გულაგი — ესაა ჩვენი ციხეები ავღანეთსა თუ ერაყში, რომ აღარაფერი ვთქვათ გუანტანამო-ბეიზე კუბაში, სადაც ტუსაღებს აბუჩად იგდებენ, უფადოდ ამწყვდევენ ციხის კედლებში და ნორმალურ სასამართლო პროცედურებზე უარს ეუბნებიან. არცთუ დიდი ხნის წინათ ბუშმა და მისმა მოკავშირეებმა უარი განაცხადეს, გამოექვეყნებინათ ინფორმაცია ე.წ. „შუბ ხერხებზე“ — საიდუმლო საპატიმროებზე, რომლებიც ცე-რა-უმ შექმნა მთელ მსოფლიოში და სადაც პირდაპირ ქუჩიდან გატაცებულ ადამიანებს ამწყვდევენ.

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს: საკმარისია, შექმნა ასეთი გულაგი და ის მეტასტაზებს გაუშვებს, სულ უფრო მასშტაბური, დახურული, სასტიკი ხდება და მეტად ჩაუზრდება სახელმწიფო ორგანიზმს. თვითმხილველთა მონაყოლით, ფოტოსურათებით, ვიდეომასალებითა და სახელმწიფო სტრუქტურათა დოკუმენტებით ვიცით, რომ ადამიანებს — დამნაშავეებსაც და უდანაშაულოებსაც — ანამებენ როგორც ამერიკის ოფიციალურ ციხეებში, ასევე იმ საპატიმროებშიც, რომელთა საქმიანობაც არასოდეს გამოიხეულა სათანადოდ. ასე რომ, ტყუილად ჩაუზრდება სახელმწიფო ცნობილმა მეცნიერმა — კონსერვატორმა უილიამ საფაიერმა ანტიფაშისტის პასუხისმგებლობის კონსერვატორმა პოლიტიკურ პატიმრად ქცეული მარტინ ნიშლერის სიტყვები: „ჯერ ებრაელების წასაყვანად მოვიდნენ და მე ვედმდრი, რადგან ებრაელი არ ვარ, მაგრამ როცა ჩემს წასაყვან-

11 სექტემბრის შემდეგ ამერიკაში კერძო დამცველი ორგანიზაციებისთვის ნამდვილი „ოქროს ხანა“ დადგა: ბუშის ადმინისტრაციამ მათ აუტოსორსინგისთვის მრავალი ისეთი ფუნქცია მიანიჭა, რომლებსაც ტრადიციულად შეიარაღებული ძალები ასრულებენ. დაქირავებულები ასობით მილიარდი დოლარის კონტრაქტებს იღებენ და ქვეყნის შიდა და გარე უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ ოპერაციებს ასრულებენ. ამ „მოხალისე სპეციალისტთაგან“ ზოგიერთს (ერაყში მომუშავეს) ბრალად ედება პატიმართა ნაშენი, უზრუნველყოფის და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება მშვიდობიანი ერაყელების წინააღმდეგ. №17 ბრძანებულების თანახმად, რომელიც ასეთი „კერძო საიჯარო ბრიგადების“ საქმიანობის რეგლამენტირებას ახდენს და თავის დროზე ერაყში ამერიკული საოკუპაციო ადმინისტრაციის მეთაურის პოლ ბრეგერის მიერაა გამოცემული, კერძო დამცველი სააგენტოების თანამშრომლები სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან თავისუფლებიან.

შესაძლოა, თქვათ, რომ ერაყი განსაკუთრებული შემთხვევაა, მაგრამ ასე არ არის: ქარიზმა „კატრინას“ შემდეგ ნაციონალური უშიშროების სამინისტრომ დაიქირავა და ახალ ორღანში გააგზავნა კერძო დამცველი სააგენტოთა ასობით შეიარაღებული თანამშრომელი. უზრუნველყოფის გამოიძიების სპეციალისტმა ჯერემი სექსტონმა ანონიმურობის დაცვით ინტერვიუ აიღო ერთ-ერთი ასეთი მცველისგან, რომელმაც აღიარა, რომ ქალაქში უიარაღო მოქალაქეთა ჩაცხრილვა უხდებოდა. ეს უპიზოლიტიკური უბედურების შედეგებს უკავშირდება, მაგრამ „ტერორის წინააღმდეგ დაუსრულებელი ბრძოლა“, რომელსაც ამჟამინდელი ადმინისტრაცია აწარმოებს, იმის საშუალებას იძლევა, რომ კრიზისის ან საგანგებო სიტუაციის პირობებში ამერიკის ქალაქები ასეთი „კერძო დამცველი სააგენტოების“ განკარგულებაში მოექცეს.

გგონიათ, ამერიკაში „მოიერიშე რაზმები“ არ არის? 2000 წელს ფლორიდაში რესპუბლიკური პარტიის მომხრე, აგრესიულად განწყობილი და ერთნაირად შემოხილი ახალგაზრდების ჯგუფები საარჩევნო კომისიათა თანამშრომლებს ემუქრებოდნენ. ასე რომ, თუ ისტორიაში ერკვევით, შეგიძლიათ, ასეთი სიტუაცია წარმოიდგინოთ: მორიგი არჩევნებისას უცებ წარმოიქმნება „საზოგადოებრივი ნესრიგის დაცვის“ აუცილებლობა: ვთქვათ, არჩევნების დღეს საპროტესტო დემონსტრაცია გაიმართა ან ვიღაც ტერაქტით იმუქრება. თუ ისტორია რაღაცას მაინც გვასწავლის, განა შეგიძლიათ, გამოვიჩინოთ საარჩევნო უბნებზე კერძო დაცვის ფორმითა თანამშრომლების გამოჩენა, რომლებსაც „ნესრიგის დასამყარებლად“ დაიქირავენ?

არნო ხიდირბეგიშვილი:

პოლიტიკის საიდუმლო, ანუ „GEORGIA“ ტრანზიტი...

გამოთქმაში „პოლიტიკის საიდუმლო“ იგულისხმება საიდუმლო, რომელიც სინამდვილეში საიდუმლო არ არის. უბრალოდ, ყველა თავს იკავებდა, თითქოს ეს მართლაცდა ასეა. ეს ისეთი საიდუმლოა, რომელიც ყველასათვის ისედაც ცნობილია.
(მასალა ვიკიპედიიდან – თავისუფალი ენციკლოპედიიდან)



„ომი წაგებული არ არის იმიტომ, რომ ჯერ არ დასრულებულა,“ — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა 2009 წლის 13 თებერვალს პარლამენტის სხდომაზე.

„დედს ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელიც იბრძვის და აქორი გამოსავალია — დავნებდეთ და ისე მოვიქცეთ, როგორც ეს საქართველოს მტერს სჭირდება, ან ეს ბრძოლა ბოლომდე მივიყვანოთ. შუალედი აქ არ არსებობს იმიტომ, რომ ყველა ჩვენი მცდელობა მტერთან (რუსეთთან. — ა. ხ.) მოლაპარაკებისა უმედეგოდ დასრულდა!“ — ეს კი მარტივად 2009 წლის 5 ივნისს ჩაისახალი ფაბრიკის გახსნაზე განაცხადა (მართალია, ავიენები ირწმუნებიან, რომ ეს ფაბრიკა ახალი სულაც არ არის, გადაღებული ძველია და დაპირებული 200 სამუშაო ადგილიც ბლეფია, რადგან ფაბრიკის მუშაობისთვის 10 კაციც საკმარისია, მაგრამ ახლა ამაზე არ ვლაპარაკობთ: რა დროს „ჩაის მიღება“, როცა ქვეყანა, როგორც მისი უმადლესი მთავარსარდალი ირწმუნება, სამომარ მდგომარეობაში იმყოფება?).

პრეზიდენტი ამას, ეტყობა, ტყუილბრალად არ იმეორებს: საქართველო, რომელმაც ახლახან დააბრუნა თავისი ბატალიონები ერაყიდან, უახლოეს ხანებში, როგორც აშშ მოკავშირე, ხელახლა აპირებს ომში ჩართვას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან — ავღანეთთან, პაკისტანთან (შესაძლოა — ირანთანაც!), რომლებიც, განსხვავებით რუსეთთან ოთხდღიანი საომარი კონფლიქტისა 2008 წლის აგვისტოში, დაუწოდებელი იქნება და მთელ საქართველოს გაანადგურებს!

„ჩვენი ასეული ფრანგული კონტინგენტის (შემდგომში ამერიკული კონტინგენტისაც. — ა. ხ.) შემადგენლობაში ნატოს ვედიით ავღანეთის სამშვიდობო ოპერაციაში მიიღებს მონაწილეობას. საქართველო ასევე მზადაა, ამ ოპერაციის მხარდასაჭერად სატრანზიტო ფუნქციას შეასრულოს,“ — გვაუწყა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა სხარულიძემ ვაშინგტონში ვიზიტისას, 2009 წლის 3 მაისს. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის თებერვალში, ალიანსის წევრი ქვეყნების თავდაცვის უწყებთა ხელმძღვანელების შეხვედრისას, სხარულიძემ მათ უკვე დაპირდა საერთაშორისო კონტინგენტის შემადგენლობაში ჯარისკაცთა ასეულის გაგზავნას და საქართველოს ტე-

რიტორია ნატოს ავღანეთში სამხედრო ოპერაციის წარმოების პლაცდარმად შესთავაზა. როგორც ჩანს, 2009 წლის 3 ივნისს, ვაშინგტონში მორიგი ვიზიტისას, მისი წინადადებები მიიღეს.

თუ მხედველობაში მივიღებთ ამ ვიზიტის წინ პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის განცხადებას, რომ „დადგა დრო, როცა საქართველომ და ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მხარდაჭერის მიზნით გადადგან კონკრეტული ნაბიჯები. თანამშრომლობის კონკრეტული სფეროები განვირგოთ ქართლში სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, რომელსაც საქართველომ და შეერთებულმა შტატებმა ახლახან მოაწერეს ხელი“, ასევე სხარულიძის შემდგომ განცხადებას — „ჩვენ ვისაუბრებთ იმ ლონისძიებებზე (ვაშინგტონში. — ა. ხ.), რომელთა განხორციელება სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ქართლში გათვალისწინებული საქართველო მუშაობს ამ პუნქტების შესრულებაზე,“ — დასკვნა, რომ ქართლის ტექსტი აშშ და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ, რომელიც ვაშინგტონის ყოფილი აღმინისტრაციის მიერ სახელმწიფო მიმდინარე წლის 9 იანვარს (რომელზეც შეგვიპირდნენ, რომ ხელმოწერის დასრულებულია) გააჩვენებდნენ, მაგრამ მაინც არ გვაჩვენეს!), შეიცავდა საიდუმლო დებულებებს, რომლებიც გამჟღავნებას არ ექვემდებარებოდა. ეს დოკუმენტი ჩარჩო ხელშეკრულებას წარმოადგენს და არა ქართლს, რადგან ე. წ. ქართლი საერთაშორისო სამართალში სამართლებრივი აქტია, რომელიც სავალდებულო შესასრულებელი არ არის და აზრობრივად თითქმის ყოველთვის წარმოადგენს დეკლარაციას, სადაც ჩამოყალიბებულია რამე საერთაშორისო შეთანხმების წინადადება, რომელიც დასრულებულია და მისი პრინციპები და მიზნები.

მკითხველმა შესაძლოა იკითხოს: მერედა, რა მოხდება? განა ჩვენი არმიის ქვედანაყოფები სამშვიდობო კონტინგენტის შემადგენლობაში არ შედიოდა ერაყში და ასეთი ოპერაციების წარმოების გამოცდილება არ შეიძინა? ამგვარ შემთხვევებში პირად შემადგენლობაში გარდაუვალი დანაკარგი გარდა რა უარყოფითი შედეგები მოიტანა ამაზე? რა არის საშიში იმაში, რომ საქართველოს ტერიტორიას ავღანეთში წარმატებული სამხედრო ოპერაციისათვის პლაც-

დარმად გამოიყენებენ? თვით რუსეთიც რომ აშშ მოკავშირეა მსოფლიო ტერორიზმთან ბრძოლაში და სავსებით მშვიდად ხვდება ავღანეთში სამხედრო ტვირთის ტრანზიტს უზბეკეთის, ყაზახეთისა და, ნაწილობრივ, ყირგიზეთის გავლით?

კითხვას კითხვითვე ვუპასუხებ: არ დაფიქრებულხარ, ძვირფასო მკითხველო, რად დასჭირდა ამერიკას საქართველოს ტერიტორიის გამოყენება გადასატვირთ პუნქტად, როცა ფლობს 1948 წლიდან მოქმედ სამხედრო-სატრანსპორტო ინფრასტრუქტურას (აეროდრომები, საწყობები, კავშირგაბმულობის სისტემა და სხვ.) თურქეთში?.. მხოლოდ პარტნიორობის მიზნით? განა შესაძლებელია საქართველოსა და აშშ შორეულსოვან (ორმხრივ!) პარტნიორობაზე ლაპარაკი 2008 წლის აგვისტოს შემდეგ, როცა საქართველო ვერა და ვერ ელერსა უდიდესი სახელმწიფოსგან სამხედრო დახმარებას? როცა ობამას აღმინისტრაციამ „პოლიტიკის გადახედვის“ ჩარჩოში გაუხმაურებლად შეაჩერა მთელი ამერიკული სამხედრო ექსპორტი საქართველოში და არც დაახუსტა, როდის აღდგება მინდობები და მომავალში რისი ექსპორტირების უფლება ექნებათ საქართველოში, როცა აშშ, როგორც ამბობენ, აუქმებს კრწანისის სამხედრო-სასწავლო ცენტრს თბილისის გარეუბანში, სადაც ამერიკელი ინსტრუქტორები ქართველ რეინჯერებს წვრილიწინა?

ჰოდა, რა არის ეს, თუ არა პარტნიორობა?

სანამ კონკრეტულად ვუპასუხებდე ამ კითხვას, მინდა, ფრაგმენტი მოვიყვანო გლობალიზაციის პრობლემების ცენტრის ხელმძღვანელის, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორის ალექსანდრე ჭაჭიას 2008 წლის 4 აპრილის ინტერვიუდან: „ყოველთვის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი ნატოში გაწევრებისას სწორედ იმიტომ, რომ კარგად შევისწავლე ამ ორგანიზაციის საქმიანობის ყველა მხარე, რომელიც არ აფიშირებდა და არც რეკლამირებდა ნატოს პროპაგანდისტების მიერ და ვიცო, რომ ნატოში ისეთი პატარა და სუსტი ქვეყნის გაწევრება, როგორც საქართველოა, ფაქტობრივად

ნიშნავს სუვერენიტეტის სრულ დაკარგვას, ხოლო ჩვენი გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, მასშტაბური სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში, სამიზნედ და თვალსაჩინო მსხვერპლად გადაქცევასაც. გასაგებია ამერიკელების ინტერესი ნატოსთან დაკავშირებულ მთელ ამ ისტორიაში: მათ საქართველო პაკიდ სჭირდებათ რუსეთთან დიდ გეოპოლიტიკურ თამაშში (რუსეთთან პრობლემური საკითხების განხილვისას ტყუილბრალად სავარაუდოდ ხომ არ ასახელებენ ამერიკელები თავიანთი კოზირთა შორის უწარს, საქართველოს დახმარებით ნებისმიერ წუთში მოახდინონ დესტაბილიზაცია კავკასიაში); მათ, ასევე, ესაჭიროებათ სამხედრო ინფრასტრუქტურა ირანის წინააღმდეგ სავარაუდო სამხედრო მოქმედებებისას (სხვათა შორის, ირანის საპასუხო ქმედებები მიმართული იქნება არა შორეული ამერიკის, არამედ მეზობელი მტრული საქართველოს მიმართ); ცხადია, საჭიროა კონტროლი მილსადენებზეც. საგულისხმოა ისიც, რომ ამ მიზნების განსახორციელებლად არც აფხაზეთი და არც სამხრეთ ოსეთი არაფერში სჭირდებათ.“

აი, „პოლიტიკის საიდუმლოც“: საქმე ისაა, რომ ზემოთხსენებული ქვეყნების (თურქეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი) ტერიტორია და აერთოდრომები დღეს ღია ავღანეთში ამერიკის სამხედრო, და არა საბრძოლო, ტვირთების ტრანზიტისთვის! ხოლო საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც, სავარაუდოდ, საბრძოლო ტვირთების ტრანზიტზე დათანხმდა, მაგრამ არა მხოლოდ სურსათ-სანოვანის, საწვავის, სარემონტო ტექნიკისა და აღჭურვილობის, არამედ იარაღის, საბრძოლო მასალების, ცოცხალი ძალისა და თავისი ტერიტორიიდან ბომბდამხმენებისა და სრული სამხედრო კომპლექტაციით ავიაციის სხვა სახეობების გაშვებას...

დარწმუნებული ვარ, რომ ეს „ქართლის“ ერთადერთი საიდუმლო დებულება არ არის: ვფიქრობ, რომ ვალდებულებები, რომლებზეც საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ მოაწერა ხელი, მოვლენათა განვითარების შესაბა-

მისად ჩვენთვის თანდათან გახდება ცნობილი (ისევე, როგორც იმ ჩვენს მაღალჩინოსანთა სახელები, რომლებიც თავიანთ ახლობლებსა და ნათესავებს ავღანეთში, საერთაშორისო კონტინგენტის ასეულის შემადგენლობაში გაგზავნიან. თუკი ასეთები, რასაკვირველია, იქნებიან... მერედა, რა მოხდება? დაე, ყველაფერში დასავლეთის წამბაძველმა და ლონდონულმა პოლიტიკებლებმა მენტმა მაგალითი აიღოს პრინც ჩარლზის ვაჟებისგან, რომლებიც ერაყში იბრძოდნენ!).

საინტერესოა, რა დამოკიდებულება ექნებათ ამ ყველაფრისადმი უსამა ბენ ლადენს, ალ-ქაიდას, თალიბანსა და სხვა ისლამისტურ ფუნდამენტალისტ-ექსტრემისტ-ტერორისტებს?!

ნეტავ, თუ იცის საქართველოს თავდაცვის მინისტრმა სხარულიძემ, რომ არც ავღანეთს, არც პაკისტანს, არც ირანსა და, ასევე, საუღი არაბეთს, ინდოეთს, ისრაელსა და სამხრეთ კორეასაც კი არ აქვს საკონტინენტოშორისო ბალისტიკური რაკეტები, რომლებიც 1200 კმ-ზე მეტ მანძილზე დაფრინავს, ამგვარად, საფრთხეს წარმოადგენს ევროპისა და, მით უმეტეს, ამერიკისათვის? სამაგიეროდ, რაც აქვთ, ისინი იოლად მოაღწევს ამერიკის მოკავშირე საქართველომდე და რომ მართო პაკისტანს 80 ბირთვული მუხტი აქვს?

იცის კი საქართველოს პრეზიდენტმა სააკაშვილმა, რომ ევროპაში რაკეტსანიწაღმდეგო ობიექტების განთავსების პროექტი რომც არ შეჩერებინა ვაშინგტონის ახალი აღმინისტრაციისა და საქართველო მისი მოქმედებების ეფექტურობის ზონაში მოხვედრის მიზნით? თუკი იერმის შემთხვევაში ის მაინც განადგურდებოდა, თუკი რაკეტის მოგერიება მის საპირ სივრცეში მოხდებოდა? იცის, ასეთი რაკეტების წამსხვრევები, რომლებიც სულ რაღაც 100 გრამს იწონის, 5-სართულიან შენობას დასერიკვლამდე რომ „ფხრს“, მინაზე კი ცაცილებით დიდი „წამსხვრევები“ ეცემა? რა მნიშვნელობა აქვს, რა დაგვეცემა თავზე — ისლამისტ ტერორისტთა რაკეტები, თუ მათი წამსხვრევები?!

განა კაიროში სიტყვით გამოცხადებისას აშშ პრეზიდენტმა ობამამ აღმოსავლურ ნუგბარზე უფრო „ტკბილმა“ ხმის ტონმა და თეთრი სახლის ძალისხმევამ, ისრაელს ჰამასთან მოსალაპარაკებლად უბიძგოს; აგრეთვე, ირანში მოსალოდნელმა არჩევნებმა, რომელშიც, ალბათ, აშშ-მადინჯად გაიმარჯვებს; არ უნდა გადავაცვიფრო საქართველოს ხელისუფლებას? ანალიზებს თუ არა ამ პროცესებს მისი საგარეო უწყების ხელმძღვანელი, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ვაშაძე (ამერიკული

საზომით — მეორე კაცი სახელმწიფოში!), თუ მას საკუთარ ვება პლანტაციებში მოწეული ელიტარული ყურძნისაგან ღვინის წარმოება უფრო მეტად იზიდავს, რომელსაც სახელი თავისი მეუღლის — ცნობილი პრეზიდენტის საპატრიარქო დაარქვა?!

მზად აქვს კი პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე თარგამაძეს, რომელსაც ბოლო ხანებია საქართველოში მხოლოდ „გიივის“ ეძახიან (ქართული ოპოზიციის ერთადერთი და უდავო დამსახურება...), მობილიზაციის, ზიანის მინიმიზაციისა და შესაძლო კონტრდატყვის თავიდან აცილების გეგმა?

დარჩა კი საქართველოში ბომბსაფარი (მეტროპოლიტენის გარდა), რომელიც საბჭოთა ხანაში ააგო ხელისუფლებამ, აწყობილი სამობილიზაციო სისტემა რომ ჰქონდა და პოსტსაბჭოთა პერიოდში რომ გაანადგურეს? თუ უკვე გაყიდეს ბარების, ღამის კლუბებისა და ბუტიკების გასახსნელად?!

იფაქსინებს კი შსს ხელმძღვანელობა და თავდაცვის სამინისტროს გენშტაბი ალ-ქაიდას მდიდარ გამოცდილებას მთელ მსოფლიოში ტერაქტების მოწყობის საკითხში და ამუშავებს თუ არა ამ პოტენციურ საშიშროებას? არსებობს კი საქართველოში დასავლეთის ანალოგიური მაღალპროფესიონალური სამაშველო სამსახურები, რომლებიც სამხედრო მოქმედებების შედეგად წარმოშობილ საგანგებო სიტუაციებზე ორიენტირებულია? თუ მთელ იმედებს სივრცე, როგორც 2008 წლის აგვისტოში, თბილისის მერზე — უგულავაზე აყარებენ?!

მაღე ჩვენი ქვეყნის მბრძანებლებს ხომ არ მოუწევთ, შეეხვეწონ „მტერს“ — რუსეთს, შემოიყვანოს თავისი ჯარი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, რათა დაგვიცვას ჩვენ (და მთელი კავკასია!) ახლო აღმოსავლეთიდან საპასუხო სარაკეტო ბირთვული იერიშისაგან?!

პასუხი ამ კითხვებზე ცნობილია (ეს ისეთი საიდუმლოა, რომელიც ყველასათვის ისედაც ცნობილია!), თუმცა ქართველ ხალხს რატომღაც არ ეკითხებიან, ხელს აძლევს თუ არა ასეთი „ხარტერი“: ჩვენ მათ დასავლეთისკენ — ენერგომატარებლების, ხოლო აღმოსავლეთისკენ შეიარაღების ტრანზიტს უზრუნველყოფთ, ისინი კი საქართველოს მორიგ ტრანშს გამოუყოფენ? განა ამ ფასად იყიდი ავღანეთის ქვიშებში დაღუპული, თუნდაც, ერთი ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლეს?..

„რჯული დადგენილია არა მარტალთათვის“

ჩვენს უმრავლესობას თავისი პრეზიდენტი „წმინდა ძროხა“ ჰგონია, ელჩები — რაღაც ამგვარი, ვისზეც კრიტიკული შენიშვნის გაბედავან და ჯოჯოხეთის ცეცხლსა და გენაში საგზურის აღებას ნიშნავს, ან — უარესს. უარესი რა არის, ვერ გეტყვით.

სამაგიეროდ, ევროპის თანამედროვე ცხოვრებიდან საწინააღმდეგო მაგალითებს რამდენსაც იხებებთ, იმაზე მეტს დაგისახელებთ. ფაქტებს უმაღლესი დონიდან: აქეთ — სარკოზისა და ობამას, იქით — ობამასა და მერკელის არცთუ მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების ცინცხალ მაგალითებს დაგიდებთ მაგალითებს. ასეთ ურთიერთობებს ორმაგი ძირი აქვს, როგორც იმ ჩემოდნებს, რომლებიც ასი წლის წინათ ლენინის გაზეთი „ისკრა“ ევროპიდან რუსეთის იმპერიაში შემოჰქონდათ. რა ალიც აინთო იმ ნაპერწკლიდან, ცნობილია.

ორმაგ სტანდარტებზე მოგახსენებთ: ერთია, როცა ოფიციალურ განცხადებებში სრულ თანხმობაზე ლაპარაკობენ, მეორე, როცა კონსპირაციული სამალავიდან ამოალაგებენ შეხედულებებსა და შეფასებებს, რომლებიც პირველს ფარავს. ფარავს და ამჟღავნებს, რომ, მაგალითად, განხეთქილება გერმანიასა და ამერიკას შორის სულ უფრო იკვეთება და ურთიერთობა მწვანდება, — აღნიშნავს „The New York Times“ და რომ „ეს ჯერ კიდევ არ არის ურთიერთობათა კრიზისი, მაგრამ არსებობს ზოგიერთი წინააღმდეგობა და აზრთა სხვადასხვაობა მთელ რიგ საკითხებზე მსოფლიო ეკონომიკური კრიზისიდან დაწყებული, გუანტანამოს პატიმრების ბედი და მთავრებული“.

მიაქციეთ ყურადღება: „ზოგიერთი წინააღმდეგობა“ „მთელ რიგ საკითხებზე“ თავისი ალოგიკური შუთავსებლობით გაცილებით უფრო ტყუილია; განსხვავებულია და დაპირისპირებულია თვალსაზრისით, უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე კლიშეობრივი აღიარება „ზოგიერთი წინააღმდეგობისა“: ამოსავალი სიტყვებია „მთელი რიგი“, რაც ფარავს და აჭარბებს „ზოგიერთს“.

სერიოზულადაა აქ საქმე. წერილის ავტორი ნიკოლა კულიში მიიჩნევს, რომ ობამას ადმინისტრაცია უფლებელყოფს მისი ძველი მოკავშირეების რჩევებს. ამით ამერიკამ შეიძლება მისი საწინააღმდეგოდ განაწყობოს ევროპის უმსხვილესი ეკონომიკა და თავისი უმნიშვნელოვანესი შუამავალი რუსეთთან დაძაბულ ურთიერთობაში.

გერმანიის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ვარაუდობენ, რომ აშშ პრეზიდენტის ბერლინში ჩასვლას და ევროპაში მისი პირველი ტურნეს დროს გერმანიის კანცლერ მერკელსა და მისი ადგილობრივი კონტაქტების მარცხენებელს, თუმცა ფრაუ მერკელის მრჩეველები მიიჩნევენ, რომ მსგავსი არაფერი ხდება, პირიქით, ობამა განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ყოფილი აღმოსავლეთ გერმანიის სადაც ალიზარდა გერმანიის დღევანდელი კანცლერი და ამიტომაც ჩაივინდა ბერლინის ნაცვლად დრეზდენში.

არაერთგვაროვანია რეალური ვითარება ჩრდილოატლანტიკური კავშირის წევრთა პარტნიორულ ურთიერთობაში, ჩვენ კი კერპივით ვეთაყვანებით ნატოს, როგორც მიუწვდომელ ოცნებასა და მომავლის იმედს.



ნიკოლა სარკოზი ცოტა ემოციებს აყოლილი და ეფექტების მოყვარული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს. აბრეშის თევზი ლონდონში გამართულ G20-ის სამიტზე, მისი პერსონისადმი ყურადღება რომ მიეპყრო, თავს უფლება მისცა, ქედმალღურად შეეფასებინა ამერიკის პრეზიდენტი.

სარკოზიმ განაცხადა, რომ მას ობამა გამოუცდელ და უცოდინარ ადამიანად მიზნავს გვატყობინებს, კერძოდ, წერს, რომ

„არ იფიქროთ, რომ აშშ და გერმანიის ურთიერთობის ეს „ჩრდილოვანი მხარე“ გამოწვეულია. „The Times“ არანაკლებ სკანდალურ ამბავს გვატყობინებს, კერძოდ, წერს, რომ

„არ, ასეთი ენამწარობა, მაგრამ ზრდილობისა და დიპლომატიურობის ჩარჩოებში და არა ავყობა, რომელსაც საკუთარი ხალხისა თუ სხვა ქვეყნის ხელმძღვანელისადმი იჩენს ბატონი სააკაშვილი და რაიც დიდი ვაჟკაცობა ჰგონია.“

ევროპული პრესა არა მარტო თავისუფალია, არამედ გაბედულიც. მოდით, ჩვენც გავბედოთ და კრიტიკული სიტყვა შევკადროთ აშშ სახელმწიფო მდივანს ჰილარი კლინტონს, რომელმაც სულ ახლახან მადლობა უთხრა... სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს, რომლებიც აშშ ადმინისტრაციაში მუშაობენ. მადლობაც უთხრა და დირექტივის ტონით ისიც განაცხადა, რომ აუცილებელია ამ უმცირესობათა უფლებების დაცვა მთელ მსოფლიოში. მან სიტყვასიტყვით თქვა: „ჩვენ მადლობელი ვართ ჩვენი ლესბოსელი, ჰომოსექსუალი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი თანამშრომლები, რომლებიც ვაშინგტონში, ასევე, მთელ მსოფლიოში“.

ფუნქციონირებს? მაგრამ, იქნებ, აქ არ ჰყავთ ამ უკულმართი სიამტკილობის მოყვარული ბიჭები და ტრანსები? თუ ჰყავთ, მაშინ, ვაი ჩვენი ბრალი!

ბატონა ტაფთა, ამ მაღლობის საპასუხოდ და დიკაქტივის განსაკუთრებულ მის დაკრულზე ასახვევად გაგზავნულ ჩვენს ხელისუფლებას რომ უბრალოს გვახის ალბუის გამართვა დანარჩენ რუსთაველზე, არ გამართვენ?

და ნავალთ ევროპა-ამერიკისკენ აჩქარებული ტემპით შემხვედრი გეგმის თანახმად აღებული სოციალ-დებულებების შესასრულებლად!

ცოტაც მოუსმინეთ ამერიკის სახელმწიფო მდივანს, რომელსაც თავისი ქმარივით გაუგებარი სიყვარული და პატივისცემა შეჰყვრია ორიენტაციარეული ქალკაცების: „გეებისა და ლესბოსელების სიამაყის ერთიგვართან (!) დაკავშირებით სახელმწიფო დეპარტამენტის სახელით პატივს მივაგებ გეების, ლესბოსელების, ბისექსუალებისა და ტრანსსექსუალების თანამეგობრობას თავიანთი უფლებების დაცვისთვის ბრძოლის განვლილი 40 წლის თავზე და ვთავაზობთ ჩვენს მხარდაჭერას მნიშვნელოვან საქმეში, რომელიც გელოდება... მნიშვნელოვანია თქვენი წვლილი ჩვენს ძალისხმევაში მთელ მსოფლიოში სტაბილურობის, კეთილდღეობისა და მშვიდობის დასამყარებლად“.

სომ წარმოგიდგინათ, როგორი იქნება ამათი დამყარებული კეთილდღეობა — მონარნარე კაცებისა და აგრესიული ქალების საზოგადოება?..

იგრძნო ეს ლიტვამ და გადადგა კიდევ ნაბიჯი „ჰომოსექსუალიზმის ნახალისების“ ასაკრძალად.

ამ ქვეყანაში გამოსცეს ჰოლანდიური წიგნი ბავშვებისათვის, რომლის გვირგვინს, ორ პრინცს ერთმანეთი შეუყვარდებათ და მოთხრობის ფინალში ჰკოცნიან ერთმანეთს. „Die Presse“ წერს, რომ ამ ფაქტმა ალაშფოთა საზოგადოებრიობა. ლიტვანებმა მოითხოვეს, „აიკრძალოს საჯარო პროპაგანდა ინფორმაციისა, რომელიც ნახალისებს ჰომოსექსუალიზმს არასრულწლოვანებს შორის“.

მოთხოვნა კანონპროექტად ჩამოყალიბდა, რომელსაც ამ კვირაში სეიმი განიხილავს. ლიტველი გეებისა და ლესბოსელების ორგანიზაციებს ამ კანონპროექტმა თავზარი დასცა. ქვეყნის მასმედიის ერთმა წაწილმა მათი მხარე დაიჭირა (!). ესეც — ნაქები თავისუფლება! მთავრობა ჯერჯერობით უკან არ იხევს.

ორი ნუთიც დაეკარგოთ და ჩავიხედოთ სახარებაში, სადაც მამათმავლობა დედამის მკვლელობასთან და სხვა ზედდურებასთან არის გათანაბრებული.

პავლე, იესო ქრისტეს მოციქული, ტიმოთეს, ჭეშმარიტ შვილს რწმენაში, წერს: „ცნობილია, რომ რჯული დადგენილია არა მართალთათვის, არამედ ურჯულოთა და ურჩთა, უღმერთთა და ცოდვილთა, გარყვნილთა და ბილნთა, დედამის მკვლელთა და კაცის მკვლელთათვის; მძაფრთა და მამათმავალთა, კაცის-მპარავთა და ცრუთა, ფიცის გამტეხთა და ყველა სხვათათვის, რაც სალი მოძღვრების საწინააღმდეგოა; კურობული ღვთის დილაზა გიორგობია“

დებულის სახარების თანახმად, რომელიც მე მაქვს მონდობილი“ (1 ტიმ. 1,9-11).

ამ წმინდა სახარების საწინააღმდეგოდ „ცივილიზებული“ ევროპამ ყბადაღებული ტოლერანტობის მორიგი რეკორდი დაამყარა. დღეის ამას იქით მკრეხლობა დანაშაულებად კი არა, „ადამიანის თავისუფალი ნების გამოვლენად“ არის მიჩნეული. ამ დასკვნამდე მივიდა ევროსაბჭოს საკონსტიტუციო კანონმდებლობის ვენეციის კომისია. სპეციალისტები, უწინარესად, თეოლოგები მიიჩნევენ, რომ ევროსაბჭოს ამგვარ სიახლეს აქტიურად გამოიყენებენ, როგორც ქრისტიანობის საწინააღმდეგო იარაღს, რომელიც „მეორე რიგის“ რელიგიადაა ქცეული ძველ კონტინენტზე.

ინგლისურმა გაზეთმა „The Daily Telegraph“ — მა მისის ერთ-ერთ ბოლო ნომერში გამოაქვეყნა გამოკითხვის მასალები, რის მიხედვითაც ბრიტანელი ქრისტიანები, რომლებიც რეგულარულად დადიან ეკლესიაში, სულ უფრო მეტად განიცდიან დისკრიმინაციას თავიანთი რელიგიური მრწამსის გამო. გამოკითხვის თანახმად, რომელიც ინსტიტუტმა „ComRes“ — მა ჩატარა, გამოკითხული რესპოდენტების ნახევარმა აღიარა, რომ ამა თუ იმ ფორმით განიცადეს რელიგიური დევნა.

ქრისტიანულ მართლმადიდებლობაზე ამგვარი შემოტევა საქართველოში პირველად რამდენიმე წლის წინათ განისაზღვრა, როცა „თავისუფლების ინსტიტუტის“ აქტივისტებმა — გოქარიაშვილი, რამიშვილი და სხვებმა და სხვებმა საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ ბაილაშქარს. მაშინ სიბილნის ეს ტალღა ეკლესიაში მოიგარია. დღეს ის აქტივისტები ხელისუფლებაში არიან, ამიტომ, რა იქნება სხალ, არაჰინ უწყის.

ქრისტეს ფეხის მკვლელთა ახლა ვენეციის კომისიის გადაწყვეტილებით არიან მხარდაჭერილები.

ევროსაბჭოს ამ კომისიის გადაწყვეტილებას სპეციალისტები არა მხოლოდ ზნეობრივი და სულიერი დევრადაციის ნიშნად მიიჩნევენ, არამედ იქაური ჩინოვნიკების თავისებურ შიზოფრენიად და მათ მკვლელთა და კაცის მკვლელთათვის;

მძაფრთა და მამათმავალთა, კაცის-მპარავთა და ცრუთა, ფიცის გამტეხთა და ყველა სხვათათვის, რაც სალი მოძღვრების საწინააღმდეგოა; კურობული ღვთის დილაზა გიორგობია

ნესტან კირთაძე:

შოუბენის მოლოდინით აღაშინათა დიდი მასის საშეხის საპატრიარქო ტაძრისკენ დაპირა პროვოკაცია იყო

საქართველოს პატრიარქისგან პოლიტიკური განცხადებების მოთხოვნა ხელისუფლებისა და ოპოზიციისგან იმდენად ჩვეულებრივ ამბად იქცა, რომ 26 მაისს სამების საპატრიარქო ტაძარში განვითარებული მოვლენები არავის გააკვირვებია, თუმცა გაოგნებული მრევლი აღაშფოთა პოლიტიკოსთა გაუგონარმა თავხედობამ.

ჯერ კიდევ 25 მაისს სხვადასხვა არასაპარლამენტო ოპოზიციურ პარტიას სხვადასხვა გეგმა ჰქონდა, თუმცა, სახალხო აღლუმამდე რამდენიმე საათით ადრე, 25 მაისს ღამეს, რამდენიმე ოპოზიციონერი ლიდერის დაჟინებული მოთხოვნის გამო თავდაპირველი გეგმები დაიბლოკა და შეიცვალა ახლით — სამების საკათედრო ტაძარში წასვლით და ილია მეორესგან პოლიტიკური განცხადებების გაკეთების მოთხოვნით, — ექსკლუზიურად იუნყება სააგენტო „პირველი“.

26 მაისს, „დინამოს“ სტადიონიდან არასაპარლამენტო ოპოზიციის სამების საკათედრო ტაძარში გადნაცვლებისა და პატრიარქის ქადაგების შემდეგ, რომელშიც უწმინდესმა პოლიტიკურ მხარეებსა და საზოგადოებას ურთიერთმოსმენის, კატეგორიულ აზროვნებაზე უარის თქმისა და ამპარტოვის დადებისკენ მოუწოდა, რიგი არასაპარლამენტო ოპოზიციონერი ლიდერები ხელისუფლების მხრიდან პატრიარქზე ზეწოლისა და მისი „ტყვედ აყვანის“ შესახებ ალაპარაკდნენ.

27 მაისს საქართველოს საპატრიარქო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საგანგებო განცხადება გაავრცელა, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია, რომ „ხელისუფლება არ აპირებდა კომპრომისზე წასვლას, ხოლო მომხრეების მკვეთრი ქმედებების შემთხვევაში მოსალოდნელი იყო შეტაკება და სისხლისღვრა. ერის ინტერესებიდან გამომდინარე, ეკლესიამ თავის თავზე აიღო მძიმე ტვირთი და გადადგა ისეთი ნაბიჯი, რაც ამ რეალურ საფრთხეს ააცილებდა ჩვენს ხალხს. ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემა ამოიწურა. სიტუაცია კვლავ სერიოზული და ფეთქებადსაშიშაა“. საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესიის პოლიტიკური მცდელობასთან დაკავშირებით „საქართველო და მსოფლიო“ ესაუბრა ლიბორისტული პარტიის საერთაშორისო მდივანს, პროფესორ ნესტან კირთაძეს, რომელიც უნიკალური გამოცემის — „ნათელი ქრისტესი“ — ავტორია. იგი ეკლესიის ისტორიასაც კარგად იცნობს და მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსაც პირუთვნელად აფასებს.



მანძილზე და ვერავის მონო-დებზე ტაძარში ვერ წავალ, მით უმეტეს, ასეთ პროვოკაციაზე. ჩემი მამისა და ჩემი ურთიერთობა არის ჩემი პირადი სულიერი ურთიერთობა. ჩვენ გადაწყვეტილებებს ისე ვიღებთ, როგორც პასუხისმგებლობის მქონე პარტი-ას შემდგომ და არა როგორც ხელში ატაცებულ მოყვარულ არტისტებს.

— იქ, სადაც, როგორც თქვენ ბრძანებთ, „მოყვარული არტისტი“ ხელში აიყვანეს, სიტყვად არ მისცეს თქვენი პარტიის ლიდერებს... ამას რით ახსნით?

— მით უარესი მათთვის. ეს არის შური, უპასუხისმგებლობა მოქმედება, როდესაც პოლიტიკური პარტიების ლიდერები, ხალხისგან განსხვავებით, იმაზე კი არ აგებენ თავიანთ სამომავლო სტრატეგიას, რომ მათგარი და მნიშვნელოვანი ხელისუფლების შეცვლა, არამედ პირდაპირი კონკურენციის რეჟიმში არიან ტრიბუნაზეც, პოლიტიკური საქმიანობაშიც და ასე მოხდა სტადიონზეც.

— ქალბატონო ნესტან, ჩვენი დღევანდელი ინტერვიუ ეკლესიის პოლიტიკური მცდელობაზე საუბრით დაიწყო და გვერდს ვერ აუვუღლით პრეზიდენტის პოლიტიკურ ქადაგებებს საპატრიარქო ტაძრის ამბიონიდან. პირველად საქართველოში პატრიარქთან ერთად ამბიონიდან მრევლსა და შესაბამისად, ტელეთეორის მეშვეობით ერს მიმართავს მიხეილ სააკაშვილი. რა შეგრძნება გეუფლებათ, როდესაც ამას უყურებთ?

— უდიდესი პროტესტის. ეს არ გაუბედავთ მორიგეებულ მეფეებს. ეკლესიის კანონების მიხედვით, პირველ ხელისუფალს, ანუ მორიგეებულ მეფეს თავისი ადგილი აქვს განსაზღვრული. ახლა კი

მიხეილ სააკაშვილი ტაქიკაში მიტინგებს მართავს, მისი მეუღლე კაკაულაში მღერის, სიღვრე-სიღვრე გვირგვინით უღვას და რა განსვდა დაეუფლება აღაშინან? ეს არის ტიპური თავხედობა.

პროფესორ ნესტან კირთაძესთან ჩვენი ქვეყნისთვის ტკივილიან ბევრ საკითხზე ვისაუბრე. მისი მოსაზრებები დიდად არ განსხვავდება სამშობლოზე შეყვარებული მისი თანამოაზრეებისა თუ მეგობრების, ცნობილი თუ უცნობი ადამიანების თვალსაზრისისგან. იგი განსაკუთრებული გულიანობით ლაპარაკობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, უფრო სწორად, ჩვენი სამშობლოს დაშლა-დაქუცმაცების შეუქცევად პროცესზე, რომელიც ამ ხელისუფლების პირობებში კიდევ უფრო მეტად გაღრმავდება და გარდაუვალი კატასტროფა მთლიანად წაღვეს ჯერ ისევე მყიფე სახელმწიფოებრიობას.

— ქალბატონო ნესტან, ამ ბოლო დროს ხელისუფლება და ოპოზიციაც განსაკუთრებულად ცდილობენ საპატრიარქოს ჩართვას პოლიტიკურ პროცესში. როგორ ფიქრობთ, რატომ?

— საქართველოს მართლმადიდებლური სამოციქულო ეკლესია ისტორიულად არის ერის გამაერთიანებელი. ამდენად, ვერც ერთ ეპოქაში, უმძიმესი კრიზისის დროსაც კი, ეკლესია მხარედ ვერ გამოვა. ჩვენ გვაქვს უახლესი ისტორიის ტრაგიკული მაგალითი, კერძოდ, 90-იან წლებში დამოუკიდებელი საქართველოს უსერიოზულესი კრიზისი, რომელიც ძმათამკვიდრე დაპირისპირებაში გადაიზარდა. უწმინდესმა და უნეტარესმა პატრიარქმა მამაბო, როგორ მიდიოდნენ მასთან როგორც ერთი, ასევე მეორე მხარის წარმომადგენლები და სთხოვდნენ, მათი მხარდამჭერი პოზიცია დაეკავებინა. პატრიარქმა ამის შესახებ ბრძანა: ვის მხარეს დაემდგარეყავი, რომელი ქართველის მხარესო.

ასე რომ, როდესაც რომელიმე პოლიტიკური ჯგუფი სამოციქულო ეკლესიისგან ითხოვს მხარედ გამოსვლას, ეს არის ტრაგიკული და ისტორიული შეცდომა.

რაც შეეხება 26 მაისს დაშვებულ შეცდომას, ეს, სხვათა შორის, იმ ურთიერთობების გაგრძელებაა, რომელიც წინ უსწრებდა ამ დღეს.

— რომელ და ვის ურთიერთობებს გულისხმობთ?

— ზოგადად, ჩვენი მოსიყვარულე მამა ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის თუ მასთან შეხვედრის მსურველი ადამიანის მიმართ მაღალ ყურადღებას იჩენს. იგი უადრესად ყურადღებიანი, თბილი და მზრუნველია. როგორც ჩანს, ჩვენმა მეგობრებმა ძალიან გაიშინაურეს პატრიარქთან სტუმრობები და მასთან ურთიერთობა. ასეთმა გაშინაურებამ შემდეგ ბევრი შეცდომა დააშვებინა ჩვენს კოლეგებს.

— 25 მაისს, საპატრიარქოში გვიან ღამით გამართული შეხვედრის შემდეგ,

„ეროვნულმა ფორუმმა“ და ალასანიას გუნდმა პოლიტიკური პასუხისმგებლობის საპატრიარქოსთვის გადაბარების პროცესებისგან გამიჯვნა გადაწყვიტეს. უნდა ვიგულისხმობთ, რომ ოპოზიციამ ვერც კვლავ დაპირისპირება დაიწყო?

— 25 მაისს ვინ რა მოიხონა და დაიწუნა, ჯერ კიდევ საკამათოა. ერთი მართალი თუ მეორე, ამას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს. ფაქტია, რომ ეკლესიის გამოყენება და ჩართვა სცადა როგორც ერთმა მხარემ, ასევე — ხელისუფლებამ. ასეთივე წარმატებით საქართველოს საპატრიარქოში დაბრძანდებოდა ხელისუფლების დელეგაცია სხვადასხვა შემადგენლობით. 26 მაისს ძალიან მძიმედ განვიტარდა მოვლენები დღის მეორე ნახევარში. 3 ივნისს გახლდით უწმინდესთან და უნეტარესთან და პირველი ფრაზა, რაც მან მოვლენების შეფასებისას მითხრა, იყო:

ჩვენ ყველა ერთად ჩაახადით უუსკრულს.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩახედეთ, მაგრამ, თუ ჭკუით არ მოვიქცევით, შეიძლება ამ უფსკრულში გადავცვივართ ყველა ერთად და ამ შემთხვევაში ლაპარაკია არა პოლიტიკურ პარტიებსა თუ კონკრეტულ ადამიანებზე, არამედ მთლიანად ქვეყანაზე.

პატრიარქი ივანეს ბრძანებდა, რომ მოსალოდნელი სისხლისღვრა, რომელიც 26 მაისს შეიქცაოდა დაწყებული, გასცაოდა თბილისს, ერთი კონკრეტული ქუჩის და შესაქლოა, მთელი ჩაბიონის ქალიან მიმი და

პირაპირად გულისხმობს

ერთ-ერთი ცნობილი მოუმენის მოწოდებით ადამიანთა დიდი მასის სამების საპატრიარქო ტაძრისკენ დაძვრა პროვოკაცია იყო. მით უმეტეს, ამ ადამიანების განწყობებზე თამაში შეცდომა აღარ არის, ეს დანაშაულია. არა მარტო ტაძრის ეზო დრტივნად, არამედ თავად ტაძარშიც ადამიანებმა საერო მიტინგის მსგავსი ემოციები გამოაქვინეს.

— იქნებ რაღაცის გადაწყვეტის მოლოდინი არსებობდა და სწორედ ამან გამოიწვია ხალხის ასეთი ვნებათაღელვა...

— თქვა სიდნეი როჯერსმა და ამაყ შავ-თეთრ მთებს თვალი მოავლო, — ვიცი, რომ ძალიან გიძიძით ახლა, მაგრამ, იქნებ, დეტალურად მომიყვით, როგორ მოხდა ყველაფერი? მართალია, თქვენმა მინისტრმა ყველა საბუთი გადმოცა, მაგრამ გაზეთის სპეციფიკიდან გამომდინარე, ცოცხალი მასალა სულ სხვაა. დეტალურად უნდა ჩავინერო, წინააღმდეგი ხომ არ ხართ? — მესმის, მისტერ როჯერს, — მაიორმა სავანელმა კაპიტენებს გახედა. — მისტერ რაილიმ წინა დღეს ვაგვაფრთხილა, ხვალ ქორები უნდა ვნახოთ. კვირა იყო. საათის თერთმეტზე ამოვიდით აქ და მაშინვე მოაჯირთან მივიდა, კარგა ხანს უყურა ქორებს. ასეთ დროს მარტო ვტოვებდით ხოლმე. ალბერტი და ნიკა მწვანდ აგებდნენ შამფურებზე, მე ფანტატიურის გვერდით ცეცხლს ვანთებდი. მერე გავიხედე, იქ არ იდგა. გვერდზე გავიღო, — მითხრა ალბერტმა. ალბათ, წყლის გადასაქცევად მეთქი, გავიფიქრე და ისევ ცეცხლს მიუბრუნდი. კარგა ხანია, აქ ტუალეტი არ არის. სასაცილოა, მაგრამ ფაქტია, სსრ კავშირის დანგრევას ჩვენს ქვეყანაში საზოგადოებრივი ტუალეტების დანგრევა-გაქრობა მოჰყვა-მეთქი, ასე ვუთხარი მისტერ რაილის, სულ პირველად როცა ამოვიდით აქ და ბევრი იცინა. ცოტა ხანში ცეცხლს თავი გავანებე და გამოვიედი. არსად იყო. შევფოთდი. ბიჭებო, სადაა რაილი-მეთქი, — ალბერტს და ნიკას გავძახე. სამივემ დაუწყოთ ძებნა, — მაიორი მირიან სავანელი მოაჯირს გასცდა და ნაპრალის გასწვრივ წავიდა. როჯერსი და ოფიცრები უკან გაპყვივნენ. — სულ რაღაც ოციოდ ნაშში ვიპოვეთ, — განაგრძო სავანელმა, — ნიკამ შეამჩნია პირველმა ჩაშლილი ნაპრალის პირი. გადავიხედეთ და იქ იყო ჩავარდნილი. ეტყობა, ზედ ნაპრალის კიდემდე მივიდა, მინა მოერღვა ფეხქვეშ და წონასწორობა ვერ შეინარჩუნა. აი, აქ... — მირიან სავანელი გაჩერდა და ხელით სპეციალური აგენტის უოლტერ რაილის ვარდნის ადგილზე მიანიშნა. „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა ფანტატიურს გახედა. ორმოცდაათი მეტრით იყვნენ დაშორებულნი. ნაპრალის კიდედახლოებით ნახევარი მეტრის სიგანეზე იყო ჩამოშლილი. მაიორი სავანელი ჩამოშლილი მინასთან მივიდა, — აი, აქედან გადავარდა და იქ იყო, ქვემოთ.

სიდნეი როჯერსმა თანაგრძნობით შეხედა. როგორც ალპინისტმა, თვალნათლივ წარმოიდგინა ის საშინელი სირთულე, რაც ამგვარ ოპერაციასთანაა დაკავშირებული. მაიორი მირიან სავანელი ხარბად, მძიმედ ისუნთქავდა სიგარეტის ბოლს და სადალად, „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა და ქვემოთ ჩაიხედა. დაახლოებით ორმოცდაათი მეტრის სიღრმეზე ნაპრალი კედელივით სწორად ეშვებოდა, შემდეგ აივანივით გამოშვებული ბრჯენი იყო — სამიოდ მეტრის სიფართის და ოციოდ მეტრის სიგრძის. მერე ისევ უფსკრული იწყებოდა. — კიდევ კარგი, მანდ დაეცა, თორემ გვამსაც კი ვერ ვიპოვიდით, — მძიმედ თქვა მირიან სავანელმა. — ქვემოთ, უფსკრულის ძირზე, გაუფალი ტყეა, ათასი ჯურის მტაცებელი ნადირით სავსე. — მერე? — იკითხა სიდნეი როჯერსმა. — მაშინვე თბილისს დაუკავშირდით. ხელი არ ახლოთო, იყო ბრძანება, რომელიც არ გავიზიარე და მერე მინისტრმაც მომიწონა დაუმორჩილებლობა. როგორ არ უნდა მოგვემოქმედებინა რამე, როცა შეიძლებოდა, კაცი ცოცხალი ყოფილიყო? სამივეს ტერორიზმთან ბრძოლისა და ექსტრემალური სიტუაციების ხანგრძლივი კურსები გვაქვს გავლილი, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პაკეტი მანქანაში გვქონდა მედიკამენტების სრული კომპლექტი. გარდა ამისა, „ლენდ როჯერს“ ხომ წინა ბამპერზე გვარლიანი მექანიკური ჯალამბარი აქვს? ასე რომ, უმოქმედოდ ვერ გავჩერდებოდით. ნიკამ მანქანა უოლტერის ვარდნის ადგილთან მოიყვანა, გვარლი ტანზე დავიხვიე და ლავარდანზე დავეშვი... სამინდად იყო დასახიჩრებული, პულსი არ ისინჯებოდა. მისი სხეული ტანზე მივიკარი და იქ იყო გამოცვნილი. ნახევარ საათს მაინც გაგრძელდა ეს პროცესი და ეს ნახევარი საათი უმძიმესი იყო ჩემს ცხოვრებაში. ამოვიყვანეთ მისტერ რაილი და საგულდაგულოდ გავსინჯეთ. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ გეტყობოდა. ჩანდა, სიკვდილი მყისიერი იყო. რაილის ამოყვანილი მოც წუთში ვერტმფრენით მინისტრი მოვიდა, თქვენი ელჩიც ამოყვა, მაგრამ რას ვუშველიდით? მირიან სავანელმა სიგარეტის კოლოფი ამოიღო და აკანკალებული თითებით ძლივს ამოიღო ლერი, მოუკიდა და ხარბად შეისუნთქა ბოლი.

სიდნეი როჯერსმა თანაგრძნობით შეხედა. როგორც ალპინისტმა, თვალნათლივ წარმოიდგინა ის საშინელი სირთულე, რაც ამგვარ ოპერაციასთანაა დაკავშირებული. მაიორი მირიან სავანელი ხარბად, მძიმედ ისუნთქავდა სიგარეტის ბოლს და სადალად, „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა და ქვემოთ ჩაიხედა. დაახლოებით ორმოცდაათი მეტრის სიღრმეზე ნაპრალი კედელივით სწორად ეშვებოდა, შემდეგ აივანივით გამოშვებული ბრჯენი იყო — სამიოდ მეტრის სიფართის და ოციოდ მეტრის სიგრძის. მერე ისევ უფსკრული იწყებოდა. — კიდევ კარგი, მანდ დაეცა, თორემ გვამსაც კი ვერ ვიპოვიდით, — მძიმედ თქვა მირიან სავანელმა. — ქვემოთ, უფსკრულის ძირზე, გაუფალი ტყეა, ათასი ჯურის მტაცებელი ნადირით სავსე. — მერე? — იკითხა სიდნეი როჯერსმა. — მაშინვე თბილისს დაუკავშირდით. ხელი არ ახლოთო, იყო ბრძანება, რომელიც არ გავიზიარე და მერე მინისტრმაც მომიწონა დაუმორჩილებლობა. როგორ არ უნდა მოგვემოქმედებინა რამე, როცა შეიძლებოდა, კაცი ცოცხალი ყოფილიყო? სამივეს ტერორიზმთან ბრძოლისა და ექსტრემალური სიტუაციების ხანგრძლივი კურსები გვაქვს გავლილი, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პაკეტი მანქანაში გვქონდა მედიკამენტების სრული კომპლექტი. გარდა ამისა, „ლენდ როჯერს“ ხომ წინა ბამპერზე გვარლიანი მექანიკური ჯალამბარი აქვს? ასე რომ, უმოქმედოდ ვერ გავჩერდებოდით. ნიკამ მანქანა უოლტერის ვარდნის ადგილთან მოიყვანა, გვარლი ტანზე დავიხვიე და ლავარდანზე დავეშვი... სამინდად იყო დასახიჩრებული, პულსი არ ისინჯებოდა. მისი სხეული ტანზე მივიკარი და იქ იყო გამოცვნილი. ნახევარ საათს მაინც გაგრძელდა ეს პროცესი და ეს ნახევარი საათი უმძიმესი იყო ჩემს ცხოვრებაში. ამოვიყვანეთ მისტერ რაილი და საგულდაგულოდ გავსინჯეთ. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ გეტყობოდა. ჩანდა, სიკვდილი მყისიერი იყო. რაილის ამოყვანილი მოც წუთში ვერტმფრენით მინისტრი მოვიდა, თქვენი ელჩიც ამოყვა, მაგრამ რას ვუშველიდით? მირიან სავანელმა სიგარეტის კოლოფი ამოიღო და აკანკალებული თითებით ძლივს ამოიღო ლერი, მოუკიდა და ხარბად შეისუნთქა ბოლი.

სიდნეი როჯერსმა თანაგრძნობით შეხედა. როგორც ალპინისტმა, თვალნათლივ წარმოიდგინა ის საშინელი სირთულე, რაც ამგვარ ოპერაციასთანაა დაკავშირებული. მაიორი მირიან სავანელი ხარბად, მძიმედ ისუნთქავდა სიგარეტის ბოლს და სადალად, „ნიუ-იორკ თაიმსის“ კორესპონდენტმა და ქვემოთ ჩაიხედა. დაახლოებით ორმოცდაათი მეტრის სიღრმეზე ნაპრალი კედელივით სწორად ეშვებოდა, შემდეგ აივანივით გამოშვებული ბრჯენი იყო — სამიოდ მეტრის სიფართის და ოციოდ მეტრის სიგრძის. მერე ისევ უფსკრული იწყებოდა. — კიდევ კარგი, მანდ დაეცა, თორემ გვამსაც კი ვერ ვიპოვიდით, — მძიმედ თქვა მირიან სავანელმა. — ქვემოთ, უფსკრულის ძირზე, გაუფალი ტყეა, ათასი ჯურის მტაცებელი ნადირით სავსე. — მერე? — იკითხა სიდნეი როჯერსმა. — მაშინვე თბილისს დაუკავშირდით. ხელი არ ახლოთო, იყო ბრძანება, რომელიც არ გავიზიარე და მერე მინისტრმაც მომიწონა დაუმორჩილებლობა. როგორ არ უნდა მოგვემოქმედებინა რამე, როცა შეიძლებოდა, კაცი ცოცხალი ყოფილიყო? სამივეს ტერორიზმთან ბრძოლისა და ექსტრემალური სიტუაციების ხანგრძლივი კურსები გვაქვს გავლილი, გადაუდებელი სამედიცინო დახმარების პაკეტი მანქანაში გვქონდა მედიკამენტების სრული კომპლექტი. გარდა ამისა, „ლენდ როჯერს“ ხომ წინა ბამპერზე გვარლიანი მექანიკური ჯალამბარი აქვს? ასე რომ, უმოქმედოდ ვერ გავჩერდებოდით. ნიკამ მანქანა უოლტერის ვარდნის ადგილთან მოიყვანა, გვარლი ტანზე დავიხვიე და ლავარდანზე დავეშვი... სამინდად იყო დასახიჩრებული, პულსი არ ისინჯებოდა. მისი სხეული ტანზე მივიკარი და იქ იყო გამოცვნილი. ნახევარ საათს მაინც გაგრძელდა ეს პროცესი და ეს ნახევარი საათი უმძიმესი იყო ჩემს ცხოვრებაში. ამოვიყვანეთ მისტერ რაილი და საგულდაგულოდ გავსინჯეთ. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ გეტყობოდა. ჩანდა, სიკვდილი მყისიერი იყო. რაილის ამოყვანილი მოც წუთში ვერტმფრენით მინისტრი მოვიდა, თქვენი ელჩიც ამოყვა, მაგრამ რას ვუშველიდით? მირიან სავანელმა სიგარეტის კოლოფი ამოიღო და აკანკალებული თითებით ძლივს ამოიღო ლერი, მოუკიდა და ხარბად შეისუნთქა ბოლი.

შვილის გავლელისთვის დედას 14 წელი მიუსაჯეს

25 წლის ნადეჟდა საბოს 2 წლის შვილის მკვლელობისთვის თბილისის საქალაქო სასამართლოს სს კოლეგიის მოსამართლე ლია ელემიძემ 14 წელი მიუსაჯა. დედამ სასამართლოზე აღიარა დანაშაული, თუმცა, მისივე სურვილით, საბოლოო აღიარებითი ჩვენება დახურულ კარს მიღმა მოისმინეს.

მკვლელობის დღეს — 2007 წლის 11 ივნისს, დილის საათებში ლიკინის დასახლების მცხოვრებნი საზარელმა ამბავმა შეძრა. 25 წლის ნადეჟდა საბომ საკუთარი შვილი — ორი წლის მიხეილ მოკლა და მიიძალა. დედამ მცირეწლოვანს ძლიერი ფსიქოტროპული ნაწილის „აზალეპტინის“ ორი აბი დააღვინა. მკვლელობის მოტივად კი დედამ ბავშვის ტირილი დაასახელა. პოლიციამ იგი მეორე დღესვე დააკავა. ნადეჟდა საბომ დაკავებისთანავე აღიარა დანაშაული.

პოლიციამისი სასამართლოში მიმართული 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით აღიძრა — განზრახი მკვლელობა დაამძიმებელ გარემოებებში.

ნადეჟდა საბო მეუღლესთან და მცირეწლოვან შვილთან ერთად მუშკორის №51-ში ცხოვრობდა. ორივე წლის წინათ მისი მეუღლე გოჩა გელაშვილი ყაჩაღობისთვის დააპატიმრეს და დღემდე სასჯელს იხდის.

როგორც მათი მეზობლები იხსენებენ, გოჩა გელაშვილის დაპატიმრებამდე ყველაფერი კარგად იყო; ოჯახი ნორმალურად ცხოვრობდა და მსგავს ქმედებას ნადეჟდას მხრიდან ვერც წარმოედგინებინებინ.

„ნადეჟდა გათხოვების მერე ქმართან ერთად ამ სახლში საცხოვრებლად გადავიდით. ახე თუ ისე, ცოლ-ქმარი ნორმალურად ცხოვრობდა. ვერც წარმოედგინებინებინ, ასეთი სისასტიკის ჩამდენი თუ იყო“, — აცხადებს საუბარში ერთ-ერთი მეზობელი.

11 ივნისს ორი წლის მიხეილის მკვლელობის შესახებ მეზობლებმა სასწრაფო დახმარების ექიმებისგან შეიტყვეს. დროული დახმარების აღმოჩენის შედეგად მისი გადარჩენა შესაძლებელი იქნებოდა, თუმცა სასწრაფო დახმარებას დროულად არ გამოუძიეს.

„სასწრაფო, რომ მოვიდა, ჩვენც მაშინ გავიგეთ ბავშვის სიკვდილის შესახებ. თვითონ

დაურეკავს სასწრაფოსთვის. როგორც ექიმებმა გვითხრეს, ფსიქოტროპული მედიკამენტი მიუცია ბავშვისთვის, თვითონ კი სადღაც წასულა. სახლში დაბრუნებულს ბავშვი მკვდარი რომ დახვედრია, სასწრაფოს გამოუძახებია, ალბათ, შეეშინდა“...

„ნადეჟდა ძალიან კარგად უვლიდა ბავშვს. ყოველთვის მონესრიგებული და მოვლილი დაჰყავდა. თვითონაც ყოველთვის კარგად გამოიყურებოდა, შემოიღობდა არაფერი ეტყობოდა. ვერასოდეს წარმოვიდგინებდით, თუ ასე გაგიჟდებოდა და პატარა ანგელოზს მოკლავდა. ისე, ქმრის დაპატიმრების მერე არ ჰქონდა კარგი ქალის სახელი, ბავშვს სახლში ტოვებდა და ვიღაც ბიჭებთან დადიოდა“, — იხსენებს მეზობელი ნარა ახვერდოვი.

ნადეჟდა საბო რომ ბავშვს სახლში ტოვებდა და საათობით იკარგებოდა, მეზობლებიც ადასტურებენ. „ვიღაც ბიჭს ხვდებოდა ხოლმე. ამაზე ყველა ლაპარაკობდა. ამ ტრაგედიის მერე იმასაც ამბობდნენ, რომ, თურმე, ნადეჟდა იმიტომ მოკლა ბავშვი, რომ იმ ბიჭს უთქვამს, ბავშვს თუ მოიშორებ, ცოლად მოგიყვანინო. მაგრამ ეს ზუსტად არაფერი იცის და მხოლოდ ჭორის დონეზე ვრცელდება. თვითონ პოლიციისთვის უთქვამს, რომ ბავშვი ტიროდა და იმიტომ დააღვინა ნამალი. რად უნდოდა ამ ქალს განსჯა ან ციხეში რატომ ხარჯავდნენ კვებაზე ფულს. გამოუტანონ განაჩენი და მოკლან. შვილის მკვლელობა დედამ როგორ უნდა იცხოვროს, თუნდაც ერთი დღე...“ — ამბობს საუბარში მეზობელი ქეთევან ბაშიაშვილი.

როგორც პროცესზე ნადეჟდა საბოს მულმა ნათელა გელაშვილმა განაცხადა, ნადეჟდა კარგი დედა იყო და მომხდარი ფაქტი მათთვის წარმოუდგენელი რეალობაა. „თავიდან დაიწყებ მოყოლას. ჩემი ძმა ბევრჯერ არის წასა-



...თვითონ პოლიციისთვის უთქვამს, რომ ბავშვი ტიროდა და იმიტომ დააღვინა ნამალი...

მართლვე, დაახლოებით ექვსჯერ იჯდა ციხეში. ძალიან ცუდი ხასიათი ჰქონდა, ყველაფერს ლენავდა სახლში, ამიტომაც ჩვენ ცალკე გადავედით. თან მუშკორზე ჩვენი სახლი მძიმე მდგომარეობაშია და იქ ცხოვრების მოწყობა სახლში ქალები, ყველაზე ამბობდა, ჩემი ცოლიაო. იგივე შემთხვევა იყო, როცა ნადეჟდა მოიყვანა. მერე ეს გოგო დარწმუნდა და მაც პერიოდში ჩემი ძმაც დაიჭირეს“...

„ძალიან მეცოდებოდა ეს გოგო. გააჩინა ბავშვი, ჩვენც ვეხმარებოდით, როგორც შეგვეძლო. ძალიან კარგი დედა იყო, კარგად უვლიდა შვილს. ერთ დღეს მოვიდა ჩემთან და მთხოვა, ბაზარში შენთან დამაწყებინე მუშაობაო. მეც შემეცოდა და დამხმარე

ავიყვანე. დღემდე შვიდ-რვა ლარს ვუხდით. ბავშვს ძიძასთან ტოვებდა და სამ ლარს უხდოდა. არასოდეს ყოფილა შემთხვევა, ზედმეტი რამე აეღოს — ან ფული, ან პროდუქტი. ძალიან პატიოსნად შრომობდა. მერე ბავშვი ავად გახდა და იძულებული იყო, მუშაობა მიეტოვებინა. ძიძებმაც დღემდე ექვსი ლარი მოსთხოვეს და ამდენის გადახდის საშუალება არ ჰქონდა, ამიტომ სამუშაო მიატოვა და ბავშვთან იყო.

გშირად წუნუნებდა, ბავშვის გამო ვზივარ სახლში, ეს რომ არ მყავდეს, უკეთ ვიცხოვრებდიო, მაგრამ ამას არ ვაქცევდი ყურადღებას. ხანდახან ბავშვს სილორჯე ეტყობოდა ტანზე, მაგრამ ამბობდა, დაეცაო“...

— აცხადებს ნადეჟდა საბოს მული. მისივე განმარტებით: „11 ივნისს, საღამოს, დამირეკეს და მიხსრეს, მიშიკო მოკვდაო. ვიფიქრე, ალბათ, სახლი ჩამოინგრა და შიგ მოყვა-მეთქი. რომ მივედით, ნადეჟდა გარეთ იჯდა და ტიროდა — შვილო, ეს რა დაგემართაო. მიხსრა, „ბუღალავკა“ გადაყლაპა და დაიხრჩოო. ცოტა დავეჭვდით — დამხრჩვლი ადამიანი შავდება, ბავშვი კი სულ მთლად გაითიერებული იყო. პოლიციამ გვითხრა, თუ გვებავთ, ექსპერტიზას ჩავატარებთო და ჩვენც დავთანხმდით. მეორე დღით დაგვიბარეს. რომ ავედით, ნადეჟდამ აღიარა დანაშაული და იქვე დააკავეს. არ ვიცი, მოტივი რა უნდა ყოფილიყო. მისი ცხოვრების გაუარესებას ბავშვს აბრალდებდა, ამის გამო სცემდა კიდევ და, ალბათ, ამ მიზეზით მოკლა“, — აღნიშნა საუბარში ნათელა გელაშვილმა.

პროცესზე გლდანის-ნაძალადევის პროკურატურის პროკურორმა რევაზ ჩხეიძემ ნადეჟდა საბოს 15 წლით დააპატიმრება მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლია ელემიძემ კი მას 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

ელჩი თაყაიძის დაკავების წინაშე უკუაპალოს

უცხოეთში ემიგრირებული თანამემამულისადმი თანაგრძობის გამოჩენა, ყურადღებებიან მოპყრობა დიპლომატიის მხრიდან ელემენტარული მოთხოვნა რომ არის, ნებისმიერმა მოქალაქემ იცის. უნდა იცოდეს ეს თვით დიპლომატმა, მით უფრო, ისეთი მაღალი რანგისამ, როგორც საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია.

ეს ანბანური ჭეშმარიტება თესლონიკიდან (საბერძნეთიდან) მიღებული წერილის გამო გავიხსენეთ.

ჩვენმა თანამემამულემ, თესლონიკის ქართული საზოგადოება „საქართველოს“ თავმჯდომარემ, საბერძნეთის სოციალისტური პარტიისა და ემიგრანტთა თანადგომის პრეზიდენტმა ელგუჯა მინაძემ რედაქციას აცნობა, რომ სწორედ ეს უპირველესი მოთხოვნა დაარღვია მასთან ურთიერთობისას საქართველოს ელჩმა საბერძნეთის რესპუბლიკაში ირაკლი თავართქილაძემ, რომელმაც, როგორც რესპონდენტი წერს, „არა მარტო მისი ქართული წარმომავლობა დააყენა ეჭვქვეშ, არამედ — მთლიანად ქართული ემიგრაციისა“.


ელგუჯა მინაძემ წერილობით განმარტება მოსთხოვა ელჩს, მაგრამ, ამასთან, როგორც ჩვენს რედაქციასთან ტელეფონით საუბრის დროს აღნიშნა, ჩვეულებისამებრ, საელჩო ემიგრანტებს არ უპასუხებს ხოლმე, არ თვლის ამის ღირსად და გვთხოვა, გაზეთის ფურცლებზე ალგვენიშნა ეს ფაქტი.

„ერთი კითხვა მაქვს თქვენთან, — მითხრათ ელჩს ელგუჯა მინაძე, — იქნებ, დაგვაკვლიანოთ და დაგვმოძღვროთ, თუ რა კრიტიკიუმებით იზომება ქართველობა, რათა მეც ვიცოდებ და ქართულმა ემიგრაციამაც. მაგრამ, სანამ რამეს გვიჩვენებთ, ჯერ თვითონ უნდა იყოს დარწმუნებული, რომ ეს რჩევა იქნება ჩვენი მარადიული, თორემ თქვენს შემდეგ თუ მოვიდა სხვა ელჩი, მის კრიტიკიუმებზე გადაწყობა ძალიან გაკვირდება და დავიხსენით. სხვა საქმეა, თუ თქვენ უნდა იყოს მარადიული ელჩი საბერძნეთის რესპუბლიკაში“.

წერილში ისიცაა ნათქვამი, თუ რა საქმიანობას ეწევა ელგუჯა მინაძე საბერძნეთში: მესხეთე წელიწადია, გამოსცემს გაზეთს, რაც ყოველ ორ თვეში 400 ევრო უჯდება (გაზეთი უფასოდ ვრცელდება), ქირაობს ორ სკოლას ქართველი ბავშვებისთვის, რათა მათ ისწავლონ მშობლიური ენა, ლიტერატურა და ისტორია; ქირაობს საცეკვაო დარბაზს, ფეხბურთის სტადიონს, კორფბოლის სპორტდარბაზს და სხვ.

„საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია თვალყურს მიადევნებს, უპასუხებს თუ არა ელჩი თანამემამულის წერილს; ამასვე სთხოვს ბატონ ივლინ გაგომიძეს, რომელიც დასავლეთის მინისტრად არის დანიშნული და სახელმწიფო საქმეებით დიდად არ არის დატვირთული.

თესლონიკის ქართული საზოგადოება
„საქართველო“
ΣΥΛΛΟΓΟΣ ΓΕΩΡΓΙΑΝΩΝ
„ΓΕΩΡΓΙΑ“,
ΑΠΟΛΟΓΟΣ 53, ΕΥΘΥΜΟΣ,
ΘΕΣΣΑΛΟΝΙΚΗ, Τ.Κ.56224
ΤΗΛ/ΦΑΞ +30-2310-759.171
Α.Φ.Μ. 998512512
e-mail: info@georgians.gr
Α.Π.25
ΘΕΣΣΑΛΟΝΙΚΗ 02.06.2009



კალაძობას ვერ აღკვეთს

ზრუნვა აკლდა, ანუ ყველა საჭირო ფაქტორის უქონლობამ შეიძლება განთავითარა ექსტრემალური მოთხოვნა — ვინც „თავს გესხმის“, იმის მოშორება გინდა. ელემენტარულად, აქსაუბარია უპასუხისმგებლობაზე. როდესაც საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობას ვერ კისრულობ, იგი ყოველთვის უარყოფითი შედეგით მთავრდება.

— მსგავს სიტუაციაში რა როლი აკისრია სახელმწიფოს? რამდენად დიდია მისი პასუხისმგებლობა საკუთარი მოქალაქეების წინაშე? — სახელმწიფო დიდ როლს თამაშობს. გარემო, რომელშიც საზოგადოება ცხოვრობს, აგრესიულია. სახელმწიფოში აგრესია ნორმა და ძალადობა მისაღებია. რასაკვირველია, ასეთ გარემოში ფსიქიკურად ლაბილური ადამიანები იღებენ მაგალითს, რომ ეს ყველაფერი შესაძლებელია, ანუ შეიძლება

გაბრაზებულმა ვინმე მოკლა, ან თუ არ მოგწონს, პირდაპირ მეურაცხყოფა მიაყენო. რა თქმა უნდა, ოჯახურ ვითარებაში ეს უფრო მძაფრ და სასტიკ ფორმებს იღებს.

სახელმწიფოს ზნეობრივი მაგალითის მიმცემის როლი ეკისრება. არ შეიძლება ტელევიზიებისგან ამხელა აგრესია მოდიოდეს. დაუსაქმებელი და ღარიბი ადამიანები მთელი დღე ტელევიზორს უყურებენ, საიდანაც საშინელი იმპულსები ვრცელდება. სახელმწიფომ ეს უნდა გააკონტროლოს.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს მიზანმიმართულად კეთდება? — როდესაც სახელმწიფოში ასეთი ალქმა არსებობს, ანუ მისთვის ძალადობა მისაღებია, ამას ვერც სხვას დაუშლის. ასეთი ტენდენციები ცუდია. ეს ყველაფერი მაინც მიზანმიმართულობისკენ მიდის.

სახელმწიფო უფრო დიდ პა-

სუხიმგებლობით უნდა მოექციდეს საზოგადოებისთვის გარკვეული მოვლენების შესახებ ინფორმაციის მინოდებას. როდესაც საუბარია მკვლელობებზე, ამ შემთხვევაში იმის პასუხისმგებლობა უნდა არსებობდეს, რომ ბოლომდე მიჰყვებ და მე, როგორც მოქალაქეს, გამაგებინოს, რით დამთავრდა ეს უბედურება.

სახელმწიფო უნდა ცდილობდეს, მასმედიის სამყაროში მიზეზ-შედეგობრივ კავშირს თვალყურს მიადევნოს.

— არსებობს გამოსავალი? — რასაკვირველია. გამოსავალი რელიგიამი უნდა ვეძებოთ, რადგან ზნეობრივ კატეგორიას რელიგია აყალიბებს. ერთი ვერასოდეს შეძლებს ამ კატეგორიის — შინაგანი დამმუხრუჭების აღზრდას და ჩამოყალიბებას.

ესაუბრენ მაკა კობალია ნანა არეშაძე


მაკა კობალია

პატომის კრატერის საიდუმლო

მსოფლიოში მრავლადაა ადგილი, რომელთა წარმოშობაც დღემდე არაა დადგენილი და ჯერაც დიდ ეჭვებსა და მითქმა-მოთქმას იწვევს სამეცნიერო წრეებში. მაგალითად, პერუში, ნასკას უდაბნოში ცარცის შემცველ ნიადაგზე გამოსახული გიგანტური ობობა და რობოტი; სტონჰენჯის ქვები დიდ ბრიტანეთში, ეგვიპტის პირამიდები და ა.შ. მაგრამ ყველა მათგანის საიდუმლო იმაში მდგომარეობს, რომ მეცნიერებს დღემდე ვერ გაუგიათ, როგორ ააშენეს ადამიანებმა ეს ძეგლები.

როგორც აღმოჩნდა, დედამიწაზე ანომალიებსაც ვხვდებით, რომელთა წარმომავლობაც ადამიანის ნამოქმედარს არ უკავშირდება.

ეს მართლაც ყველაზე შეუცნობელი ადგილებია ჩვენს პლანეტაზე. გაზეთ „კომსომოლს კაია პრავდას“ კორესპონდენტი ანდრეი მოისეენკო თავად მონაწილეობდა პირველ ექსპედიციაში პატომის კრატერზე. არავინ იცის, როგორ წარმოიქმნა პატომის კრატერი. ვერსია მრავალია — გაურკვეველი აფეთქებიდან იღუმალი კოსმოსური სუპერმყარი ნივთიერების ჩამოვარდნამდე. კრატერის პირველადი მომჩენი, პროფესორი გეოლოგი ვადიმ კოლპაკოვი დარწმუნებულია, რომ ირკუტსკის ოლქისა და იაკუტის საზღვარზე უშველებელი ტუნგუსკის მეტეორიტის ნამსხვერვის დაცემის ადგილი აღმოაჩინა.



...ამ მართლაც რეალური გამოცანისთვის რომ მიგვეღწია, ძველებური „06-24“-ით ვიფარინეთ 1100 კმ, შემდეგ 250 კმ-ზე მეტი გზაზე შემხვედრი, ახლომდებარე ოქროს საბადოების კუთვნილი „ურალებითა“ და „კრაზებით“ ვიარეთ, ბოლოს კი კიდევ რამდენიმე ასეული კილომეტრი მთის მდინარეზე თვითნაკეთი ტივით ვიცურეთ.

იდუმალ კრატერთან მიმავალი გზის უკანასკნელი დღე თავიდან თითქოს კარგად დაიწყო. რამდენიმე დღიანი გადაუღებელი წვიმების შემდეგ მზემ გამოანათა.

2 კაცი მდინარე ხომოლკოს ნაპირას საბაზო ბანაკში დარჩა. ჩვენ, ხუთნი, და ჩვენი გამცილებელი — ადგილობრივი იაკუტის ინოკენტი ნეპრიახინი, სამეცნიერო აღჭურვილობით სავსე აბგებობით დავიჭვიროეთ და „ნერტილ იქსამდე“ მიმამავალ ფეხით გასავლელ საბოლოო გზას დავადექით. უკვე შუადღე იდგა, იაკუტის კეშა „გვართობდა“ თავისი მონათხრობით პატომის კრატერის სიახლოვეს მოხდაური ტრაგედების შესახებ. რამდენიმე წლის წინათ პატომზე ვილაცამ კეშაში სროლით კეშას მამა მოკლა. მკვლელს დღესაც ეძებენ. ერთი წლის წინათ კი იმავე ადგილას თავი მოიკლა მისმა უფროსმა ძმამ.

— ის-ის იყო, ირემი მოკ-

ლა... გატყავება დაიწყო. მერე უცებ ლულა პირში ჩაიდო და სასხლეტი დაუშვა. მარტო იყო. უცხო კვალიც არ ყოფილა გარშემო...

ნებისმიერი ანომალიური ადგილის ახლომხლო ასეთი ისტორია ბევრია. როგორც კი მათ შემოწმებას დაიწყებ, ყველა ასეთი იდუმალება ძალიან უბრალოდ აიხსნება. ასე იყო ახლაც. როცა კეშა შეკითხვებით შევანუხე, მკვახედ მიპასუხა:

— მთვრალი იყო. გვერდზე არყის ცარიელი ბოთლი იპოვეს, მაგრამ მაინც ცუდი ადგილია, მანდ ხეებსაც კი არ სურს გაზრდა.

იაკუტის ცოტა ხანს გაჩუმდა და შემდეგ გვითხრა, რომ ცოტა და დავგრჩა სავალი. ცოტაც და, ის მინდორიც გამოჩნდება, საიდანაც პირველად დავინახავთ ჯერ კიდევ შორეულ, მაგრამ საოცრად ამოუხსნელ პატომის კრატერს.

აღოქმულ მინდვრამდე მისვლა იმ დღეს მაინც ვერ მოვახერხეთ.

ინოკენტის ჯერ სიტყვაც არ დაემთავრებინა, რომ ჩვენი ექსპედიციის ივანეს ძე ვორობიოვი თავის გეოლოგიურ ჩაქურჩს წამოედო, დაიხარა, ამოიხრიალა და პირქვე დაეცა...

სამსუხაროდ, მისი აღსასრული იმ სიკვდილთა ჯაჭვის პირველი რგოლი აღმოჩნდა, ჩვენ ექსპედიციას რომ მოჰყვა...

ანდრეი მოისეენკო

ალეოქენის ნაპობოზი

ცაცხლოვანი არწივის ბუდე

1949 წელს ახალგაზრდა ირკუტსკელი გეოლოგი ვადიმ კოლპაკოვი სსრ კავშირის გეოლოგიური რუქის შედგენის მიზნით ბოდაიბოს რაიონს იკვლევდა. ასეთი იყო ოფიციალური დავალება. ამასთან, მას უნდა მოეძებნა პერსპექტიული ოქროს შემცველი ნაკადულები — უკვე მეორე ასწლეულია, ბოდაიბოს რაიონი რუსეთში ოქროს მოპოვებისა და ურანის საბადოების ერთ-ერთი მთავარი ცენტრია.

პატომის კრატერი დაახლოებით ხუთი კილომეტრის მანძილიდან დავინახე ფერდობზე ამძვრალმა. შორიდან შახტის ტერიკონს ნაავადა, ოღონდ, რატომღაც, მოთეთრო ვულკანის ელბით. გაიფიქრე კიდევ: „აქ ხალხს რა უნდა-მეთქი? შინსახკომის შრომითი ბანაკები ამ რაიონში არ იყო — ეს ზუსტად ვიცოდი. რამე საიდუმლო ხომ არ არის? მაშინ ხომ ამ რაიონში არც გამოიშვებდნენ გეოდაზიერებაზე. პირიქით, მისგან თავის შორს დაჭერას მიბრძანებდნენ. მეორე, რაც გავიფიქრე — იქნებ, არქეოლოგიური არტეფაქტია? მაგრამ ადგილობრივი ევენკები და იაკუტები, ჩემი მათემატიკური პატივისცემის

მიუხედავად, ძველი ეგვიპტელები ნამდვილად არ არიან. ქვის პირამიდების აგებას ისინი ვერ შეძლებდნენ, ვინაიდან არც ადამიანური რესურსი გააჩნდათ და არც საკმაო სამეცნიერო ცოდნა“... იდუმალ მიწა-რილს კარგახანს ვაკვირდებოდი ბინოკლით, მაგრამ იქ ვერანაირი მოძრაობა ვერ შევნიშნე. და ახლოს მისვლა გადაწყვიტე...

გეოლოგმა კოლპაკოვმა დანიშნული მარშრუტიდან გადაუხვია და, ექსპედიციის მკაცრი გრაფიკის დარღვევის რისკის მიუხედავად, ანომალიის შესასწავლად გასწია.

ახლოს რომ მივედი, მიხვდი, რომ იდუმალი ბორცვი ადამიანის ნახვლავი სულაც არ იყო. ის უფრო იდეალურად მრგვალ ვულკანის ყელს მოგავგონებდათ, სიმალლით დაახლოებით 70 მეტრი — 25-სართულიანი სახლის ხელა იქნებოდა. მაგრამ იაკუტისა და ირკუტსკის ოლქის საზღვარზე ვულკანები რამდენიმე მილიონი წელია, არ წარმოქმნილა. კრატერი კი საკმაოდ ახალი იყო. იგი წინვოვან ფერდობზე განოლილიყო. კრატერის კედლებზე და თვითონ კრატერში ხეები არ იზრდებოდა, რამდენიმე წერილ წინვოვანს თუ არ ჩავთვლით. ქარებს მასზე მინის მიყრა ვერ მოესწრო. ანომალიის ასაკი დაახლოებით 50-200 წლით შევაფასე. და კიდევ ერთი გამოცანა — როცა კრატერის მრგვალ ნაწილზე ავედი, ზუსტად ჩაღრმავების შუაგულში ნახვერადმრგვალი, 15 მეტრის დიამეტრის გუმბათი აღმოვაჩინე. ვულკანებში, მათ შორის, ჩამქრალ ვულკანებშიც კი, ასეთი გუმბათების არსებობა წარმოუდგენელია.

მოგვიანებით, ადგილობრივ იაკუტ-მონადირეებთან საუბრისას, გავარკვიე, რომ ამ ადგილს „ცაცხლოვანი არწივის ბუდე“ ეძახიან, — განაგრძობს ვადიმ ვიქტორის ძე, — რატომ — უცნობია. მსოფლიოში არსად მსგავსი ანომალია არაა. უცხოპლანეტელებისა და მსგავსი ცივილიზაციების არ მჯერა, მაგრამ გააზრებული ახსნაც არ შემოიძლია.

...მე მივედიოდი მესამე და ამიტომაც გვიან დავინახე, როგორ ნაქცა ვორობიოვი... როგორც ჩანს, იგი იმნამსვე გარდაიცვალა. ჩვენ კი თითქმის ერთი საათის განმავლობაში ხელოვნური სუნთქვით ვცდილობდით მის გადარჩენას. პირველი იაკუტი შეჩერდა. პრაქტიკული ტაი-გელი ყმაწვილი მიხვდა, რომ დაზნელებამდე აუცილებელი იყო ცხედრის ბანაკამდე, ანუ დათვებისგან მოშორებულ ადგილას მიტანა.

წინვოვანის ტოტებისა და ორი აბგისგან ხელდახელ გავკეთებულ საკაცეზე დასველებულ ცხედარს ხუთნი მივასვენებდით. მაგრამ რაც იოლია ქალაქის მოსაფლავებულ გზაზე, ტაიგაში შეუძლებელი აღმოჩნდა. პირველსავე ჭაობში საკაცე კინალამ გადავიბრუნე. ამიტომ გადაწყვიტეთ, ისევ ტივი შეგვეკრა და ცხედარი ნაკადულზე მდინარის შესართავამდე ჩაგვეცურებინა...

ვორობიოვის სიკვდილის დღეს შეკითხვა — გავაგრძელებდით თუ არა პატომის კრატერის ძებნას, არავის დაუსვამს. სამაგიეროდ, მეორე დღეს, როცა ცხედარი ბანაკში მივასვენეთ, ეთიკური საკითხები წამოიჭრა. ღირდა თუ არა მიცვალებულის ბოდაიბოში გაცილებლა? ამასთან, გამცილებელმა ნეპრიახინმა კრატერთან მისვლაზე კატეგორიული უარი განაცხადა.

საბოლოოდ, „CO PAH“-ის გეოქიმიის ინსტიტუტის ორმა მეცნიერ-თანამშრომელმა — ვიქტორ ანტიპინმა და ალექსანდრე ფედოროვმა, კეშასა და მისი უმცროსი ძმის თანხლებით ცხედარი დაასხლება პერეგოზში ნასავენეს, რომელიც დინების მიმართულებით ოდნავ ქვემოთ, 50 კილომეტრში მდებარეობს. დღენახევარში მათ პერეგოზს მიაღწიეს, ხოლო კიდევ ერთი დღის შემდეგ შემხვედრი „კამაზის“ დახმარებით ცხედარი ბოდაიბოში გადაასვენეს, სადაც მისი გაკვეთა მოხდა. აღმოჩნდა, რომ ვორობიოვის ინფარქტი დაემართა — სიკვდილი მომენტალურად დადგა. სავლენე პირობებში მისი გადარჩენა ჩვენ არ შეგვეძლო.

დარჩენილი ოთხეულიდან ხელმძღვანელობა „CO PAH“-

ის მზე-დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა სერგეი იაზემა აიღო. ჩვენ გადავწყვიტეთ, მაინც მივსულიყავით კრატერთან. გაცივებაზე კიდევ ერთი იაკუტი — კეშას ნათესავი დავგვთანხმდა, რომელიც იმ დროს კეშასთან იყო სტუმრად.

— ეს უცნაური ადგილია, — განაცხადა ჩვენმა ახალმა გამცილებელმა ივანე მაქსიმოვმა, — მაგრამ მე მიცვალებულების არ მემინია.

ხალხი ისტორია, ირემი პრეპია

იავალდინის მდინარესა და მის მიმდებარე მინდვრებს იაკუტების, მაქსიმოვ-ნეპრიახინების ოჯახი თავის საკუთრებად მიიჩნევს. რა თქმა უნდა, ცნობილ განდევნილთა აგაფია ლიკოვასთან ისინი ვერ მოვლენ — ყველა მათგანს აქვს რუსული პასპორტები, სადაც აღნიშნულია „საცხოვრებელი ადგილი — ირკუტსკის ოლქი, ბოდაიბოს რაიონი, პატომის მთიანეთი“, და წელიწადში სამ-ოთხჯერ იაკუტები ცივილიზაციასაც აკითხავენ — ტანსაცმლისთვის, მარლისა და ჩაისთვის.

არც რადიო, არც ტელევიზია... მინდვრის ბოლოს დიხლის დაუზანგული გენერატორი ადგია.

ოჯახის უფროსი 23 წლის კეშაა. იგი ასაკოვანი დედის, 18 წლის ძმის, 9 წლის ძმის-ვილი გოგონას, 15 ირმისა და დიდი პაპის ნაქონი გადაჭრილი შაშხანის (წარწერილი „1886 წელი“) მფლობელია.

პატომის კრატერის შესახებ ნეპრიახინებმა იცან. მას ძველებურად „ცაცხლოვანი არწივის ბუდე“ უწოდებენ. იაკუტიდან გადმოსული მათი დიდი პაპა თავისი ოჯახით აქ გასული საუკუნის 20-იან წლებში დაფუძნებულა. კრატერი იმ დროს უკვე არსებობდა. შესაძლოა, გეოლოგი კოლპაკოვი სწორედ ნეპრიახინების თანამედროვე თაობის დიდ პაპსაც შეხვდა. კრატერის სიახლოვეს ახლა ბილიკი გადის, სადაც ირემებს აბალახებენ. ადგილობრივი იაკუტები, ნეპრიახინების მტკიცებით, კრატერთან ახლოს ლამის გათევას ერიდებიან, რადგან არ ყოფილა შემთხვევა, რომ ლამით ირემი არ დაჰკარგოდათ. თითქოს მგლებსაც აბრალებენ, მაგრამ მათი პოვნა ვერაფერს შეძლო — კვლი კრატერთან ყოველთვის სადღაც იკარგება.

გაგრძელება იქნება



როგორ ანტივირუსი ჯობს


როგორც წინა ნომერში აღვნიშნეთ, „ვირუსი“, როგორც მას შევსებით უწოდებენ, და Malware (Malicious Software — მავნე პროგრამა), როგორც მას ოფიციალურად ჰქვია, მოიცავს ყველა სახის ბოროტმოქმედ პროგრამას, რომელიც ჩვენი კომპიუტერის, მასში განთავსებული ინფორმაციისა თუ მისი რესურსების მოსაპარავად ან სხვისი მიზნების განხორციელებისთვის გამოიყენება. ათასნაირ შენიღვას იყენებს. კარგი შენიღვა კი სულაც არ ნიშნავს მის არარსებობას, მხოლოდ ბრძოლის პროცესს ართულებს.

როგორც საქმის მცოდნეები ირწმუნებიან, Malware შეიძლება, იმალეობდეს ნებისმიერ ფაილში, რომელიც ორჯერ დაკლიკებთ ისინი. სწორედ ამ ორჯერ დაკლიკების შედეგად იშვება მავნე პროგრამა. კომპიუტერულ სამყაროში დიდი ხნის წინათ მიხვდნენ, რომ ამ ვირუსებს ანტივირუსები არ შეუძლია და რაიმე სხვა მეთოდით უნდა შეზღუდოს მათი გავრცელება. დღევანდელ სამყაროში დიდი ხნის წინათ მიხვდნენ, რომ ამ ვირუსებს ანტივირუსები არ შეუძლია და რაიმე სხვა მეთოდით უნდა შეზღუდოს მათი გავრცელება. დღევანდელ სამყაროში დიდი ხნის წინათ მიხვდნენ, რომ ამ ვირუსებს ანტივირუსები არ შეუძლია და რაიმე სხვა მეთოდით უნდა შეზღუდოს მათი გავრცელება.

ანტივირუსებს ვირუსებთან ბრძოლის მეთოდის შესაბამისად, ძირითადად, ორ სახეობად ყოფენ. პირველი მეთოდის მიხედვით, ვირუსების აღმოჩენა ვირუსების ბაზაზე დაყრდნობით ხორციელდება. ყველა ანტივირუსი მის უკან რამდენიმე ლაბორატორიასა და უამრავ ექსპერტს აერთიანებს. ეს ადამიანები 24 საათის განმავლობაში ახალი ვირუსების აღმოჩენას, მათ შორის „ანაბექტებს“ და ათავსებენ თავიანთ სერვერზე. მომხმარებლის მანქანაზე დაინსტალირებული ანტივირუსი ამ „ანაბექტებს“ ინტეგრირების მეშვეობით ჩამოტვირთავს მომხმარებლის მანქანაზე და ინყებს ფაილების სკანირებას. სკანირებისას ანტივირუსი ყველა ფაილს ადარებს ვირუსების ბაზას და დამთხვევის შემთხვევაში ფაილს ვირუსად ამოიცნობს. ვასაგებია, რომ რაც უფრო ხშირად განახლებადია ანტივირუსული ბაზა და რაც უფრო მეტი და პოპულარული ვირუსის ანაბექტი იტვირთება თითოეული განახლებისას, მით უფრო მცირეა თქვენი კომპიუტერის ინფიცირების შანსი, მაგრამ ხანდახან კომპიუტერი მანამდე ხდებიან ახალი ვირუსის შეტყვის მსხვერპლი, ვიდრე ამ ვირუსის ანაბექტი მიაღწევს კომპიუტერამდე. ასეთ შემ-

თხვევაში ვირუსების ბაზაზე დაყრდნობილი სკანირების ტრადიციული მეთოდი უძლურია, მაგრამ კომპიუტერი ბოლომდე დაუცველი არც ამ შემთხვევაში რჩება, ვინაიდან არსებობს მავნე პროგრამებთან ბრძოლის კიდევ ერთი მეთოდი, რომელსაც ასევე იყენებს ანტივირუსები. ეგრეთ წოდებული ევრისტიკული მეთოდით მომუშავე ანტივირუსები ყველა პროგრამის მოქმედებას რეალურ დროში აანალიზებს და საეჭვო პროგრამებს უყოყმანოდ ბლოკავს. ასე რომ, კარგი ანტივირუსის ქონების შემთხვევაში კომპიუტერი შემთხვევათა 95%-ში დაცული რჩება.

იმისათვის, რომ მავნე პროგრამების შემოღებისა და დაზიანების შემთხვევაში, მისი კომპიუტერის რესურსების მოხმარება. ცხადია, ვირუსი უნდა ვიზრუნოთ ანტივირუსზე. მაგრამ რომელი ანტივირუსი უნდა დავაყენოთ, ამის გასარკვევად რამდენიმე საკითხზე მოგვიწევს ყურადღების გამახვილება. უმთავრესი პარამეტრი, რითაც ვინყებთ არჩევას, სწორედ ის ვირუსების ბაზაა, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდით. რაც უფრო ხშირად განახლებადი და მრავალფეროვანია ვირუსების ბაზა, მით უფრო მეტად და დაცული მომხმარებელი. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც რაც უფრო ახლოსა ტერიტორიულად ვირუსების მწარმოებელი კომპანია თქვენთან, მით უფრო ეფექტიანია მისი ანტივირუსული ბაზები თქვენთვის. ეს თეორია ნაწილობრივ შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ საერთო ჯამში მთლიანად ამაზე დაყრდნობა არ ღირს. მეორე ფაქტორი, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია ანტივირუსის შეჩვენებისას, მისი ევრისტიკული ანალიზის უნარია. მოგესხენებათ, ვირუსების ახალი ბაზის უქონლობის შემთხვევაში ეს თავდაცვის ერთადერთი



საშუალებად ჩვენი კომპიუტერისათვის და, ამდენად, აღნიშნული კომპონენტის გამართულად მოქმედებაზე ზოგჯერ სიკვდილ-სიცოცხლის საკითხია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ანტივირუსის შერჩევისას უნდა გავითვალისწინოთ, მისი კომპიუტერის რესურსების მოხმარებაა. ცხადია, ვირუსი უნდა ვიზრუნოთ ანტივირუსზე. მაგრამ რომელი ანტივირუსი უნდა დავაყენოთ, ამის გასარკვევად რამდენიმე საკითხზე მოგვიწევს ყურადღების გამახვილება. უმთავრესი პარამეტრი, რითაც ვინყებთ არჩევას, სწორედ ის ვირუსების ბაზაა, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდით. რაც უფრო ხშირად განახლებადი და მრავალფეროვანია ვირუსების ბაზა, მით უფრო მეტად და დაცული მომხმარებელი. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც რაც უფრო ახლოსა ტერიტორიულად ვირუსების მწარმოებელი კომპანია თქვენთან, მით უფრო ეფექტიანია მისი ანტივირუსული ბაზები თქვენთვის. ეს თეორია ნაწილობრივ შეესაბამება სინამდვილეს, მაგრამ საერთო ჯამში მთლიანად ამაზე დაყრდნობა არ ღირს. მეორე ფაქტორი, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია ანტივირუსის შეჩვენებისას, მისი ევრისტიკული ანალიზის უნარია. მოგესხენებათ, ვირუსების ახალი ბაზის უქონლობის შემთხვევაში ეს თავდაცვის ერთადერთი

უმრალ მიზეზის გამო, რომ ანტივირუსული (და, საერთოდ) პროგრამების უდიდესი ნაწილი გატეხილი, არალიცენზირებული სახით ვრცელდება და, შესაბამისად, მათი ოფიციალური ლიცენზიები ვერც ჩვენს სინამდვილეში ნაკლებად წარმოადგენს რეალურად გასათვალისწინებელ ფაქტორს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს ანტივირუსული პროგრამების ეგრეთ წოდებული უფასო ვერსიებიც, რომელთა გადმოქაჩვა თავისუფლად შეგიძლიათ მწარმოებლების საიტებიდანაც და უფასო რომ თავისთავად ცუდს არ ნიშნავს, ამაში ეჭვი აღარავის ეპარება. მსოფლიოში საკმაოდ ბევრი ანტივირუსული პროდუქცია არსებობს, მაგრამ საქართველოში სულ რამდენიმეა პოპულარული, ძირითადად, მათზე ჩამოყალიბებული სტერეოტიპებისა და ადგილად გატეხვადობის გამო. დღეს საქართველოში ყველაზე პოპულარული ანტივირუსების სია შემდეგნაირად გამოიყურება: Kaspersky AntiVirus დღევანდელი, ფაქტობრივად, უნივერსალური და ითვლება ვირუსების ბაზისა და ევრისტიკული ელემენტის მოქმედების თვალსაზრისით, მაგრამ რესურსების ჭარბ მოხმარებას სერიოზულ ნაკლებ უთვლიან. თუ თქვენ ნორმალური მონაცემების კომპიუტერი გაქვთ, უკეთეს არჩევანს ძნელად თუ გამოიხატავთ.

Kaspersky Internet Security-ს, მართალია, კიდევ უფრო მეტი მოთხოვნები აქვს კომპიუტერული რესურსების მიხედვით, მაგრამ დაცვა თითქმის უნივერსალურია. ისე, ამგვარი არჩევანის შემთხვევაში ნერვული სისტემაც მყარად უნდა გქონდეთ, ვინაიდან მოცემული ვერსია ძალზე ხშირად მოითხოვს მომხმარებლის ჩარევას. ESET NOD32 Antivirus ჩვენს მიერ ზემოჩამოთვლილ ოთხეულ პირებსა აკმაყოფილებს, ტესტებში ვირუსების აღმოჩენის მხრივ პროცენტულად სულ ოდნავ (1%-ითაც არაა) ჩამორჩება Kaspersky-ს, რესურსების მოხმარების მხრივ კი სხვაობა წარმოადგენს დიდ ფაქტორად. NOD32-ის გამოყენება, ფაქტობრივად, ნებისმიერი სიძლიერის კომპიუტერზე შესაძლებელია. ის შექმნილი და გამოირჩევა სიმსუბუქით, სისწრაფით და ლიწვნიების ადვილად მოპოვების შესაძლებლობით. AVG Anti-Virus Professional Edition ერთ-ერთი ახალი და სახელგანთქმული ანტივირუსული პროგრამაა, რომელიც ვირუსებთან ერთად იჭერს ყველაწარმოებელ ვირუსებს. Comodo AntiVirus ქსელში გამოჩნდა. ეს კიდევ ერთი უფასო ანტივირუსია, რომელიც აქამდე მხოლოდ ფასიანი ვერსიების სახით ვრცელდებოდა, ამიერიდან კი, რატომღაც, უფასოდაც შეგიძლიათ, გამოიყენოთ. WinAntiVirus ერთ-ერთი ახალი თაობის ანტივირუსია, რომელიც, როგორც ამობრუნებს, კომპიუტერისაგან ბევრ რესურსს არ მოითხოვს და აქვს მუდმივ განახლებადი ბაზები. არ საჭიროებს რთულ კონფიგურირებას, სამაგიეროდ, იჭერს ახალი თაობის პრაქტიკულად ყველა ვირუსს. Norton Antivirus 2007 Beta ცნობილი ანტივირუსული პროგრამის ახალი ვერსიაა, რომელიც სექტემბერ-ოქტომბერში უკვე სრული სახით გამოვა. უნდა აღინიშნოს, რომ, თავისი წინამორბედების მსგავსად, ეს ვერსიაც საკმაოდ დიდი რაოდენობით მოითხოვს კომპიუტერულ რესურსებს. სამაგიეროდ, აქვს ავტომატური სკანირების, განახლებისა და ვირუსების Online რეუიში და ვირუსების ფუნქციები. ამიტომ,

თუ კომპიუტერი ამის საშუალებას გაძლევთ, დიდი შანსია, კარგა ხნით დასვენოთ ვირუსებისაგან.

AntiVir Personal Edition კიდევ ერთი ახალი ანტივირუსია, ამჯერად — გერმანული წარმოების. აქვს სკანერი, რომლის მეშვეობითაც ამომხმარებელს ნებისმიერ პროცესს: არქივებს, დოკუმენტებს, საინსტალაციო პაკეტებს, მაკროსებს. კომპიუტერისაგან არ მოითხოვს ბევრ რესურსს, რა თქმა უნდა, აქვს მუდმივი განახლებადი ინტერნეტი, ავტომატურად შეიცავს 150 000 ვირუსის დაჭერის რეცეპტს და, რაც მთავარია, მუშაობს უნიკოდსახელების მქონე ფაილებთან. ეს უკანასკნელი საკმაოდ აქტუალურია ქართული Windows-ის შემთხვევაში, ვინაიდან სხვა ანტივირუსები ქართული სახელების მქონე დოკუმენტებს ვერ აღიქვამენ სწორად და, შესაბამისად, არც ასკანირებენ.

დაბოლოს, არცერთი ანტივირუსი არ არის გარანტი იმისა, რომ თქვენი კომპიუტერის მთელი საიდუმლო თუ საქარო ინფორმაცია ბოროტმოქმედის ხელში არ ჩავარდება. ეს ყველაფერი უბრალოდ, რისკის შემცირების საშუალებებია. კასპერსკის ლაბორატორიის განცხადებით, ანტივირუსული პროგრამული უზრუნველყოფა ხშირ შემთხვევაში ცუდ როლსაც ასრულებს — ეუბნება რამოხმარებელს, რომ ყველაფერი წესრიგშია, ზედმეტად ამშვიდებს მას და ავიწყებს სიფრთხილის სხვა წესებს.

იმისათვის, რომ რისკი მინიმუმამდე შევამციროთ, საჭიროა, ყოველთვის ვიცავდეთ რამდენიმე უმნიშვნელოვანეს წესს:

ყოველთვის ჩამოქაჩეთ სისტემური განახლებები (Windows Update), ეს დეტალი ძალიან ხშირად ყველაზე დიდ გავლენას ახდენს კომპიუტერის დაცულობის დონეზე;

არ შეხვიდეთ უცნობ ვარებს, პორტს, გამბლინგ და სხვა მსგავსი კატეგორიის საიტებზე. იქ ინფორმაციის შინა ყველაზე მაღალია;

არ გახსნათ უცხო მეილი. მართალია, დღევანდელი პოპულარული საფოსტო ყუთები (Gmail, Yahoo, AOL) საკუთარი ანტივირუსით ამოწმებს ყველა წერილს, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივს;

არ ენდოთ მესიჯერებით გამოგზავნილ არცერთ ფაილს, თუნდაც ის თქვენთვის ნაცნობი პირისგან იყოს გამოგზავნილი. შეიძლება მან თქვენთან ბოროტად გახუმრებდეს ან თქვენთან მოქმედების კონტროლი მოისურვოს. თუ მაინც მიიღებთ ამგვარ ფაილს, გაშვებამდე ანტივირუსით შეამოწმეთ.

გარდა საკუთარი ანტივირუსისა, საეჭვო ფაილი შეგიძლიათ, ატვირთოთ საიტზე www.virustotal.com-ზე, სადაც საკმაოდ დიდი რაოდენობით მოითხოვს კომპიუტერულ რესურსებს. სამაგიეროდ, აქვს ავტომატური სკანირების, განახლებისა და ვირუსების Online რეუიში და ვირუსების ფუნქციები. ამიტომ,

ვირუსული კომპიუტერული ვირუსი „CIH“ 10 წლისაა

1999 წლის გაზაფხულზე კომპიუტერულ სამყაროში კატასტროფა მოხდა. სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით, მსოფლიოში ნახევარ მილიონამდე კომპიუტერი „დაზარადა“. მანამდე კომპიუტერული ვირუსის ეპიდემიას ამ მასშტაბებისთვის არასდროს მიუღწევია და ესოდენ გლობალური დანაკარგების წარმოადგენდა კი არავის შეეძლო. მყარი დისკებიდან მონაცემები წაიშალა, დედა პლატებზე კი მიკროსქემების BIOS დაუზიანდა.

ეს იყო პირველი ვირუსი, რომელმაც დაზიანა არა მხოლოდ ინფორმაცია და ვირუსებულ კომპიუტერებში, არამედ საერთოდ გამოიყვანა მწყობრიდან მანქანები. იმ შემთხვევაში, თუ BIOS-ის ხელახალი გადართვა კომპიუტერში არ ხერხდებოდა, კომპიუტერი გადასაგდება იყო. სახელგანთქმული ვირუსმა თავისი შემქმნელის, ტაივანის უნივერსიტეტის სტუდენტის


Chen Ing-Hau-ს სახელის შემოკლებული ვერსიიდან მიიღო, მეორე სახელწოდება „ჩენილი“ მას იმის გამო ეწოდა, რომ სწორედ ჩენილი მისი მწყობრიდან დასვს — 26 აპრილს გააქტიურდა. ვირუსი მომხმარებლის კომპიუტერში შეღწევის შემდეგ, ფაქტობრივად, არანაირად არ ამოღებდა თავს, მაგრამ ყოველი წლის 26 აპრილს ის დაუნდობელ შეტევაზე გადადიოდა. ტაივან-

ნელმა „CIH“-მა პირველად ავსტრალია, ავსტრალია, ისრაელი და დიდი ბრიტანეთი „დაიპყრო“, მოგვიანებით კი მანვე კოლი სხვა ქვეყნებშიც დაფიქსირდა. რაც მთავარია, ვირუსის შემქმნელი არა მხოლოდ დაუძვრა პასუხისმგებლობას ოფიციალური საჩივრის არარსებობის გამო, არამედ სახელიც გაითქვა და უმსხვილეს კომპიუტერულ კომპანიაში დაინიშნა მუშაობა. ამის შემდეგ „ჩენილი“ მსგავსად საათის მექანიზმზე მომუშავე არაერთი ვირუსი შეიქმნა, თუმცა მათ კომპიუტერები-სათვის ამგვარი ზიანი არ მიუყენებია ერთადერთი მიზეზის გამო — ვირუსის შემქმნელს დავირუსებული კომპიუტერი-

ბის რესურსების გამოყენება ესაჭიროებათ და არა მათი მწყობრიდან გამოყვანა. ახლა სახელის მოსახვეჭად ვირუსის აღარავინ ქმნის. თანამედროვე კიბერდამანაშვეთა მიზანის გაძიდება. უნდა აღინიშნოს, რომ ვირუსული მძარცველები ძალზე დიდ ფულს მოულობენ კიდევ. პირველი ადგილი მანვე პროგრამების უსასრულო სიაში, რომელსაც ყოველდღიურად რამდენიმე ათასი ახალი ეგზემპლარი ემატება, ეგრეთ წოდებულ ტროანს (ტროიანებს) უჭირავს. ისინი კომპიუტერიდან მფლობელის საკრედიტო ბარათის კოდების იპარავენ და აქედან მისი ანგარიშების განულებამდე უკვე ერთი ნაბიჯია.

მალე ჩამოკრავს განკითხვის ზარი

ადამიანმა როგორც კი შეატყო, რომ სიკვდილს ვერაფრით აჯობებდა, გულის დამამშვიდებელი სიტყვები გამოიგონა. სად არ გაიგონებთ ამ სიტყვებს: ქელეხში, სასაფლაოზე, ჭირში, ლხინში, ქორწილში თუ, უბრალოდ, საუბრისას.



მეგობრობა ანდრეას ლიპსონის მიერ

რის წინაშე ანგარიშობენ, თუ რა სარგებლობა გამოიტანონ მიცვალებულისაგან!.. ვის სახელი სურს, მოიხვეჭოს ღამაზი სიტყვებით, უტყვი ცხედარი ყველასათვის სასარგებლოა“ (ესეც დღევანდელი კარგადაა მორგებული).

1918 წელს 36 წლის ნიკო ლორთქიფანიძეს 24 წლის პაოლო იაშვილმა მიუძღვნა შესანიშნავი ლექსი:

„ხარ მოელვარე, ვით სატევარი, ემორჩილები მზეს და იადონს! მომეცი ნება, როგორც მწვეარი, ლექსი გაჩუქო ბუნებით ბატონს! გაგვიძღვრებოდა ქვეყნის დანდობა, მაგრამ ხარ მუდამ კეთილშობილი! მიმონებს შენი დარდიმანდობა და იშვიათი ჩვენში პროფილი!.. სოფლის წითელა, ყვავილი, ზველა, გამოტირილი და სამძიმარი!.. შენ იმერეთმა დაგანაღველა, როგორც პოეტი და პატიმარი! ფუქსავატ ხალხში ხარ განდევნილი და შთაგონების ხარ ფალაგანი! თუ პოეზია გულგაგლეჯილი დღეს ძებნაშია ერთგულ სავანის, — ჩვენი დათმობა შენთვის წესია, დამშვენებული ძმური თვისებით! თითქოს გაგეღოს შენ ეკლესია — ცოდვილ სულელების პარაკლისებით! მაგრამ საყდარში არავის ელი და რჩება ღოცვა გაუმარტველი!.. ხარ დიდებული ქუთაისელი და შენ ბრძანდები დიდი ქართველი!“

მინიატურა „საქართველო იყიდება“ დაინერა 1910 წელს. ეს მოთქმა, ტრაგიკულია და დედოფარით გუგუუნებს. გავიდა თითქმის 100 წელი და მთლიანად გაყიდვა ჯერ კიდევ არ დამთავრებულია. ბატონი ნიკო, როგორც ჩანს, წინასწარმეტყველიც იყო:

„იყიდება საქართველო მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით; წარსულის ისტორიით; მომავალი სვე-ბედით; მშვენიერის ენით, ნაქარგი ფარჩა-ხავერდით; ვაჟკაცურის ხასიათით; სტუმართ-მოყვარეობით; დიდებულის სანახაობით; წმინდა ჰაერით; ნაამაგვეს სახლით და კარით; ჩუქურთმის მონასტრებით და ეკლესიებით; მჭექარე ნაკადულებით; ლურჯის ზღვით; მონმენდილ-მოკაშაშებული ცით; ერთი, ბერთი; თვალნარმტაც ბანოვანთა გუნდებით; გონებაგახსნილ ვაჟებით; მალხაზი ბავშვებით; ვერცხლისფერ თმით შემოსილ პატივსადებ მოხუცებით, იყიდება საქართველო



ზ. შორჩხიძის ნახატი

დღით და მამით, შვილით და ძირით, ძმით, დით, ცოლით და ნათესავ-მოყვარეებით.

ჰყიდის ყველა: თავადი, მღვდელი, ვაჭარი, ავაზაკი, დიდი და პატარა, ჭკვიანი და სულელი, ლოთი და პირაკრული.

იყიდება ყველგან: ქუჩაში და სახლში, თეატრში და სასამართლოში, სასწავლებელში, სატუსალოში, ეტლში, მატარებელში, დილით და ღამით, სიცხეში და სიცივეში, დარბი და ავდარში.

იყიდება ერთიანად: შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე და ოსეთიდან სპარსეთამდე, იყიდება ნაწილ-ნაწილ: კახეთი და იმერეთი, ქართლი, სვანეთი და სამეგრელო, გურია და ლეჩხუმი, რაჭა და ჯავახეთი. იყიდება პატარა-პატარა ნაჭრებით, ვისაც რამდენი სურს და როგორც უნდა: ნისიად, უფასოდ, ნაღდად, დროებით და სამუდამოდ, ბანკის საშუალებით და ჩვენის დახმარებით.

იყიდებთ ბარემ მთლად, განწმენთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრადდარჩენილი აძლებს ყორნებს და გულს უკლავს უძღურ ჭირისუფალს!“

ძვირფასო მკითხველო! ადამიანის უძლეურების შეგნება ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებაში ბადებს ტრაგიკულ განწყობილებას, ქედმაღლობის შეცნობა კი — ირონიას. მწერალთან შერწყმულია ტრაგიკულობა და ირონიულობა. იგი საქართველოს ჭეშმარიტი ჭირისუფალია.

„ჩემი ოთახის ფანჯრიდან ხშირად მოჩანს თეთრი თოვლით დაფარული, მზის სხივებით აფერილი მყინვარი და შორიდან მისი ხმა ისმის, ვით ხმა ნახი ქალწულისა: მოუარეთ საქართველოს!“

დანადვლიანებული მწერალი გვიანდერძებს:

„ნუთუ, ბატონო ჩემო, გუშინწინ რომ კოკისპირულმა წვიმამ დაასხა, არ გაგიგონიათ გაუთავებელი, გაბმული ძახილი ყოველი წვეთისა — მოუარეთ საქართველოს!“

სწორედაც, რომ არ გაუგონიათ უზომესაზღვრო ქონებით მაძღრებს, ოქროში მსხდომთ, ხალხის სახელით მოლაპარაკე ვინდარებს სამშობლოს მოამაგეთა და ჭირისუფალთა ხმა. მაგრამ „უძლეველო ერო! შენ ხარ ურყევი ციხე!“ მალე ჩამოჰკრავს განკითხვის ზარი!

შანი სისარულიძე

მე შაირი არ მიწოდდა...

უნდა გენვოდეს, თუ ახლა ნამუსის ქუდი გახურავს — ისევე ატანენ წვიმები აეროპორტის სახურავს.

ამათ შემყურემ, სუყველამ ფრენის სურვილი დაკარგა. თურქების აშენებული აეროპორტიც არ ვარგა.

და რად ივარგებს მაგათი ხელით ნაშენი ხილია? მაგრამ რას ვიზამთ, — ხარისხი მიშას ჰალსტუხზე ჰკიდა!

მთავრობის დანაპირები ისევე ირღვევა ვადები, კალმებიც გამოგველია, გენადის ბოთლში ნადები.

ვხედავთ, რომ კარზე მოგვადგნენ პაჭანიკი და ხაზარი, გვაფიქრებს დავითაია პაატას „რიყა ბაზარი“.

სანამდის საქართველოში იწურებოდა მტევანი, სამშაბათს შავნაბადაზე პრეზიდენტს შეხვდა ლევანი!

დრო მოვა, ალბათ, სუყველას ექნება თავის პარტია, დემეტრეშვილი მოითხოვს პარლამენტს ორპალატიანს.

ჩანს, თავის ჭკვაზე ვერ არის და პოლიტიკით ერთობა: ორი პალატა დაიტევს ამდენ გიჟების ერთობას?

შემომაქვს წინადადება: ახლა თუ არა, გაისად საკნების ნაცვლად ქუჩებში პალატები რომ დაიდგას!

ორ დღეში დაბრუნდებიან ქართველი ერის შვილები, საბერძნეთს მიმავლები და თურქეთის გამოყრდილები.

ჩამოჭკნა ყველა ყვავილი, ცოცხალი მხოლოდ ვარდია, — მოთქვამს პირდაპირ ეთერში ნამყვანი აქუბარდია!

კოკოს აშკარად სჭირდება ვანოს კომბალი, ტიალი, ეგება, ნაღმა იფიქროს ქვეყნის უკულმა ტრიალი!

ალბათ, ყველაფერს გაჰყიდდნენ, მაგრამ დაკარგეს მყიდველი, რასაც ძალიან დარდობენ მამრადე-ნოლაიდელი.

გეგა ბაიტიანი

საზოგადოებრივი-მედიაციური ბაზისი

საქართველო

საზოგადოებრივი-მედიაციური ბაზისი

http://www.geworld.net

ინფორმირებული თანამგზავრი (დაზ)ინფორმირებულ საზოგადოებრივ

საქართველო ინფორმირებული თანამგზავრი

საზოგადოებრივი-მედიაციური ბაზისი

http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა, რედაქტორი გონდო მინარაშვილი, ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი, რეალიზაციის მენეჯერი ლაშა ბუაჩია, ოფისმენეჯერი თათია ვაშაქია, რეკლამის მენეჯერი მანია გონაშვილი (858 10 25 48) გაზეთი ხელმძღვანელს თავისუფალი პრესის პრინციპებით. მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5 ტელ.: 38-41-97; e-mail: info@geworld.net